საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№01 (472)
16 – 22 იანვარი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## 24 ჟანდარმი დაიღალა

«აშშ-ს აღარ სურს, კვლავ დარჩეს მსოფლიოს პოლიციელად. ძალიან დიდი უსამართლობაა, რომ პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი მხოლოდ ჩვენ გვაწევს მხრებზე»

## საქართველოს ეკლესია სტამბოლის საპატრიარქოს თამაშებზე მაღლა უნდა დადგეს!

3-4-5





«უკრაინის ამ ახალ «ეკლესიას» არ ჰყავს პატრიარქი. მნიშვნელოვნად შეიკვეცნენ ტერიტორიულად და რაოდენობრივად. ისინი თავიანთ მეთაურად სტამბოლის საპატრიარქოს აღიარებენ, არ შეუძლიათ ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა»

«საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მიღებული უნდა იქნას საეკლესიო კანონიკის შესაბამისად და, რა საფრთხეებზეც უნდა იყოს საუბარი, აქ კომპრომისზე ფიქრიც ზედმეტია»

## რა პირი უჩანს ივანიშვილის დაპირებების შესრულებას?



2020-ში აუცილებლად დადგება მომენტი, როცა ივანიშვილს ისევ მოუწევს ხალხისთვის მიმართვა 6

## დასავლური გლობალური ეკონომიკის მომავალი ნათელია?

7



USA DEBT CLOCK - HOW MUCH IS THE US NATIONAL DEBT?

$ 21,346,478,853,008

ამის საერთაშორისო სავალუტო ფონდშიც აღარ სჯერათ

## რატომ ვაკეთებინებთ ჩვენთან ამერიკელებს იმას, რაც თავისთან აკრძალული აქვთ?

10




ვირუსი, რომელმაც ჯერჯერობით 17 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

## გულწითელა ჩიტი — მისი ცისფერი ფრინველი



14

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2000-იანი წლების დასაწყისში, „ვარდების რევოლუციამდე“ კარგა ხნით ადრე, როდესაც მასმედიის დაახლოებით 90 პროცენტი სააკაშვილს განადიდებდა, მის წინააღმდეგ კი ჭირდა სტატიის გამოქვეყნება, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს ცილისწამების მუხლი. ეს მოხდა „დასავლელი მეგობრების“ მითითებითა და ჩარევით, თითქოს მეტი დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რათა სახელმწიფოს არ ჰქონოდა შესაძლებლობა, ჟურნალისტის თავისუფლება შეეზღუდა და მოდავებოდა მას ცილისწამების მომიზეზებით. რეალურად კი ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ სააკაშვილის მეხოტბე მასმედიას ხელ-ფეხი გახსნოდა.**

# «ფეიკ ნიუსი» — უსინდისობა თუ ტყუილი პოლიტიკურ იარაღად მედიის ბოზბოლათა ხელში

**მას შემდეგ, რაც დასავლეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში ინიცირებული „ფერადი რევოლუციები“ კრახით დასრულდა და ნეოლიბერალების მიერ აღთქმული „ისტორიის დასასრული“ არ დადგება, დასავლეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, რომელიც, ძირითადად, იმავე ნეოლიბერალებისგან შედგება, ისტერიკის ნიშნები დაეტყო. მათი წარუმატებლობების მიზეზი მითური „რუსული პროპაგანდა“ და ხალხის არასწორი ინფორმირება ყოფილა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნეოლიბერალურმა ელიტამ ამერიკის სახელმწიფოებრიობა არარაობად გამოაცხადა.**

## ცილისწამება — აი იარაღი, რომელსაც საქართველოში არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ მათთვის არასასურველი ოპონენტის ან თუნდაც არაოპონენტის დისკრედიტაციისთვის




**ვეთანხმები «საქართველო და მსოფლიოს» ინიციატივას, შეიქმნას მყარი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მიმართული იქნება სიცრუის, დეზინფორმაციისა და ცილისწამების თავიდან აცილებისა და დასჯისკენ. არავის და მით უფრო, ჟურნალისტებს არ სურთ ცენზურის ამა თუ იმ ფორმით შემოღება, მაგრამ საჭიროა ელემენტარული მორალური ნორმების დაცვა. ვინაიდან ეს კანონის გარეშე არ გამოდის და «ჟურნალისტური ეთიკის ქარტია» აშკარად არასაკმარისი ავტორიტეტია ჟურნალისტების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის, მისაღებია კანონი ან კანონები**

დიახ, არარაობა უნდა ეწოდოს სახელმწიფოს, რომლის პრეზიდენტის არჩევნებში ჩარევა და ამ არჩევნების შედეგის განსაზღვრა სანქციებდადებულ რუსეთს შეძლებია, თანაც „ფეისბუკში“ შექმნილი ყალბი პროფილების მეშვეობით. ნეოლიბერალებმა ვერ აიტანეს ამერიკელი ხალხის მიერ გამოხატული ნება, რომელმაც პრეზიდენტად აირჩია ანტიგლობალისტი, ამერიკის ტრადიციულ ინტერესებზე ორიენტირებული დონალდ ტრამპი. ის, თავის მხრივ, ამერიკის მასმედიას ადანაშაულებდა და ადანაშაულებს ყალბი ინფორმაციების — „ფეიკ ნიუსების“ გავრცელებაში. პრეზიდენტი იძულებულია, ნეოლიბერალ გლობალისტებს ბევრი რამ დაუთმოს საგარეო პოლიტიკის სფეროში, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება, რათა ყურადღების მობილიზება მოახდინოს ძირითად საკითხზე — შეერთებული შტატების საშუალო ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც საკმაოდ კარგად გამოსდის კიდეც. მაგრამ „ფეიკ ნიუსების“ თემა ამერიკაში მაინც წინა პლანზე რჩება და პრობლემა არ გამქრალა. საგარეო პრობლემების მოუგვარებლობა ტრამპს, ადრე თუ გვიან, წინ დაუდგება.

სულერთია, რომელი მხარის პოზიციას გავიზიარებთ ან, საერთოდ, ნეიტრალური დავრჩებით, მაგრამ აშკარაა, რომ გინდ ნეოლიბერალთა „ფეიკ ნიუსებზე“, გინდ რუსეთის „პროპაგანდასა“ და „ჰიბრიდულ ომზე“ იყოს საუბარი, მოცემულ კონტექსტში ცენტრალური ადგილი უკავია დეზინფორმაციას, სიცრუეს. მიუხედავად იმისა, რომ „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“, იგი პოლიტიკაში ეფექტიან იარაღად რჩება, თუნდაც მოკლევადიანი ეფექტით. ასეთი „მოკლეფეხიანი“ სიცრუე, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ გათვითცნობიერებულ ადამიანს მისი არ დაუჯერებია, მაინც ეფექტიანად გამოიყენეს ამერიკელებმა ერაყში შეჭრის საბაბად — თითქოს **სადამ ჰუსეინი** ქიმიური იარაღის არსენალს ფლობდა და მის გამოყენებას აპირებდა. უფრო ადრე მიწასთან გაასწორეს იუგოსლავია და სერბეთი, ვითომ ალბანელი ეთნოსისთვის გენოციდის მოწყობის გამო, რაც კიდევ უფრო დიდი ტყუილი იყო და ა.შ. სიმართლის გამოაშკარავების შემდგომ სიცრუის გამავრცელებლებს პასუხი არავინ (ვერავინ) მოსთხოვა — პოლიტიკაში, მით უმეტეს, საერთაშორისო პოლიტიკაში, ასეთი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. მით უფრო აქტუალურია სიცრუის, დეზინფორმაციისა და ტყუილის გავრცელების შეზღუდვა შიდაპოლიტიკურ ვითარებაში, სამართლებრივ სახელმწიფოში, როდესაც საქმე ეხება ცალკეული პიროვნებების, მოქალაქეების ან მოქალაქეთა ჯგუფების ღირსებას, რეპუტაციას, საზოგადოებრივ მდგომარეობას. თუკი სახელმწიფოები ხდება სიცრუის მსხვერპლნი, ეს გარემოება გაცილებით დიდი საფრთხის შემცველია ცალკეული პიროვნებებისთვის. მასმედიას, მათ შორის, სოციალურ ქსელებს, დიდი სარეპუტაციო ზიანის მიყენება შეუძლია, რომლის გამოსწორება არ არის იოლი, ამიტომ სიცრუე-დეზინფორმაციის გავრცელება, განსხვავებით ამერიკის ხელისუფლებისგან, რომელსაც ვერავინ დასჯიდა ტყუილების საფუძველზე ერაყში ან სხვა ქვეყნებში შეჭრის გამო, ქვეყნის შიგნით კანონით უმკაცრესად უნდა ისჯებოდეს.

**ცილისწამება — აი იარაღი, რომელსაც საქართველოში არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ მათთვის არასასურველი ოპონენტის ან თუნდაც არაოპონენტის დისკრედიტაციისთვის.** ტელევიზიით გასული დაკვეთილი, დესტრუქციული სიუჟეტები ან გაზეთებსა თუ ინტერნეტსააგენტოების მიერ გავრცელებული ასეთივე ტიპის მასალები იდება სოციალურ ქსელებში და მათ „განხილვაში“ ე. წ. ჩვეულებრივი ადამიანებიც მონაწილეობენ. მიდის ლანძღვა-გინება, ნერვების აშლა, ბოლმის ნთხევა... **ჩვენი უმუშევრი საზოგადოება, მათ შორის ისინი, ვინც თითქოს დასაქმებულია, მაგრამ საქმე მაინც არ აქვს, პირდაპირ იხრჩობა ამ ბოლმაში, ლანძღვა-გინებასა და პოლიტიკურ „გარჩევებში“. არ არსებობს არანაირი ზღვარი იმისა, ვინ რას იტყვის, დაწერს, გამოაქვეყნებს... ასეთ ვითარებაში სიმართლეს უჭირს გზის გაკვალვა.** ამგვარი დესტრუქციული საინფორმაციო გარემო არა მხოლოდ ირიბად და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას, არამედ უშუალოდ ზემოქმედებს სრულიად ერზე, სახელმწიფოს განვითარების ტემპსა და შორეულ პერსპექტივაზე. **რა უნდა შექმნას სამსახურში ადამიანმა, რომელიც წინა საღამოს ტელევიზიით, ინტერნეტითა თუ პრესით უზარმაზარი მასშტაბის ინტოქსიკაციას მიიღებს?** ვიღაც სუბიექტი დაწერს „ფეისბუკზე“ რაღაც მონაჩმახს და აიტაცებს მასმედია, სამსახურში მიმავალი ადამიანი კი სისხამ დილით უკვე რადიოთი უსმენს ამ ყველაფერს... შეიძლება, შემომედავონ — ასეთია დემოკრატია და სხვა ქვეყნებშიც ასეაო. არ არის ეს მთლად მართალი, ბატონებო! **განვითარებულ ქვეყნებში არის გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ კულტურასა და ადამიანების შინაგან კულტურაზე. ისეთი უპასუხისმგებლობა, როგორც საქართველოში ბატონობს ამ თვალსაზრისით, ძნელი საპოვნელია მსოფლიოს მასშტაბით...** მახსოვს, 2000-იანი წლების დასაწყისში, „ვარდების რევოლუციამდე“ კარგა ხნით ადრე, როდესაც მასმედიის დაახლოებით 90 პროცენტი სააკაშვილს განადიდებდა, მის წინააღმდეგ კი ჭირდა სტატიის გამოქვეყნება, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს ცილისწამების მუხლი. **ეს მოხდა „დასავლელი მეგობრების“ მითითებითა და ჩარევით, თითქოს მეტი დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რათა სახელმწიფოს არ ჰქონოდა შესაძლებლობა, ჟურნალისტის თავისუფლება შეეზღუდა და შედავებოდა მას ცილისწამების მომიზეზებით. რეალურად კი ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ სააკაშვილის მეხოტბე მასმედიას ხელ-ფეხი გახსნოდა, დაუსჯელად გადმოეღვარა სიბინძურე და მისცემოდა ნებისმიერი ოპონენტის დისკრედიტაციის საშუალება.** უკვე მზადდებოდა „ვარდების რევოლუცია“, სააკაშვილი გაიყვანეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ და მომავალ პრეზიდენტად ამზადებდნენ. „რუსთავი 2“ ავრცელებდა დეზინფორმაციას შევარდნაძის გარემოცვის იმ ნაწილზე, რომელიც ე.წ. ჟვანია-სააკაშვილის გუნდს უპირისპირდებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა **აკაკი გოგიჩაიშვილი** თავისი გადაცემით „60 წუთი“. პრესაში შეტევა მიიტანეს უშიშროების საბჭოს მდივან **ნუგზარ საჯაიაზე,** რითაც დამაჯერებელი გახადეს მისი სიკვდილის მიზეზი, როგორც თვითმკვლელობა (რომელიც სინამდვილეში მკვლელობას უფრო ჰგავდა). ასე და ამრიგად, დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდა ქართულ მასმედიაში და იგი დღემდე გრძელდება. შეუძლებელია, მასმედიის რომელიმე საშუალება სასამართლოს ძალით დასაჯოს რიგითმა მოქალაქემ მაშინ, როდესაც ცილისწამების გამო მასმედიას პასუხს ვერ სთხოვენ პარლამენტარები, ბანკირები და ა. შ. ამ შემთხვევაში, მასმედიას მიეკუთვნება სოციალური ქსელები და მათი მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციაც. ფორმალურად, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრდეს მასმედიაში გასული რეპორტაჟი, მაგრამ არა ცილისწამებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. ადმინისტრაციული სანქციები სიმბოლურ ხასიათს ატარებს. **თუკი სასამართლო მასმედიას ბოდიშის მოხდას დაავალდებულებს, ეს გამოცემა ფორმალურ ბოდიშს უარეს შეურაცხყოფასა და ცილისწამებას მოაყოლებს, ანუ მასმედიის სახით ჩვენ გვაქვს მახინჯი მონსტრი, რომელიც შანტაჟისა და კორუფციის საუკეთესო საშუალებაა და ეს, ფაქტობრივად, ლეგალიზებულია.**

მხოლოდ ახლა გააქტიურდა ხელისუფლების ნაწილი ამ კუთხით და პრეზიდენტმა წამოჭრა ცილისწამების შესახებ კანონის არსებობის აუცილებლობის საკითხი. მას აჰყვა ბატონი „ჩიჩილაკიც“, მაგრამ უფრო ადრე ეს თემა მასმედიის რამდენიმე წარმომადგენელმა, კერძოდ, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტებმა, გაახმაურეს ბიძინა ივანიშვილისადმი მიწერილ ღია წერილში, რომელიც მისდამი შეკითხვებს შეიცავს (იხ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №40, 2018წ.). **ვეთანხმები „საქართველო და მსოფლიოს“ ინიციატივას, შეიქმნას მყარი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მიმართული იქნება სიცრუის, დეზინფორმაციისა და ცილისწამების თავიდან აცილებისა და დასჯისკენ. არავის და მით უფრო, ჟურნალისტებს არ სურთ ცენზურის ამა თუ იმ ფორმით შემოღება, მაგრამ საჭიროა ელემენტარული მორალური ნორმების დაცვა. ვინაიდან ეს კანონის გარეშე არ გამოდის და „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ აშკარად არასაკმარისი ავტორიტეტია ჟურნალისტების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის, მისაღებია კანონი ან კანონები.** პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს საკუთარ თავზე გამოსცადა, რა არის ცილისწამება, ჭორებისა და სიბინძურის გავრცელება. ამას, სხვათა შორის, დიდი ხანია, ვიტანთ „პრორუსად“ მონათლული პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, სხვა პროფესიების წარმომადგენელი რიგითი ადამიანები... ახლა ხელისუფლებაც, როგორც ჩანს, შეწუხდა ამ პრობლემით და მოცემულ კონკრეტულ საკითხში იგი ჩვენს სრულ მხარდაჭერას იმსახურებს.

**გულბაათ რცხილაძე**

„იქ პოროშენკო და დეპუტატები აკეთებდნენ განცხადებებს, აქ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარეს ეკითხებიან: მხარს დაუჭერთ თუ არაო. როდის აქეთ გახდა ეს ან პრეზიდენტის, ან პრემიერის, ან პარლამენტის თავმჯდომარის გადასაწყვეტი?! ან რატომაა ამ საკითხზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია ასეთი მნიშვნელოვანი, რომ თითქმის ყველა ტელეარხმა მთელი დღე ატრიალა?“

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა გიორგი (რაზმაძე):

# საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მიღებული უნდა იქნას საეკლესიო კანონიკის შესაბამისად

**მას შემდეგ, რაც მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა უკრაინის ეკლესიის გარშემო წლების წინათ მის მიერვე დაწყებული რელიგიური ცირკი და ბაკქანალია შობის წინა დღეს, 6 იანვარს, „მიტროპოლიტ“ ეპიფანესთვის ავტოკეფალიის ტომოსის გადაცემით დააგვირგვინა (ამან სრულიად მართლმადიდებელ სამყაროში დიდი განხეთქილების საფრთხე კიდევ უფრო გაამძაფრა), საქართველოს საპატრიარქოს დუმილისა და პოზიციის გამოხატვისგან თავის შეკავების ხანგრძლივი ვადა, ფაქტობრივად, ამოეწურა.**

**მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სინოდში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა და მეტიც — კულუარული ინფორმაციით, სერიოზული დაპირისპირებაც, ერთ რამეზე ყველა თანხმდება: გაურკვევლობა, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების არარსებობის გამო დღემდე გრძელდება, უნდა დასრულდეს. თუმცა საკითხავია, როგორ და რა პრინციპით იხელმძღვანელებს გაერთიანებული კრება ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მაშინ, როცა სამღვდელოების ნაწილი უკვე ულოცავს უკრაინას საეკლესიო დამოუკიდებლობას, ნაწილი კი კანონიკური ნორმების დაცვაზე საუბრობს. როგორც ჩანს, შიდასაეკლესიო დაპირისპირება, რომლის მიღმაც დიდი კონფლიქტი და უთანხმოებები იმალება, კულმინაციას უახლოვდება. ერთი რამ ამთავითვე ნათელია — ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბართლომეოსის მომხრე ძალების მხრიდან შუღლი და კინკლაობა წმინდა სინოდში გაგრძელდება... რა პროცესები მიდის ამჟამად საქართველოს საპატრიარქოში უკრაინის ავტოკეფალიის საკითხის გარშემო და რა გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ საბოლოოდ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის ეკლესიის გარშემო მიმდინარე პროცესებს 6 იანვარს საბოლოო სახე მისცა. მან, შეიძლება ითქვას, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა, თუმცა ჯერ კიდევ არავინ იცის, ეს რით დასრულდება. რა მიიღო უკრაინამ რეალურად?**

— სამწუხაროდ, **„არანაირი დამოუკიდებელი ეკლესია უკრაინას არ მიუღია. უკრაინის ამ ახალ „ეკლესიას“ არ ჰყავს პატრიარქი, მათ არ აქვთ მირონის ხარშვის უფლება; არ აქვთ უფლება, შექმნან ეპარქიები საზღვარგარეთ; ხოლო ის ეპარქიები, რომლებიც ჰქონდათ, ბართოლომეოსის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავიდა, ე.ი., მნიშვნელოვნად შეიკვეცნენ ტერიტორიულად და რაოდენობრივად. ისინი თავიანთ მეთაურად სტამბოლის საპატრიარქოს აღიარებენ, არ შეუძლიათ ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, ამისთვის უნდა მიმართონ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ა.შ. სად არის აქ დამოუკიდებლობა? და ყველაფერ ამას თვალთმაქცნი ავტოკეფალიას უწოდებენ“.**

**— ახლა ყველა გაფაციცებით ელოდება დანარჩენი მართლმადიდებელი ეკლესიების პოზიციას. მათ შორისაა საქართველოც. თქვენი აზრით, რა პრინციპით იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში ჩვენი საპატრიარქო?**

— სანამ მთავარზე გადავალ, ერთ რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება: ტომოსის გადაცემის დღეს, 6 იანვარს, ზოგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს მოხდა შობის წინა დღეს, რაც არასწორია. მოგეხსენებათ, ისინი, უკვე დიდი ხანია, ახალ კალენდარზე არიან გადასულნი და 7-ში არა შობას, არამედ ნათლისღებას აღნიშნავენ. სხვათა შორის, ესეც არის დიდი ცოდვა, იმიტომ, რომ ადამიანი ორი კვირით ასწრებს ყველა დღესასწაულს და ცდება მართებულ ტრადიციას, რაც თავის დროზე მსოფლიო კრებებმა განსაზღვრა. თუმცა ეს დოგმატური საკითხი არ არის, კანონიკურია და ბერძნები ამას, სამწუხაროდ, დიდ ცოდვად არ მიიჩნევენ. რაც შეეხება ტომოსის გადაცემას, იმ დღეს მოხდა ასეთი უცნაური ფაქტი, რაც მედიამ, ბუნებრივია, არ გააშუქა: **როდესაც ეს ტომოსი, რომელიც სპეციალურ პერგამენტზე იყო დაბეჭდილი, ჩაიტანეს კიევში, აღმოჩნდა, რომ მასზე ხელს მხოლოდ ბართოლომეოსი აწერდა.** ეს, ფაქტობრივად, დარღვევაა და ატყდა ერთი ამბავი. მერე ხელახლა გადააფრინეს თვითმფრინავი და სასწრაფოდ შეკრიბეს სინოდი, რათა მის ყველა წევრს მოეწერა ხელი. ვილაცისთვის ამას შეიძლება არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ, როდესაც ასეთი მოვლენა ხდება, მსგავსი შეცდომები უმნიშვნელო არ არის...

**— რატომ არ იყო ტომოსზე თავიდანვე სინოდის ყველა წევრის ხელმოწერა?**

— ვერ გეტყვით. ძნელი სათქმელია, გამორჩათ თუ, უბრალოდ, ბართოლომეოსი ამ ყველაფერს ძალიან ზედაპირულად უყურებდა, მაგრამ ფაქტია. ჩვენთვის, ალბათ, მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ჩვენი პოზიციაა.

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველოს საპატრიარქო დიდი ხნის განმავლობაში არ თუ ვერ გამოხატავდა თავის პოზიციას ამ საკითხზე. მაღალი იერარქები თავს არიდებდნენ მინიშნებების დონეზეც კი აზრის გამოთქმას, თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო, როცა ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მისვლა იქნებოდა გარდაუვალი. **ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ვფიქრობ, დუმილი ამ შემთხვევაში გამოსავალი არ არის...**

**— ის, რომ აქამდე საპატრიარქოს კონკრეტული განცხადების გაკეთება უჭირს, რაზე მეტყველებს?**

— ეს ისეთი მნიშვნელობის საკითხია, რომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილება ერთი კონკრეტული თვალსაზრისით შეიძლება კარგი აღმოჩნდეს, მაგრამ სხვა მხრივ დაგაზარალოს. ამიტომ ვთქვი ადრეც თქვენთან ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ორ ცეცხლშუა ვართ... თუმცა, რა თქმა უნდა, **საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მიღებული უნდა იქნას საეკლესიო კანონიკის შესაბამისად და, რა საფრთხეებზეც უნდა იყოს საუბარი, აქ კომპრომისზე ფიქრიც ზედმეტია.** რაც შეეხება სინოდს, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ამ ეტაპზე მათი აზრი და ვერ გეტყვით, მომავალში რა როგორ წარიმართება. ჩემთვის გასაგებია, რომ ვილაცას გული შესტკივა უკრაინელ ხალხზე და პირადი დამოკიდებულების გამოხატვა უნდა, მაგრამ, როდესაც მღვდელმთავარი ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება-არმინიჭების საკითხზე საუბრობს, მან ემოციები განზე უნდა გადადოს და სჯულის კანონებით განმარტოს, რატომაა ეს აუცილებელი.

**— თქვენ ვერ მოისმინეთ ეს განმარტება?**

— აქამდე რაც მოვისმინე, იყო მხოლოდ პოლიტიკურ-იდეოლოგიურად მოტივირებული მსჯელობა, რასაც ვერ ვაკავშირებ საეკლესიო კანონიკის პრინციპებთან. უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება ძალიან რთული საკითხია. ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას: როდესაც სქიზმატი ინანიებს ცოდვას და ბრუნდება ეკლესიის წიაღში, ის ბრუნდება არა იმ სამღვდელო ხარისხით, რომელიც მანამდე ჰქონდა, არამედ, როგორც ერისკაცი. ბართოლომეოსმა ესეც დაარღვია და **ფილარეტსა** და **ეპიფანეს** სამღვდელო ხარისხები აღუდგინა. მეორე — უკრაინის ე.წ. ავტოკეფალიურ ეკლესიაში არიან ისეთი თვითმარქვია ეპისკოპოსები, რომლებსაც მართლმადიდებელი სამყარო, გარდა კონსტანტინოპოლისა, არ ცნობს. ისინი არიან იმ დროს ნაკურთხი „ეპისკოპოსები“, როცა სქიზმაში იყვნენ და ეს „კურთხევა“, ცხადია, მოხდა ნორმების უხეში დარღვევით. სხვა დანარჩენ გადაწყვეტილებებზე აღარ ვისაუბრებ. უბრალოდ, **აქ ახლა არის მთავარი და ხაზგასასმელი ის მომენტი, რომ საქართველოს ეკლესია უნდა იყოს პრინციპული.**

**— და, თუ არ ვაღიარებთ, რა წინააღმდეგობებს წავაწყდებით? სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც უკრაინას „საეკლესიო დამოუკიდებლობა“ მიულოცა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იყო...**

— **მსოფლიოს მერვე საეკლესიო კრება, რომელმაც დიდწილად ნიადაგი შეუმზადა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, ვფიქრობ მართული იყო სწორედ ორი სახელმწიფოს — ისრაელისა და ამერიკის — სპეცსამსახურების მიერ.** რაც შეეხება წინააღმდეგობას, ანტიმართლმადიდებლური კამპანია, პროპაგანდა და ცილისწამებები ჩვენი ეკლესიისთვის უცხო არ არის, მაგრამ უკრაინის ეკლესიის საკითხი შეიძლება უფრო დიდი წყალგამყოფი აღმოჩნდეს. აქ, ალბათ, ისევ გაგრძელდება ციანიდის საქმის მსგავსი პროვოკაციები, იქნება უარესი სიბინძურეებიც და ამას ვერ გავექცევით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამათ ხელში უფრო ცუდის მოლოდინში ვართ და ეს გასაკვირი არ არის. ისე, მე ერთი რამ მაინტერესებს, რომ მივარდნენ ეს ჩვენი „ლიბერალი“ ჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლებს და შეფასებებს სთხოვდნენ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაზე, ეს ის „ლიბერალები“ არ არიან, რომ გვიკიჟინებენ, ეკლესია და სამღვდელოება სახელმწიფოსგან გამიჯნული უნდა იყოსო?! **იქ პოროშენკო და დეპუტატები აკეთებდნენ განცხადებებს, აქ კი პარლამენტის თავმჯდომარეს ეკითხებიან, მხარს დაუჭერთ თუ არაო. როდის აქეთ გახდა ეს ან პრეზიდენტის, ან პრემიერის, ან პარლამენტის თავმჯდომარის გადასაწყვეტი?! ან რატომაა ამ საკითხზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია ასეთი მნიშვნელოვანი, რომ თითქმის ყველა ტელეარხმა მთელი დღე ატრიალა?..** რაც შეეხება ისევ „ლიბერალურ“ პროპაგანდასა და კამპანიას ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც გითხარით, მომავალში უფრო გამძაფრდება. თუკი ჩვენი ეკლესია მხარს არ დაუჭერს უკრაინის ავტოკეფალიას და, კიდევ ვიმეორებ, ეს იქნება კანონიკური ნორმების კარნახით მიღებული გადაწყვეტილება, დაიწყება პირდაპირი შეტევები კონკრეტულ სასულიერო პირებზე. ამას შეიძლება ჰქონდეს როგორც პროვოკაციული, ისე ცილისმწამებლური ხასიათი მის „რუსეთის აგენტობაზე“. ასე რომ, „ბრალდებების“ მთელი კასკადი შეიძლება ვიხილოთ. აი ზუსტად ამიტომ მინდა, მივმართო ჩვენს საზოგადოებასა და თითოეულ იმ ადამიანს, რომლებიც ამ პროპაგანდის მიერ შეცდომაშია შეყვანილი — არავითარ აგენტობაზე არ არის საუბარი. **თუ ეკლესია საეკლესიო კანონიკას იცავს და გარკვეულ ძალებთან კომპრომისზე არ მიდის, რუსეთის აგენტობა არ არის!** კიდევ ვიმეორებ: ჩვენც გვწყდება გული იმაზე, რაც უკრაინაში ხდება, და ეს არ შეიძლება მოსწონდეს ნორმალურ ადამიანს, მაგრამ ერთია ემოციები და მეორე — პრინციპები, რომლებსაც არ შეიძლება გადააბიჯო. საქართველო და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესია ამ პრინციპებზე იდგა, ამან მოგვიყვანა დღემდე და არ შეიძლება ვუღალატოთ....აქვე მინდა, გამოვეხმაურო კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. როგორც კი გადასცა მსოფლიო პატრიარქმა უკრაინას ტომოსი და სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებმა, სასულიერო პირებმა დაიწყეს განცხადებების გავრცელება, საქართველოდანაც გამოხტნენ ვიღაც-ვიღაცები და მიულოცეს. მათ შორის იყო **მალხაზ სონღულაშვილი,** ბაპტისტების „მიტროპოლიტი“, კიდევ — **„მეუფე“ რუსუდანი,** აგრეთვე, უკრაინაში „ნაკურთხი“ მღვდელი, **უგულავას** მეგობარი. განცხადებით გამოეხმაურა ამ ფაქტს საქართველოს **მუსლიმანთა თემის წარმომადგენლობა.** ეს არის ფაქტები იმისა, რომ ეს ეკუმენისტური სატანის მსახურები ერთად ებრძვიან დედაეკლესიას; ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ გონება და ანალიზის უნარი, უნდა გააცნობიერონ, რა ხდება. სხვათა შორის, უკრაინაში „ნაკურთხი“ ის მღვდელი, **ნიკოლოზი** რომ ჰქვია და, თუ არ ვცდები, **ინასარიძეა** გვარად, თავის დროზე უგულავამ ჩამოიყვანა საქართველოში (იქ, უკრანაში, ფეხი ვერ მოიკიდა) და თანაშემწედ დაინიშნა მერიაში. მას ექვსი ათას ლარს უხდიდა თვეში და ფუფუნებაში აცხოვრებდა. აი, ასეთი ხალხია დღეს ეკლესიის წინააღმდეგ მომართული და, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები გამოიყენებენ ყველა საშუალებას, რათა დედაეკლესია გახლიჩონ. ამისთვისაა შექმნილი ეს მოძრაობები და ამისთვის იბრძვიან სერიოზული ძალები არა მხოლოდ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც.



> **«არანაირი დამოუკიდებელი ეკლესია უკრაინას არ მიუღია. უკრაინის ამ ახალ «ეკლესიას» არ ჰყავს პატრიარქი, მათ არ აქვთ მირონის ხარშვის უფლება; არ აქვთ უფლება, შექმნან ეპარქიები საზღვარგარეთ; ხოლო ის ეპარქიები, რომლებიც ჰქონდათ, ბართოლომეოსის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავიდა, ე.ი., მნიშვნელოვნად შეიკვეცნენ ტერიტორიულად და რაოდენობრივად. ისინი თავიანთ მეთაურად სტამბოლის საპატრიარქოს აღიარებენ, არ შეუძლიათ ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, ამისთვის უნდა მიმართონ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ა.შ. სად არის აქ დამოუკიდებლობა? და ყველაფერ ამას თვალთმაქცნი ავტოკეფალიას უწოდებენ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში ცარიელზე დარჩენილი სტამბოლელი გაიძვერები კარგავენ არცთუ მრავალრიცხოვან, მაგრამ გავლენიან და შეძლებულ სამრევლოებს დასავლეთ ევროპაში. ეს პროცესი პერსპექტივაში სრულიად მსოფლიოში გავრცელდება. ამასთანავე, თუ დაკარგავენ სამრევლოების მნიშვნელოვან ოდენობას თურქეთის საზღვრებს მიღმა, გამორიცხული არ არის, ბართოლომეოსი გადაიქცეს „ერთი კვარტლის პატრიარქად“, ასეთი პატრიარქი თურქეთსაც არ სჭირდება. ანკარა დაინტერესებულია მსოფლიო მართლმადიდებლობაზე გავლენის მქონე ძალით და არა არაფრისმქნელი სტრუქტურით, რომელიც თურქეთის ბიუჯეტზე პარაზიტობს.**

# სტამბოლის საპატრიარქოს თამაშები

**როგორც იქნა, ყველა დარწმუნდა, რომ ბართოლომეოსმა უკრაინის მოსახლეობის ანტიმართლმადიდებელი ნაწილის სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უკრაინაში შექმნა თავისი მიტროპოლია. როგორც იქნა, მასმედიამ ისწავლა და უკვე ზუსტად მოიხსენიებს ბართოლომეოსს, ვითარცა სტამბოლის პატრიარქს.**

მიტროპოლია არის.

მაგრამ მიტროპოლიაში მართლმადიდებლები არ არიან.

არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია (მათ შორის, ისეთებიც, რომელთაც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან რთული ურთიერთობა აქვს), არ ჩქარობს, მიიღოს და აღიაროს ბართოლომეოსის შეთავაზებული სიახლე და ამჯობინებს, დაელოდოს, რა შედეგს გამოიღებს მისი ჩანაფიქრი.

ბართოლომეოსმა იცოდა, რომ თითოეულ მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი პრობლემები აწუხებს და არ სურს, მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელი ეკლესიის საქმეში ფენერის ჩარევას. გამორიცხული არ არის, რომ ტომოსი მოითხოვონ მისმა საკუთარმა „რასკოლნიკებმა“.

ცხადია, **სტამბოლში იცოდნენ, რომ მათ ქმნილებას დაუყოვნებლივ მხარს არ დაუჭერდნენ და იმედოვნებდნენ, რომ პრობლემას ეტაპობრივად გადაჭრიდნენ თითოეულთან მოლაპარაკების მეშვეობით, ინდივიდუალურად, მაგრამ საამისოდ ფენერს და პირადად ბართოლომეოსს მინიმალური მხარდაჭერისთვის სერიოზული შედეგები უნდა მოეპოვებინა, რადგან გამარჯვებას ყოველთვის ბევრი მამა ჰყავს, დამარცხება კი ყოველთვის ობოლია. არავის სურს, წაგებულის გვერდით დადგეს.**

რა შეეძლო მოეგო ბართოლომეოსს? რისი იმედი ჰქონდა?

ამაზე პასუხს ვიპოვით ბართოლომეოსსა და პოროშენკოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელიც წინ უსწრებდა „რასკოლნიკების“ გამაერთიანებელ ყრილობასა და სტამბოლის ტომოსს. **ბართოლომეოსს დაჰპირდნენ, რომ პირველ ჯერზე გადასცემდნენ 35 ყველაზე უფრო ცნობილ და თაყვანსაცემ მონასტერსა და ტაძარს (კიევ-პეჩორისა და პოჩაევის ლავრების ჩათვლით).**

* ფენერს მაინცდამაინც ისტორიული სიწმინდეების ხელში ჩაგდება აინტერესებდა. იგი ვარაუდობდა, რომ ყველა მართლმადიდებელი უარს არ იტყვის ტრადიციული წმინდა ადგილების მოლოცვაზე მათი იურისდიქციის შეცვლის გამო. ე.ი., მომლოცველთა ნაკადი შეიძლება შემცირებულიყო, მაგრამ უმნიშვნელოდ. ყოველ შემთხვევაში, დაწრეტა არ დაემუქრება.

* ბართოლომეოსი მიიჩნევდა, რომ უკრაინაში ფენერის ქვეშევრდომი სტრუქტურის შექმნითა და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებზე კონტროლის დაწესებით ხელთ იგდებდა უკრაინულ მართლმადიდებლობას. შემდეგ კი თანდათან, ადმინისტრაციული ღონისძიების ზემოქმედებით მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია შეერწყმოდა ახალშექმნილ მიტროპოლიას. წინამძღოლის ტიტულიც სრულად ჰქონდა გადმოღებულ-გამეორებული: „კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი“.

* გაერთიანებული „რასკოლნიკების“ შემოერთებით ბართოლომეოსი თავისი საწმყსოების რაოდენობას სამჯერ გაზრდიდა. მას მიაჩნდა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე თანდათან, მაგრამ საკმაოდ სწრაფად დაამყარებდა კონტროლს და ბართოლომეოსის საპატრიარქო გაუტოლდებოდა მსოფლიოში უდიდეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

იდეა ცუდი არ იყო, მაგრამ მხედველობაში უნდა ჰქონოდა, რომ მისი რეალიზაცია შესაძლებელი იქნებოდა უკრაინის ხელისუფლებასა და უკრაინელ „რასკოლნიკებთან“ კავშირში, რომლებსაც ბართოლომეოსზე მეტად არ სწამთ ღმერთი, ხოლო ფული მასზე მეტად უყვართ.

**მას შემდეგ, რაც პოროშენკომ მიიღო თავისი ტომოსი და თავისი „ეკლესია“, ბართოლომეოსი ფეხებზე დაიკიდა, თუმცა უარი არ უთქვამს ეკლესიებისა და მონასტრების ფენერის კონტროლს დამორჩილებაზე,** მაგრამ ეს საქმე ზედმეტი თავის ტკივილია.

***ჯერ ერთი,*** მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია არ აპირებს სიწმინდეების საკუთარი ნებით გადაცემას, ხოლო დასავლეთი (ამერიკელებისა და ევროპელების სახით) მოითხოვს ცივილიზებული ნორმების დაცვას, რათა სისხლი არ დაიღვაროს და, ღმერთმა არ ქნას, არჩევნები ჩაიშალოს. პოროშენკო თითქოს უკვე მიხვდა, რომ არჩევნების ჩაშლა მისი უკანასკნელი შანსია, მაგრამ მისთვის დამახასიათებელ სტილში ბოლო წუთამდე ორჭოფობს. საშინელება ძალაუფლების დაკარგვა (თავისიანებს კარგად იცნობს — მოკლავენ, ხელიც არ აუკანკალდებათ), მაგრამ დასავლეთის წინააღმდეგ გამოსვლაც საშიშია. როსტოვში არ მიიღებენ, კოლიმისკენ კი გზა ექნება გახსნილი და ყველაფერს, რაც მუხლჩაუხრელი შრომით დაუგროვებია, მომენტალურად წაართმევს დასავლეთი (რადგან ქონება დასავლეთის ბანკებში აქვს გადამალული). თანაც, შეძლებს თუ არა დასავლეთის ნების საწინააღმდეგოდ უკრაინის სათავეში დარჩენას, ალაჰმა უწყის. არ გაუჭირდება არც ახალი მაიდნის მოწყობა, არც სნაიპერის გამოგზავნა. გამოდის, რომ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების ხელში ჩაგდება ძალადობისა და სისხლისღვრის გარეშე შეუძლებელია, ხოლო ძალადობა და სისხლისღვრა გამოიწვევს სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვას, არჩევნების ჩაშლას და დასავლეთის უკმაყოფილებას შესაბამისი დასკვნებითურთ. როგორღა შეძლებს ბართოლომეოსისთვის



**ტომოსთან დაკავშირებული პერიპეტიების განვითარების პროცესში არც ერთმა კანონიკურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, გარდა საკუთარისა, ბართოლომეოსს მხარი არ დაუჭირა. კათოლიკეებმაც კი, რომის პაპის სახით, მხარი დაუჭირეს მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას და გაგებით მოეკიდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას**



**ბართოლომეოსი მიიჩნევდა, რომ უკრაინაში ფენერის ქვეშევრდომი სტრუქტურის შექმნითა და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებზე კონტროლის დაწესებით ხელთ იგდებდა უკრაინულ მართლმადიდებლობას. შემდეგ კი თანდათან, ადმინისტრაციული ღონისძიებების ზემოქმედებით მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია შეერწყმოდა ახალშექმნილ მიტროპოლიას. წინამძღოლის ტიტულიც სრულად ჰქონდა გადმოღებულ-გამეორებული: «კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი»**

მიცემული დაპირების შესრულებას?! მოითმინოს!

**მეორე.** პოროშენკოს ზემოქმედებით გაერთიანებულ სქიზმატიკოსებსა და „რასკოლნიკებს“ არა მხოლოდ უწინდებურად სძულთ ერთმანეთი (წინააღმდეგობანი დროებით დამალეს, მაგრამ არ დავიწყებიათ), ბართოლომეოსი კი მათი კონკურენტი გახდა, რომლის ყოფნა უკრაინაში არასასურველია. მისგან მათ მიიღეს ყველაფერი, რაც სურდათ. ანათემისგან გაათავისუფლეს და მათი კანონიკურობა აღიარეს. ეს კანონის დარღევით რომ მოხდა, სულაც არ აწუხებთ. მიუფურთხებიათ! ღმერთისა მათ მაინც არ სწამთ და თავიანთი „კონსტანტინოპოლური წარმოშობის“ დამოწმებით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქონება წაჰგლიჯონ და თავგზა აუბნიონ ზოგიერთებს, რომლებიც მათ უწინ ერიდებოდნენ არაკანონიკურობის გამო, და ახლა შეიძლება წამოეგონ ტომოსის ანკესს.

და სულაც არ აპირებენ ყველაზე მომგებიანი მონასტრები და ეკლესიები ბართოლომეოსის ეპარქიას დაუმორჩილონ. მათ ამ ძროხის წველა თვითონ სურთ. და აქ ბართოლომეოსი, როგორც მესამე, ზედმეტია.

შედეგად, **ფენერელ მოხუცს ამერიკული ვალუტით სავსე ორი ჩემოდნისა (პოროშენკოს მადლიერების ნიშნად ტომოსის მიცემის გამო) და კიევის მუდმივად შეკეთებაში მყოფი ანდრიას ეკლესიის მეტი არაფერი მიუღია. დამატებით რაიმეს მიღება ძნელი წარმოსადგენია.**

მსოფლიო მართლმადიდებლურ სივრცეში, მართალია, ყველას მკვეთრად არ გაუკრიტიკებია ფენერი, მაგრამ **ტომოსთან დაკავშირებული პერიპეტიების განვითარების პროცესში არც ერთმა კანონიკურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, გარდა მისი საკუთარისა, ბართოლომეოსს მხარი არ დაუჭირა. კათოლიკეებმაც კი, რომის პაპის სახით, მხარი დაუჭირეს მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას და გაგებით მოეკიდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას.**

მეტიც, უკრაინაში გააქტიურდნენ უნიატები. მათი ამბიციები, დიდი ხანია, რომსაც კი აწუხებს. ამის გამო იყო, რომ **რომის პაპმა** და **პატრიარქმა კირილემ** ერთობლივად დაგმეს უნიათობა კუბაში გამართული შეხვედრის დროს. უნიატებმა, ფაქტობრივად, მოინდომეს დამოუკიდებელ კონფესიად გარდაქმნა, რომელსაც საკუთარი პატრიარქი ჩაუდგებოდა სათავეში.

უკრაინის „რასკოლნიკებს“ სჭირდებათ საპატიო საბაბი ბართოლომეოსის მეურვეობიდან თავის დასაღწევად. პოროშენკოს სჭირდება ახალი გამარჯვებები საეკლესიო ფრონტზე თემის აქტუალურობის შესანარჩუნებლად.

ახალი საეკლესიო გაერთიანება ორივე ამ ამოცანას გადაწყვეტს. მესამე ძალის გამოჩენა ართულებს კომპრომისის მიღწევას, მაგრამ **უნიატებმა იციან მოცდა და შეუძლიათ დროებით დათმობაზე დათანხ-** ▶

**ტომოსში მითითებულია, რომ მსოფლიო ეკლესიის უფლებები უკრაინის საეგზარქოსოზე შეუმცირებლად რჩება. ასეთი რამ არსად სხვაგან არ არის. არც ერთ მართლმადიდებელ ეკლესიას თავის კანონიკურ ტერიტორიაზე არ აქვს არც სტავროპიგიები (ანუ დამორჩილებული ადმინისტრაციული ერთეულები). აქამდე დაშვებული იყო მხოლოდ ტაძრების არსებობა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ეკლესიათა შორის კავშირი.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მება. ამას გარდა, თამაშიდან გაჰყავთ ბართოლომეოსი. პოროშენკოს შეუძლია თავი მოუქონოს ელექტორატს და დააჯეროს, რომ მან შეუძლებელი შეძლო და არა მხოლოდ „გააერთიანა“ მართლმადიდებლები, არამედ უნიატებსაც მოელაპარაკა „ერთიანი ეკლესიის“ შესახებაც. ახალ „გაერთიანებაზე“ აქცენტირებით ტაძრების გადაცემის საკითხი შეიძლება სამომავლოდ გადაიდოს და ამით დასავლეთთან დაპირისპირებაც თავიდან აირიდოს.**

აშკარაა, რომ „გაერთიანებით“ უნიატები, ფაქტობრივად, შთანთქავენ უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას. სხვა თუ არაფერი, უნიატები ლეგალურები არიან, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კი გაუგებარია, რას წარმოადგენს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში **დენისენკოს (ფილარეტს)** აქვს გავლენა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს და მაქსიმალურად ლეგალური გახადოს პატრიარქის მითვისებული წოდება, ხოლო ბერძენი-კათოლიკენი, დიდი ხანია, ოცნებობენ, დაიწესონ საპატრიარქო, შეთანხმების მიღწევა უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

**უნიატები, რომლებიც, კარგა ხანია, რომის ოპონენტები არიან, განუცხადებენ პაპს, რომ ხელიდან არ გაუშვებენ უკრაინის მართლმადიდებლურ რეგიონებში თავიანთი გავლენის გაძლიერების შესაძლებლობას, რომ ფილარეტი მალე გარდაიცვლება და, საერთოდ, რომი არ უნდა ჩაერიოს მართლმადიდებლობის პრობლემებში, მით უფრო, რომ კონსტანტინოპოლმა აღიარა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურობა. საეჭვოა, რომ რომი ასეთ ვითარებაში გარისკავს უნიატებთან საჯარო დაპირისპირებას. სავარაუდოა, რომ განზე გადგება.** უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის უნიაში, ფაქტობრივი, გადასვლის სანაცვლოდ გაერთიანებული ეკლესიის მეთაურად ფილარეტის არჩევით ბერძენი კათოლიკები მიიღებენ დე ფაქტო პატრიარქს (რაზეც, დიდი ხანია, ოცნებობენ), ასევე — სრულიად უკრაინის სტატუსს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ეკლესიისთვის, რომელიც ებრძვის მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას. ფილარეტი სადაცაა 90-ის გახდება და მის ადგილზე შესაძლებელი იქნება სხვა „პატრიარქის“ არჩევა.

რთული სამუშაოა შესასრულებელი, კონსულტაციები ინტენსიურად მიმდინარეობს. მარტისთვის ბართოლომეოსმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ბევრს ეცადა თავისთვის და გამოუვიდა სხვისთვის. უკრაინაში მან, ფაქტობრივად, ვერაფერი მიიღო და შეიძლება დაკარგოს ისიც კი, რაც გარანტირებული ეგონა.

მაგრამ ფენერისთვის სიტუაციის დრამატიზმი ისაა, რომ უკრაინაში სანაძლეო ვერ მიიღწია, დანაკარგები ეზრდება სხვაგანაც. **1990-იანი წლებიდან რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ პირველად განაცხადა ორი საეგზარქოსოს შექმნის შესახებ: დასავლეთ ევროპაში (ცენტრით პარიზში) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ცენტრით სინგაპურში). ამას გარდა, ყალიბდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია, რომელიც მოიცავს ესპანეთსა და პორტუგალიას, ცენტრი მადრიდში იქნება განთავსებული.**

აქამდე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ფორმალურად არ აღიარებდა დიასპორებთან მუშაობას ფენერის მიერ მითვისებულ ექსკლუზიურ უფლებას იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი ეკლესიები, და ცდილობდა არ გაემწვავებინა ვითარება (1990 წლისთვის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საეგზარქოსო უცხოეთში გაუქმებული იყო). დღეს მათ აღადგენენ. ადვილად მისახვედრია, რომ დასავლეთევროპულ საეგზარქოსოში შევა, მაგალითად, ფენერის ანალოგიური საეგზარქოსო, რომელიც ბართოლომეოსმა შარშან, შემოდგომაზე გააუქმა უკრაინის ავტოკეფალიის საკითხში მისი პოზიციის გაკრიტიკების გამო. სხვა ადგილებშიც უფრო ძლიერი და უფრო ადეკვატური რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია განდევნის ვერცხლის მოყვარულ სტამბოლელ ქვეშქვეშებს. ყოველ შემთხვევაში, **მიტროპოლიტი ილარიონი** დაგვპირდა, რომ ამიერიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია იმოქმედებს ისე, თითქოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საერთოდ არ არსებობს.

უკრაინაში ცარიელზე დარჩენილი სტამბოლელი გაიძვერები კარგავენ არცთუ მრავალრიცხოვან, მაგრამ გავლენიან და შეძლებულ სამრევლოებს დასავლეთ ევროპაში. ეს პროცესი პერსპექტივაში სრულიად მსოფლიოში გავრცელდება. ამასთანავე, თუ დაკარგავენ სამრევლოების მნიშვნელოვან ოდენობას თურქეთის საზღვრებს მიღმა, გამორიცხული არ არის, ბართოლომეოსი გადაიქცეს „ერთი კვარტლის პატრიარქად“, ასეთი პატრიარქი თურქეთსაც არ სჭირდება. ანკარა დაინტერესებულია მსოფლიო მართლმადიდებლობაზე გავლენის მქონე ძალით და არა არაფრისმქნელი სტრუქტურით, რომელიც თურქეთის ბიუჯეტზე პარაზიტობს.

პოროშენკომ შეიძლება მხარი დაუჭიროს ფენერის ინტერესების დამკვიდრების ძალისმიერ ვარიანტსაც, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს კარგი იქნეს ბართოლომეოსისთვის. მსოფლიო მართლმადიდებლობის თვალში იგი უკრაინაში მართლმადიდებლობის დევნის მთავარი დამნაშავეა, ხოლო დაპირისპირება ბართოლომეოსსა და ფილარეტს შორის არსად გაქრება. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საეპისკოპოსო, ჩანს, ფილარეტს დაუჭერს მხარს.

უკრაინა ფენერისთვის შეიძლება გადასაყლაპად ძალიან ძნელ და რთულ ლუკმად იქცეს. ყელში გაჩხერილისგან გათავისუფლება კი ბართოლომეოსს თავისი სიხარბის გამო გაუჭირდება.



# შეურაცხმყოფელი ტომოსი. უნიკალურად ნაკლული უკრაინის ავტოკეფალია

**6 იანვარს პატრიარქმა ბართოლომეოსმა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ტომოსი გადასცა და ფიქტიური დამოუკიდებლობის შესახებ გავრცელებული ხმები დადასტურდა. ამ დოკუმენტის შედარება კონსტანტინოპოლის მიერ ავტოკეფალიის შესახებ გაცემულ სხვა ტომოსებთან ააშკარავებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის ხუთ შეზღუდულობას.**

**1. ეკლესიის მეთაურის შესახებ დებულება.**

ტომოსში ნათქვამია, რომ ეკლესიის კანონიკურ მეთაურს მინიჭებული აქვს „კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტის“ ტიტული. ტიტულისთვის რაიმეს დამატება ან გამოკლება დაუშვებელია კონსტანტინოპოლის ეკლესიის ნებართვის გარეშე. მართალია, ყველა მართლმადიდებელ ეკლესიის სათავეში არ დგანან პატრიარქები, მაგრამ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, ეკლესიების ხელმძღვანელებს აქვთ პატრიარქის ტიტული. გამონაკლისია მხოლოდ ორი სახელმწიფო — ბერძენთა უმრავლესობით დასახლებული საბერძნეთი და კვიპროსი, რაც დაკავშირებულია მათი განსაკუთრებული დამოკიდებულებით კონსტანტინოპოლის წარმოშობით ბერძენ პატრიარქთან.

როცა სამი საუკუნის წინათ ავტოკეფალია უბოძეს სერბეთისა და რუმინეთის ეკლესიებს. პირველს მართავდა მიტროპოლიტი, მეორეს — სინოდი. 1920 და 1925 წლებში ისინი საპატრიარქო წყობაზე გადავიდნენ. რაც აღიარა კონსტანტინოპოლმა, და შესაბამისი ტომოსები გამოსცა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატრიარქები აირჩიეს.

**და მხოლოდ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ ტომოსში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ მისი მეთაურის ტიტულში ცვლილების შეტანას სჭირდება ფენერის თანხმობა.**

**2. უკრაინული დიასპორის ფრთების შეჭრაზე უარის თქმა.** შეგახსენებთ, რომ უკრაინის ბერძენ-კათოლიკებს აქვთ უცხოეთის ეპარქიები, ხოლო კონსტანტინოპოლის მიერ აღიარებულ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, რომელთა იურისდიქცია თანამედროვე სახელმწიფოების ტერიტორიებს არის მიბმული, ასეთი ეპარქიები არ გააჩნია მხოლოდ ელადის (საბერძნეთის), კვიპროსისა და ალბანეთის ეკლესიებს, ასევე — ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის ეკლესიას, მაგრამ პირველი ორი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან განსაკუთრებული ურთიერთობით არის დაკავშირებული და პრეტენზია არ აქვს ისტორიულად ჩამოყალიბებულ იურისდიქციაზე დიასპორის ბერძნული სამრევლოების მიმართ. დანარჩენი — ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის — რელიგიური უმცირესობის ეკლესიებია.

ამ ქვეყნების ხალხების მართლმადიდებლური დიასპორა ფრიად მცირეა და ამ სუსტი ეკლესიებისთვის საზღვარგარეთ სამრევლოების შექმნა რთული საქმეა. თუმცა შესაძლებელია, რომ მომავალში გაჩნდეს, რადგან, მაგალითად, პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია ასევე არის რელიგიური უმცირესობის ეკლესია, მაგრამ მას აქვს სამრევლოები რიგ ქვეყნებში, ბრაზილიაში ეპარქიაც კი გააჩნია. მხოლოდ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკრძალება საზღვარგარეთ სამრევლოების ჩამოყალიბება, რაც შავით თეთრზე პირდაპირ არის ჩაწერილი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის ტომოსში.

**ასეთი აკრძალვით ბართოლომეოსს, უპირველეს ყოვლისა, სურს, შეინარჩუნოს თავისი საწყმსო ჩრდილოეთ ამერიკაში, რადგან ამერიკაში მისი საპატრიარქოს სამრევლოების დაახლოებით ერთი მეოთხედი უკრაინულია, კანადაში კი უმრავლესობაა.**

**3. უკრაინის ეკლესიას არ აქვს უფლება, დაამზადოს და აკურთხოს მირონი.**

XIX საუკუნიდან ფენერი ცდილობდა, ტომოსებში მიეთითებინა, რომ მირონი აუცილებლად კონსტანტინოპოლიდან უნდა მიეღოთ. ასე იყო ელადის, პოლონეთის, ალბანეთის ეკლესიებთან დაკავშირებითაც, მაგრამ სერბეთისა და რუმინეთის ეკლესიების შემთხვევაში ასეთი დათქმა ჩაწერილი არ ყოფილა. რუმინეთთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლი აპირებდა ასეთი აკრძალვის ჩაწერას, მაგრამ რუმინეთის საეკლესიო მოღვაწეებმა 1882 წელს თვითონ დაამზადეს მირონი და აკურთხეს კიდეც. როცა პატრიარქმა **იოაკიმე III-მ** დაგმო ეს ფაქტი, რუმინეთის ეკლესიის სინოდმა მის პროტესტში მართლმადიდებელი პაპის მანტიის მოსხმის სურვილი დაინახეს, შედეგად ფენერმა დათმო პოზიცია და 1885 წელს რუმინეთის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა.

სხვათა შორის, რუმინეთის სინოდის იმ განცხადებაში ნათქვამია, რომ, „როცა ბერძენმა იღუმენებმა დატოვეს ქვეყანა... მირონს კიევიდანაც კი იღებდნენ“. დიახ 1917 წლამდე მირონს დღევანდელი უკრაინის დედაქალაქში აკურთხებდნენ, კერძოდ კიევ-პეჩორის ლავრაში, მაგრამ ავტოკეფალიის მომხრეებს ამ ტრადიციის აღდგენისთვის მონდომებით არ უბრძოლიათ.

**4. კონსტანტინოპოლის პატრიარქი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდასამართლებრივი საქმეების უმაღლესი ინსტანცია გახდა.**

ტომოსში ჩაწერილია, რომ მსჯავრდადებულ არქიერებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აპელაციით შეუძლიათ მიმართონ მსოფლიო პატრიარქს. მაგრამ, თუ ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის ეკლესიებთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლისადმი აპელირება შეუძლიათ მხოლოდ არქიერებს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში ამის უფლება აქვს ყველა სასულიერო მოღვაწეს. მართალია, უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ზემოთ დასახელებული ეკლესიებისგან განსხვავებით აქვს სინოდური სასამართლო, რომელშიც ფენარის წარმომადგენლები არ მონაწილეობენ, მაგრამ ეს დიდი შეღავათი არ არის. ასეთი სასამართლო ყველა სხვა ეკლესიას აქვს.

**5. კონსტანტინოპოლის პატრიარქი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიაზე განლაგებულ ბევრ ობიექტზე ინარჩუნებს თავის იურისდიქციას.**

ტომოსში მითითებულია, რომ მსოფლიო ეკლესიის უფლებები უკრაინის საეგზარქოსოზე შეუმცირებლად რჩება. ასეთი რამ არსად სხვაგან არ არის. არც ერთ მართლმადიდებელ ეკლესიას თავის კანონიკურ ტერიტორიაზე არ აქვს არც სტავროპიგიები (ანუ მას დამორჩილებული ადმინისტრაციული ერთეულები). აქამდე დაშვებული იყო მხოლოდ ტაძრების არსებობა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ეკლესიათა შორის კავშირი. მაგალითად, მოსკოვში არის რვა ასეთი ეკლესია და, როცა ანდრიას ეკლესიას აცხადებდნენ კონსტანტინოპოლის სტავროპიგიად, ეს დროებით მომენტად აღიქმებოდა. ბართოლომეოსს მაშინ უკრაინა თავისი ეკლესიის ტერიტორიად მიაჩნდა და, თუ იქნება ავტოკეფალია, ობიექტი მეტოქობას — სამონასტრო ეკლესიის სტატუსს — მიიღებს, მაგრამ ფენერის ამბიციები სავარაუდოზე მეტი აღმოჩნდა.

**დასკვნა: კონსტანტინოპოლისადმი დამორჩილების ხუთივე ჩამოთვლილი მომენტის ერთობლიობა უკრაინის ავტოკეფალიას უნიკალურად ნაკლულს ხდის. დამოუკიდებლობის ასეთი შეზღუდვა სხვა არც ერთ ეკლესიას არ აკადრეს. ასეთი დამცირება რომ ვერ შეამჩნიო, „დამოუკიდებლობის“ შეფასების უნიკალურად ნაკლული აზროვნება უნდა გქონდეს.**

**დამოუკიდებლობის ასეთი შეზღუდვა სხვა არც ერთ ეკლესიას არ აკადრეს. ასეთი დამცირება რომ ვერ შეამჩნიო, «დამოუკიდებლობის» შეფასების უნიკალურად ნაკლული აზროვნება უნდა გქონდეს**

*მომზადდა ვებგვერდ უკრაინა.რუ-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით*

ხმა ერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ დააკვირდებით, საკოლმეურნეო ბაზრებში, ქსელურ სუპერმარკეტებში დღეს იყიდება ძალიან უცნაური კარტოფილი — უამრავი წერტილით, რომელიც გათლის შემთხვევაშიც კი ლამის ნაყოფის გულამდეა ჩასული. ეს წერტილოვანი დანამატები შხამ-ქიმიკატების შედეგად ჩნდება, სოკოვანი წარმონაქმნია და საშიშია ჯანმრთელობისთვის. ლოგიკურიცაა, ამ კარტოფილს სომხები და თურქები თავიანთ ქვეყნებში რომ არ ყიდიან (ალბათ, მთავრობა არ აყიდვინებს) და საზღვრებს გარეთ გააქვთ.**

# რა პირი უჩანს ივანიშვილის დაპირებების შესრულებას?

## 2020-ში აუცილებლად დადგება მომენტი, როცა ივანიშვილს ისევ მოუწევს ხალხისთვის მიმართვა

**საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ნომერ პირველმა მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ოღონდ ახლა დამიდექით გვერდით და, ადრე გაცემული დაპირებების გარდა, იმასაც შევასრულებ, ახლა რომ გპირდებითო. და წამოვიდა დაპირებების ზღვა, პროდუქტების გაიაფებით დაწყებული, საოცარი დემოკრატიით დამთავრებული და ფრთიანი ფრაზა „დემოკრატიას ვერ ეწევა ეკონომიკა“ სადღაც გაქრა. არჩევნები მორჩა, ხალხი კიდევ ერთხელ ენდო ივანიშვილს და მოლოდინში გაისუსა. აკი თქვა კიდეც არჩევნების შემდეგ ბატონმა ბიძინამ, — ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა, ახლა ჩემი ჯერიაო და დაიწყო...**

ჯერ პური გაძვირდა, შემდეგ — სიგარეტი, საწვავის გაძვირებას მივეჩვიეთ და, რაც მთავარია, მმართველი გუნდის **პოლიტიკოსთა იმ ფრთამ, რომელიც საკუთარ თავს ლიბერალებს ეძახის, უკადრებელი იკადრა და იმ მოსამართლეებს აუნთო მწვანე შუქი, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში ადამიანებს, ივანიშვილის თანამებრძოლებს ციხეებში ხანგრძლივად ამწყვდევდნენ და არ აინტერესებდათ, სიმართლე ვის მხარეს იყო.** „ქართული ოცნების“ ძველმა გვარდიამ, ანუ იმ ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს მოსამართლეთა უსამართლობა (რა საინტერესო ტერმინია, არა?!), პროტესტი გამოთქვეს, სიას მხარი არ დაუჭირეს, საშველად სწორედ ივანიშვილს უხმეს და...

ნამდვილად ვერ გეტყვით, რისი და ვისი ბრალია, მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილი შეიცვალა. ის მხარს უჭერს იმ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოებაში ავტორიტეტი, უბრალოდ, არ აქვთ და ვერავინ ხვდება, ამას რის გამო აკეთებს. რამდენიმე თვის წინათ, სწორედ ლიბერალებთან ურჩობის გამო, „ქართული ოცნების“ რიგებიდან გარიცხულმა **დავით ჭიჭინაძემ** თქვა კიდეც: როცა ივანიშვილს გაუჭირდა, დასახმარებლად ხალხს მიმართა და არა ლიბერალების გუნდსო, მაგრამ არც ამან იმოქმედა — პოზიცია გასაჯაროებულია, **ივანიშვილი არის კობახიძის გუნდის მხარეს, კობახიძე კი მხარს უჭერს იმ მოსამართლეებს, რომელთა სახელთან უსამართლობა ასოცირდება,** თუმცა ეს ყველაფერი არ არის.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვის წინათ თამბაქოს ნაწარმზე ფასმა საგრძნობლად მოიმატა, მმართველმა გუნდმა კვლევა ჩაატარა და გაარკვია, რომ სიგარეტის მოხმარებამ იკლო, ანუ ადამიანებმა მოწევას მოუკლეს და ეს იმიტომ კი არა, რომ სანერვიულო მოაკლდათ, არამედ იმიტომ, რომ ფული აღარ აქვთ და, შესაბამისად, ნაკლებს ეწევიან. ცოტა უცნაურია, მაგრამ **კულუარებში ხუმრობენ: ამის შემდეგ პურიც იმიტომ გაძვირდა, ადამიანებმა ჭამას რომ მოუკლონო და გვერწმუნეთ, ეს მოსაზრება რეალობისგან შორს ნამდვილად არ არის — პურპროდუქტების მოხმარება შემცირდა და ამას მწარმოებლები ადასტურებენ.**

თითქოს ეს საკმარისი არ იყოო და სიგარეტის ფასმა ისევ მოიმატა. ახლა, საშუალო დონის ფილტრიანი სიგარეტის ფასი ხუთი ლარით იწყება და მარტივი არითმეტიკაა — **მწეველმა პენსიონერმა დღეში ერთი კოლოფი რომ მოწიოს, მომატებული პენსიის ფონზეც კი თვეში 150 ლარი სიგარეტში დასჭირდება, ხოლო დარჩენილი 50 ლარით უნდა იკვებოს, გადაიხადოს კომუნალურები, იმგზავროს...** ახლა ვიღაც იტყვის, დაანებოს პენსიონერმა თავი მოწევასო. გეთანხმებით, ბატონებო, ცუდია, ადამიანი რომ ეწევა, საშინელებაა, მაგრამ, კაცი რომ ნახევარი საუკუნე ეწევა და თავს ვერ ანებებს, იმან რა ქნას?! როგორ იარსებოს?! როგორ იყიდოს თამბაქოც და პურიც?! მით უმეტეს, უკვე დაანონსებულია, რომ ფასის მორიგი მატება თამბაქოს ნაწარმზე მარტში იგეგმება და ერთი კოლოფი 7 ლარი ეღირება, ანუ **პენსიონერს 200-ლარიანი პენსია არ ეყოფა იმისთვის, რომ დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი მოიხმაროს.** შედეგად, სიგარეტი ფუფუნების საგანი გახდება, მაგრამ, თუ ამ ტემპით განვაგრძობთ, ძალიან მალე პურიც ფუფუნების საგანი გახდება და გამონათქვამი „კიდევ კარგი, ჰაერია უფასოო“ აღარ გაამართლებს, რადგან **ჰაერიც ფასიანი გახდა, რადგან იმას, რასაც დიდ ქალაქებში ვსუნთქავთ, ჰაერს ნაკლებად დაარქმევს კაცი, სუფთა ჰაერზე წასვლა კი იმდენი ღირს, საშუალო შეძლების მოქალაქე ამის უფლებას თავს რომ ვერ მისცემს.**

აქეთ კიდევ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გაგვახარა: მე პოლიტიკური კითხვები არ დამისვათ, რადგან პოლიტიკოსი არ ვარ და პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებო. რეალურად, ბოლომდე დაკნინებული და უფლებაწართმეული პრეზიდენტის ინსტიტუტი რატომ დავტოვეთ, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ინსტიტუტის შენახვაზე ბიუჯეტი ყოველწლიურად მილიონებს გადაიხდის და ეს ფულიც ჩვენი ჯიბიდან მიედინება. პრეზიდენტს არ ანაღვლებს გაძვირებული პროდუქტები და საზოგადოდ, არც პოლიტიკოსებსა და პარლამენტარებს არ ანაღვლებთ, რა ძვირდება და რა არა. მიზეზი მარტივია: **ისინი ბაზარში არ დადიან, საამისოდ მოსამსახურეები ჰყავთ და ნაკლებად ადარდებთ, რამდენიმეათასიანი ხელფასიდან ყოველდღიურად პროდუქტებზე ორი ლარით მეტი დაეხარჯებათ თუ ხუთით. საბოლოო ჯამში, თვეში სხვაობამ, შესაძლოა, 200 ლარი შეადგინოს, რასაც ვერ იგრძნობენ, ვერ იგრძნობენ იმ თანხას, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანისთვის ყოველთვიური საარსებო წყაროა.**



**პენსიონერს 200-ლარიანი პენსია არ ეყოფა იმისთვის, რომ დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი მიყიდოს. შედეგად, სიგარეტი ფუფუნების საგანი გახდება, მაგრამ, თუ ამ ტემპით განვაგრძობთ, ძალიან მალე პურიც ფუფუნების საგანი იქნება და გამონათქვამი «კიდევ კარგი, ჰაერია უფასო» აღარ გაამართლებს, რადგან ჰაერიც ფასიანი გახდა, ვინაიდან იმას, რასაც დიდ ქალაქებში ვსუნთქავთ, ჰაერს ნაკლებად დაარქმევს კაცი, სუფთა ჰაერზე წასვლა კი იმდენი ღირს, საშუალო შეძლების მოქალაქე ამის უფლებას თავს ვერ მისცემს**

რაც უნდა ცინიკურად მოგეჩვენოთ, ერთ-ერთმა პარლამენტარმა ისიც თქვა, — სიგარეტის გაძვირებით სოფლის მეურნეობას განვავითარებთ, რადგან ხალხი თამბაქოს დათესვასა და მოყვანას დაიწყებს, სუფთა თუთუნს მოწევს და მიწასაც დაუბრუნდებაო. მაგრამ იმავე პარლამენტარს ის კი აღარ უთქვამს, რომ თამბაქოს მოყვანაზე ხელისუფლება რეგულაციების შემოღებას აპირებს და მალე ლიცენზიის აღება გახდება საჭიროო. არის თუ არა ეს რეპეტიცია კანაფის კულტივაცია-მოყვანისთვის და დაუბრუნდება თუ არა გაწვეული კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოს, ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ, ამ თემის განხილვა კულუარებში აქტიურად რომ მიდის, საჯაროდაც დადასტურდა. ერმა ერთხელ უკვე გამოხატა ამ საკითხისადმი დამოკიდებულება და ისე არ მოხდეს, მეორე მცდელობაზე ხელისუფლებას კანაფის ბოლივით გაქრობა მოუწიოს.

პურპროდუქტებთან ერთად **გაძვირდა ბურღულეული და გაიაფდა... კარტოფილი.** დიახ, გაგიკვირდებათ და, კარტოფილის ფასმა ზამთარში დაიკლო, ანუ დაიკლო მაშინ, როცა უნდა გაძვირებულიყო და ამ საკითხით დავინტერესდით. მართალია, წინასაარჩევნოდ კარტოფილს ხმის ფასი ედო, მაგრამ მაინც უცნაურია მისი გაიაფება.

„ადრე ამ მასშტაბებით არ იყო, მაგრამ ახლა ძალიან დიდი „აზაროტი“ მიიღო კარტოფილის ბარტერმა. აგიხსნით რა ხდება: სომხეთიდან და თურქეთიდან საქართველოში შემოდის კარტოფილი, რომელსაც შემომტანი 20 თეთრად აზარებს. ეს კარტოფილი ხვდება ბაზარზე, ხოლო აქ მოყვანილ კარტოფილს იგივე თურქეთი და სომხეთი ყიდულობს და საკუთარ ქვეყანაში მიაქვს. **თუ დააკვირდებით, საკოლმეურნეო ბაზრებში, ქსელურ სუპერმარკეტებში დღეს იყიდება ძალიან უცნაური კარტოფილი — უამრავი წერტილით, რომელიც გათლის შემთხვევაშიც კი ლამის ნაყოფის გულამდეა ჩასული. ეს წერტილოვანი დანამატები შხამ-ქიმიკატების შედეგად ჩნდება, სოკოვანი წარმონაქმნია და საშიშია ჯანმრთელობისთვის. ლოგიკურიცაა, ამ კარტოფილს სომხები და თურქები თავიანთ ქვეყნებში რომ არ ყიდიან (ალბათ, მთავრობა არ აყიდვინებთ) და საზღვრებს გარეთ გააქვთ.** ჩვენი ბრალი კი ის არის, რომ პროდუქტებზე მკაცრი რეგულაციები არ არსებობს. ექსპერიმენტი რომ ჩაატაროთ, იმათი შემოტანილი კარტოფილის უკან გატანა რომ მოინდომოთ, არ გამოგივათ, რადგან მესაზღვრეები არ გაგატანენ, როგორც ცუდ პროდუქტს“, — გვითხრა საქართველოს მწარმოებელთა კავშირის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

სწორედ ამიტომ გაიაფდა კარტოფილი და **ისე ვასალებთ სხვის შხამიან პროდუქტს, ვერც ვხვდებით და, რაც მთავარია, გვიხარია, რადგან იაფი ღირს. ასე ხდებოდა და ასე მოხდება მანამ, სანამ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ გაუჩნდება ელემენტარული საარსებო პირობები და თუნდაც ხარისხიანი პროდუქტების შესაძენი ფული, მაგრამ ამ პირობებში ეს გამორიცხულია. გვერწმუნეთ, რომ თამბაქოზე ფასის მატება ძალიან, ძალიან დაარტყამს ადამიანების ჯიბეს და ეს ყველაფერი ყოველდღიურ კვებაზე აისახება.**

მეორე მხრივ, პოლიტიკურად ერთი წელი ძალიან, ძალიან ცოტაა და **2020-ში აუცილებლად დადგება მომენტი, როცა ივანიშვილს ისევ მოუწევს ხალხისთვის მიმართვა, ისევ მოუწევს თხოვნა და, თუ მანამდე რადიკალურად არ შეიცვლება ვითარება, კატასტროფულ შედეგს მიიღებს.** შემდეგ კი მშვიდად შეხედავს იმას, როგორ გაუსწორდება სასტიკი მეთოდებით სხვა ხელისუფლება, პირველ რიგში, სწორედ ივანიშვილს, რადგან ბედმა თუ უბედობამ ისე მოიტანა, რომ სწორედ ივანიშვილია ყველა სიკეთისა თუ ბოროტების სათავე, ყველაფერი მას ბრალდება. ხალხი კი მის ქმედებას ელის და ადასტურებს, რომ ხმა არც კობახიძის გუნდისთვის მიუცია და არც სხვისთვის, **ამომრჩეველი უკვე მერამდენედ ერთადერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს, ენდო და საპასუხო საქციელსაც სწორედ მისგან ელოდება. ყველაფრის გაძვირება და შიმშილი კი ის არ არის, რასაც ივანიშვილი ხალხს დაჰპირდა და რასაც ხალხი აიტანს. როდის აუტანია, რო?!**

**ამომრჩეველი უკვე მერამდენედ ერთადერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს, ენდო და საპასუხო საქციელსაც სწორედ მისგან ელოდება. ყველაფრის გაძვირება და შიმშილი კი ის არ არის, რასაც ივანიშვილი ხალხს დაჰპირდა**

**ბესო ბარბაქაძე**

გამოჩენილი ამერიკელი ექსპერტები საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებიდან და კერძო სექტორიდან მიუთითებენ იმაზე, რომ გლობალური ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა არის „კატასტროფა, რომელიც ელოდება შესაძლებლობას, რომ მოხდეს“, ისინი უფრო პესიმისტურად არიან განწყობილნი, ვიდრე „ჩაუძირავი ამერიკული ეკონომიკის“ თეორიით აღტაცებული მათი თანამემამულეები.

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სსფ და წამყვანი ამერიკელი ექსპერტები ახლო მომავალში მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს წინასწარმეტყველებენ

**სსფ — საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიოს ფინანსური სისტემის ერთ-ერთი ბურჯია, მისი ხელმძღვანელები და ექსპერტები კი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ეკონომიკური კულტის უზენაეს ქურუმებად გვევლინებიან. მათი მხრიდან მსოფლიოში არსებული საფინანსო სისტემის გაკრიტიკების ან დასავლურ, კონკრეტულად, ამერიკულ ეკონომიკაში ნეგატიური პროგნოზის მოლოდინი იგივეა, რაც წვიმასა და თოვლს ელოდო საჰარაში.**

## უცნაური იქნებოდა, დარწმუნებული რომ ვიყოთ დასავლური (გლობალური) ეკონომიკის ნათელ მომავალში, რადგან მისი აღარ სჯერათ მათაც კი, ვისაც ეს თანამდებობის მიხედვით ევალებათ

და მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელის პირველმა მოადგილე **დევიდ ლიპტონმა** ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას რამდენიმე მკაცრი განცხადება გააკეთა, როცა მიუთითა, რომ მსოფლიო მზად არ არის ახალი კრიზისისთვის, არადა, მზადება უნდა გაძლიერდეს: **„ახალი რეცესია (ეკონომიკის შემცირება) ახლოს არის, ჩვენ კი მისთვის ისე მომზადებული არ ვართ, როგორც უნდა ვიყოთ... იმაზე ცუდად ვართ მზად, ვიდრე ბოლო, 2008 წლის კრიზისის დროს“** *(Financial Times-ის ციტატა).*

ლიპტონმა, აგრეთვე, თქვა: ამ პირობებში **„ქვეყნებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ თავიანთი ეკონომიკები მოქცეული ჰყავდეთ სტაბილურ ტრაექტორიაზე, შექმნან სიმტკიცის მარაგი და არ იყვნენ დაკავებულები ერთმანეთთან ბრძოლით“.**

ბრიტანულ გამოცემა The Gardian-ს მოჰყავს მისტერ ლიპტონის კიდევ რამდენიმე ციტატა, „როგორც უკვე ვთქვით, სახლის სახურავი მანამდე უნდა შეაკეთო, სანამ მზე ანათებს. მაგრამ, ისევე როგორც ბევრი თქვენგანი, მე ვხედავ შტორმის ღრუბლებს, რომლებიც თავს იყრის და, ვშიშობ, რომ კრიზისის თავიდან ასაცილებელი სამუშაოები დასრულებული არ არის... ჩვენ დარწმუნებული არ უნდა ვიყოთ მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობის გამო“.

**შენიშვნა:** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაღალჩინოსანი ითვალისწინებს იმას, რაც მისი გარემოცვიდან ბევრმა უკვე იცის: მსოფლიო მზად არ არის შემდეგი კრიზისისთვის და რომ ცა შტორმის მომასწავებელი ღრუბლებით „მოიქუფრა“. მისი ფრაზა „მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობაში“ ეჭვის შეტანის თაობაზე ამერიკული ბიუროკრატიის ენიდან ჩვეულებრივ სასაუბროზე რომ ვთარგმნოთ, დაახლოებით ასე ისმის: **„წინა ჯერზე ჩვენ, ეკონომიკურმა და ადმინისტრაციულმა ელიტამ, გადავარჩინეთ აშშ ფულის მასირებული ბეჭდვით და ამერიკის მთავრობისა და ბიზნესისთვის შესაძლებლობის მიცემით ფული ვალად აეღოთ თითქმის ნულოვანი პროცენტით. ამჯერად კი ძალიან მეეჭვება, ამ ტრიუკმა კვლავ იმუშაოს“.**

მეტიც — ლიპტონმა ხაზი გაუსვა, რომ სხვადასხვა ქვეყნის მიერ უკვე მიღწეული დაკრედიტების მაღალი დონე ზღუდავს მათ შესაძლებლობებს ეკონომიკის სტიმულირებისთვის საბიუჯეტო ზომების გამოყენების მხრივ.

ანალოგიური თეზისი, ოღონდ უფრო მკაცრი ფორმით, გამოთქვა ყოველწლიურ პრეზენტაციაზე დიდი საინვესტიციო ფონდის Double Line Capital-ის ხელმძღვანელმა **ჯეფრი გუნდლახმა**, ცნობილმა პროფესიონალური მეტსახელით — **„ობლიგაციების მეფე“,** რომელიც მას ამერიკელმა ჟურნალისტებმა უწოდეს სხვადასხვა სავალო ინსტრუმენტის ფასის რყევის პროგნოზირების გასაოცარი უნარის გამო.

ჯეფრი გუნდლახმა აშშ-ის სახელმწიფო ვალი ასე აღწერა: „ფედერალური ვალის შეფარდება აშშ-ის მთლიან შიგა პროდუქტთან — ეს არის სრულიად საშინელი სიტუაცია“.

გამოჩენილი ამერიკელი ექსპერტები საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებიდან და კერძო სექტორიდან მიუთითებენ იმაზე, რომ გლობალური ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა არის „კატასტროფა, რომელიც ელოდება შესაძლებლობას, რომ მოხდეს“, ისინი უფრო პესიმისტურად არიან განწყობილნი, ვიდრე „ჩაუძირავი ამერიკული ეკონომიკის“ თეორიით აღტაცებული მათი თანამემამულეები.

ერთ-ერთმა გავლენიანმა ამერიკულმა გონებრივმა ცენტრმა — საერთაშორისო ურთიერთობების საბჭომ (Council en Forling Relations) აშშ-ის სახელმწიფო ვალის მდგომარეობაზე გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში, რომელშიც ნათქვამია: „იმატებს რისკი, რომ ვაშინგტონის კრედიტორები, რომელთა შორის ბევრია უცხოელი (ქარაგმული მითითება ჩინეთზე — გ.გ.), მოულოდნელად დაკარგავენ რწმენას ამერიკის ვალებზე. შეეცდებიან, მეტი შემოსავლების მიღებას და ამით ხელს შეუწყობენ საბიუჯეტო კრიზისის პროვოცირებას“.



ჯეფრი გუნდლახი

USA DEBT CLOCK – HOW MUCH IS THE US NATIONAL DEBT?

$ 21,346,478,853,008



დევიდ ლიპტონი

ეს პანიკის დაწყებას ემსგავსება — მით უმეტეს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო ვალზე, ანუ მსოფლიოს მოუმზადებლობაზე მომავალი კრიზისის მიმართ და დოლარის სისტემის დაცემაზე უკვე მოასწრეს აზრის გამოთქმა სხვადასხვა კერძო და არასახელმწიფო საფინანსო სტრუქტურის წარმომადგენლებმა, მათ შორის მილიარდერმა რეი დალიომ და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მაღალჩინოსანმა

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს თავმჯდომარე **რიჩარდ ჰაასი** თავის ჩვენებებში, რომელიც მან ექსპერტის რანგში მისცა აშშ-ის სენატს, ამტკიცებდა: „მომატებული სახელმწიფო ვალი დააჩქარებს დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის, აღსასრულს. ეს მოხდება ამერიკის საფინანსო პოლიტიკისადმი ნდობის დაკარგვის შედეგად, აგრეთვე, იმის შიშით, რომ ქმედებები, რომლებსაც აშშ აუცილებლად განახორციელებს თავისი სახელმწიფო ვალის დასაფინანსებლად, საწინააღმდეგო იქნება იმისა, რაც აშშ-მა უნდა გააკეთოს ამერიკისა და, შესაბამისად, მსოფლიოს ეკონომიკის სამართავად“.

**ეს პანიკის დაწყებას ემსგავსება — მით უმეტეს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო ვალზე, ანუ მსოფლიოს მოუმზადებლობაზე მომავალი კრიზისის მიმართ და დოლარის სისტემის დაცემაზე უკვე მოასწრეს აზრის გამოთქმა სხვადასხვა კერძო და არასახელმწიფო საფინანსო სტრუქტურის წარმომადგენლებმა, მათ შორის მილიარდერმა რეი დალიომ და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მაღალჩინოსანმა.**

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ შეუძლიათ, ზუსტად იწინასწარმეტყველონ კრიზისის დაწყების მომენტი, მაგრამ ძნელია, თავიდან მოიშორო იმაზე ფიქრი, რომ კრიზისს შეუქცევად პროცესად მიიჩნევენ. და საფინანსო ბაზრის თითოეული მოთამაშე ან არასახელმწიფო საფინანსო ორგანიზაციის მაღალჩინოსანი ცდილობს წინასწარ მოიპოვოს უფლება, ილაპარაკოს, რომ „ყველა გააფრთხილა, მაგრამ არ მოუსმინეს“. უცნაური იქნებოდა, დარწმუნებული რომ ვიყოთ დასავლური (გლობალური) ეკონომიკის ნათელ მომავალში, რადგან მისი აღარ სჯერათ მათაც კი, ვისაც ეს თანამდებობის მიხედვით ევალებათ. ყოველთვის, როცა რომელიმე ამერიკელი პოლიტიკოსი მსოფლიოს ემუქრება და ამ მუქარისას ეყრდნობა ამერიკის ეკონომიკურ სიძლიერეს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის, დიდი-დიდი, გამოსვლა კაპიტნის ბოგურაზე „ტიტანიკისა“, რომელსაც ფინანსურ აისბერგთან შეჯახება ელოდება.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს თავმჯდომარე რიჩარდ ჰაასი თავის ჩვენებებში, რომელიც მან ექსპერტის რანგში მისცა აშშ-ის სენატს, ამტკიცებდა: «მომატებული სახელმწიფო ვალი დააჩქარებს დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის აღსასრულს. ეს მოხდება ამერიკის საფინანსო პოლიტიკისადმი ნდობის დაკარგვის შედეგად, აგრეთვე, იმის შიშით, რომ ქმედებები, რომლებსაც აშშ აუცილებლად განახორციელებს თავისი სახელმწიფო ვალის დასაფინანსებლად, საწინააღმდეგო იქნება იმისა, რაც აშშ-მა უნდა გააკეთოს ამერიკისა და, შესაბამისად, მსოფლიოს ეკონომიკის სამართავად»**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ადამიანს პოლიტპატიმრად რომ აღიარებ და, ამასთანავე, მისთვის პოლიტიკური განაჩენის გამომტან მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავენ, სად ხარ შენ, რატომ მაშინ არ იღებ ხმას?!“



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# ქალბატონო ეკა, 2013-ში სააკაშვილის ჯიბის მოსამართლეს რომ ჩააბარეს მართლმსაჯულება, მაშინ არ გქონდათ პროტესტი?!

# «ბოკერიას გუნდი ივანიშვილის რეზერვია»

**საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი თვის თავზე ივანიშვილის მიერ ძალით შეკოწიწებულ და კბილებით შეკრულ-შენარჩუნებულ „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკური კრიზისი პიკს აღწევს. მმართველი გუნდის შიგნით ბზარები, რომლებიც კონფლიქტებმა და უთანხმოებებმა გამოიწვია, დღითიდღე იზრდება. თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესთან დაკავშირებით ატეხილი ხმაური, როგორც ჩანს, მხოლოდ ნაწილია „ოცნებაში“ არსებული ქაოსისა. სინამდვილეში კი დაპირისპირება, რომელიც ოლიგარქს ნამდვილ კოშმარად ექცა, უფრო მასშტაბური და შორსმიმავალია. ყოველ შემთხვევაში, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობაში უკვე სერიოზული განხეთქილებებია და ამის გამო ახლო მომავალში, შესაძლოა, უმრავლესობა რამდენიმე დეპუტატმა დატოვოს. ამბობენ, რომ ამ ყველაფრის მიზეზი (ერთ-ერთი და არა ერთადერთი) ივანიშვილის მიერ ძალაუფლების არასწორად გადანაწილებაა, რომელსაც უმრავლესობის ზოგიერთი წევრის პროტესტი და უკმაყოფილება მოჰყვა. ხოლო მათ მიმართ თვით ოლიგარქის მხრიდან გუნდიდან გაძევების მუქარა... მოკლედ, „ოცნებაში“ ზოგიერთს წყალი რომ აქვს შემდგარი, „ოცნებას“ კი 2020 წლამდე მისვლა წელზე ფეხის დადგმით მოუწევს, ცხადზე ცხადია. მანამდე კი დიდი პოლიტიკური ბატალიებია მოსალოდნელი... რა ხდება დღეს რეალურად ხელისუფლების რიგებში და რა მიმართულებით შეიძლება მომავალში განვითარდეს პროცესები?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესზე ატეხილი ხმაური უკვე, ფაქტობრივად, სკანდალად იქცა. ბესელია და ფოფხაძე ხელისუფლებას უპირისპირდებიან. თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ეს და რა შეიძლება მოჰყვეს ამას მომავალში?**

— დავიწყოთ იმით, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ ერთი შეხედვით რთულად წარმოგვიდგენია, სინამდვილეში ბანალური და ძალიან მარტივია. ეს არის საკითხი, რომელიც უკავშირდება ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ პირადი გემოვნებით გარკვეული პროცესების წარმართვას და საკადრო პოლიტიკის განხორციელებას. აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ 2013 წლის 6 ოქტომბერს, ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლიდან ერთი წლის თავზე, ივანიშვილმა გააკეთა განცხადება ლევან მურუსიძის თაობაზე, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის არის კადრი, რომელიც მომავალში გახდება სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის გარანტი. ამ განცხადებას შემდეგ მოჰყვა ე.წ. პირველი, მეორე და მესამე ტალღა მართლმსაჯულების განხორციელებისა, რომლებსაც სათავეში ედგა იუსტიციის მინისტრი, ქალბატონი **თეა წულუკიანი.** აი, მაშინ იყო სწორედ იუსტიციის საბჭოს ფორმირების ახალ წესზე საუბარი, აგრეთვე, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ გამოვლენილ კანდიდატებზე და, რაც მთავარია, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ბრალდებული მოსამართლეების გამწესებაზე სასამართლოს სისტემაში. ახლა რა კავშირშია ეს ყველაფერი დღეს მიმდინარე პროცესებთან. **„ეს მოსამართლეები, რომელთაგან ზოგი დღეს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს წარმოადგენენ, არიან სწორედ ის ეჭვმიტანილი და ბრალდებული მოსამართლეები, რომლებსაც წლების განმავლობაში პოლიტიკური მოტივებით გამოჰქონდათ განაჩენი; მაგრამ ვინაიდან და რადგანაც საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს ანგარიში მოსამართლეს კონკრეტულად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, აი ამ კონსტიტუციურ დებულებას ამოფარებული ადამიანები ისევ ახორციელებენ ე.წ. რეფორმას, რომლის შედეგადაც აშკარად ჩანს უსამართლობა“.**

— ძალიან მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ საქართველოს პარლამენტმა 2012 წელს იმსჯელა და პოლიტიკური ნიშნით დევნილად გამოაცხადა ათეულობით ადამიანი, კიდევ უფრო მეტი — პოლიტპატიმრად. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: **ადამიანს პოლიტპატიმრად რომ აღიარებ და, ამასთანავე, მისთვის პოლიტიკური განაჩენის გამომტან მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავენ, სად ხარ შენ, რატომ მაშინ არ იღებ ხმას?!**

**— რატომ შეიძლებოდა თავის დროზე ივანიშვილის მხრიდან არჩევანი გაკეთებულიყო იმ მოსამართლეებზე, რომლებიც წლების განმავლობაში „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ?**

— სანამ ამ შეკითხვაზე პასუხს გაგცემთ, მინდა, ქალბატონ ეკა ბესელიას დავუსვა შეკითხვა თქვენი გაზეთის **ბატონი თამარ ალანია (მოსამართლე — ჯ.ჟ.) რომ გამწესდა იუსტიციის საბჭოს წევრად, რატომ არ მოიძიეს და მიიღეს მხედველობაში, რა გადაწყვეტილებები გამოიტანა ამ მოსამართლემ?!** დღეს, როდესაც მოსამართლეთა უვადოდ გამწესების საკითხი დადგა დღის წესრიგში, ამოიღო ვიღაცამ ხმა და ეს კარგია, მაგრამ ეს პროცესი ხომ ახლა არ დაწყებულა?! ეს პროცესი დაიწყო 2013 წლიდან, როდესაც **სანდრო გირგვლიანის** საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე **ლევან მურუსიძე** ბატონმა **ივანიშვილმა** მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გარანტად გამოაცხადა. ზუსტად ამიტომ მიჩნდება შეკითხვა ქალბატონ ბესელიასთან და თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, მას დავუსვა ეს შეკითხვა: **ქალბატონო ეკა, 2013-ში სააკაშვილის ჯიბის მოსამართლეს რომ ჩააბარეს მართლმსაჯულება, არ გქონდათ პროტესი?! და მთავარი შეკითხვა: ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ მურუსიძე დანიშნეს სააპელაციო სასამართლოში და მან ჩაიბარა საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. სად იყვნენ ის დეპუტატები, დღეს რომ იმუქრებიან უმრავლესობიდან წასვლით?**

**— თქვენ რას ფიქრობთ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ აქ უფრო „ღრმა“ თამაშები მიდიოდეს, ვიდრე ხალხს წარმოუდგენია, ანუ „მავრმა“ გააკეთა თავის საქმე და „მავრი“ უნდა წავიდეს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რატომ შეაჩერა ივანიშვილმა არჩევანი იმ მოსამართლეებზე და მათ შორის მურუსიძეზეც, ესეც ძალიან მარტივია, **მას, უბრალოდ, ხელს აძლევდა ყურუმსაღი მოსამართლეები, იმიტომ, რომ ყურუმსაღი მოსამართლე — ეს არის გასვრილი მოსამართლე, რომელმაც ძალიან კარგად იცის თავისი ადგილი და, სანამ არ მიუჩენენ იმ ადგილს, ყოველთვის შეასრულებს დაკვეთას. აი ეს არის და ეს. მურუსიძე ყოველთვის იქნება ივანიშვილის მორჩილი და ყოველთვის იქნება არსებული მახინჯი პოლიტიკური სისტემის მსახური.**

**— მედიაში უკვე გაჩნდა შეფასებები, რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება „ოცნებაში“, პოლიტიკური კრიზისია. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— პოლიტიკური კრიზისი ყალიბდება პროცესში, როდესაც სახელისუფლო გუნდში გადაწყვეტილებების მიღება ჭირს, თუმცა დღევანდელ პირობებში კრიზისი ვერ წარმომიდგენია. კერძოდ, რას ვგულისხმობ: გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი ივანიშვილი, ფაქტობრივად, არის ობრაზცოვის თეატრის (მსოფლიოში უდიდესი თოჯინების თეატრი სერგეი ობრაზცოვის სახელობისა — ჯ.ჟ.) სამხატვრო ხელმძღვანელი, მას ექვემდებარება თითოეული დეპუტატი, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებია. შესაბამისად, საკითხი, რომელიც, შესაძლოა, რამენაირად უკავშირდებოდეს ქალბატონ ეკა ბესელიას მხრიდან მისდამი ურჩობას, არ უნდა განვიხილოთ სერიოზულად. ეს ერთი და მეორე — ზუსტად ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს სრულად აკონტროლებს ვითარებას პარლამენტში. ასე ხდებოდა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროსაც, როდესაც თითქოს რამდენიმე დეპუტატმა ხმა ამოიღო და თქვა, მხარს არ დავუჭერთო და შემდგომ გადაწყვეტილკების უკან წაღება მოუწიათ. გარდა ამისა, თუ თეორიულად წარმოვიდგენთ, რომ ბატონ ივანიშვილს შეიძლება რეალურად შეექმნას ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის საფრთხე, მაშინ ის გამოიყენებს „ოქროს რეზერვს“, რომლის ამოქმედების შემთხვევაში პროცესების მისთვის წარმატებით დასრულება გარანტირებული აქვს...

**— რა რეზერვს გულისხმობთ?**

— არიან დღეს პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული სუბიექტები, რომლებიც ივანიშვილის მიერაა ხელდასხმული და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. მაგალითად, **ბოკერიას გუნდი ივანიშვილის რეზერვია.** მეტსაც გეტყვით: ბოკერიას გუნდის მონათესავეა ბატონ კობახიძის გუნდი და ეს ორი გუნდი იდეოლოგიურად, ფაქტობრივად, იდენტურია. შესაბამისად, მათ არაფერი არ უშლის ხელს, რომ 2020 წლისთვის შექმნან ჰიბრიდული პოლიტიკური ძალა. თუმცა არა მხოლოდ ბოკერია, ივანიშვილის ხელდასხმულია „გირჩიც“, რომელმაც არაერთი ტესტი გაიარა კონკრეტული საკითხების კანონად ქცევის გზაზე, მაგალითად, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის. აი, ეს პოლიტიკური კონფიგურაცია გვაქვს დღეს, სამწუხაროდ, რასაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქვეყნის ცხოვრებაში და მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო ყველას, რომლებსაც პერსონალურად გარკვეული რეიტინგი და ავტორიტეტი გააჩნიათ საზოგადოებაში, რომ **ვიფიქროთ ძალების კონსოლიდაციაზე, ვიფიქროთ გაერთიანებაზე!**

**აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გამოვეხმაურო ცილისწამების შესახებ კანონის მიღების განცხადებებს. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ცვლილებებია დღევანდელ ვითარებაში.** მოგეხსენებთ, თავის დროზე სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლი გულისხმობდა სასჯელს და პასუხისმგებლობის დაკისრებას სწორედ ცილისწამებისთვის, მაგრამ 2006 წლის რეფორმების დროს **გიგა ბოკერიას** უშუალო მეცადინეობით ეს მუხლი ამოიღეს. მაშინ არგუმენტი იყო ის, რომ თურმე ამას შეიძლებოდა მედიის თავისუფლება შეეზღუდა, თუმცა არაერთი ჩვენზე გაცილებით მაღალი დემოკრატიული სტანდარტის მქონე ქვეყანაა, რომლებშიც ეს კანონი მოქმედებს და მედიის თავისუფლება დაცულია. მივესალმები ამ ცვლილებას და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, ვინაიდან ზოგიერთი ადამიანის ენას, როგორც ჩანს, ძვალი არ აქვს. **ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ცილისწამება და სიცრუე ისმის მედიაში, ამიტომ არ შეიძლება, ეს კანონით არ რეგულირდებოდეს...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ეს მოსამართლეები, რომელთაგან ზოგი დღეს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს წარმოადგენენ, არიან სწორედ ის ეჭვმიტანილი და ბრალდებული მოსამართლეები, რომლებსაც წლების განმავლობაში პოლიტიკური მოტივებით გამოჰქონდათ განაჩენი; მაგრამ ვინაიდან და რადგანაც საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს ანგარიში მოსამართლეს კონკრეტულად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, აი ამ კონსტიტუციურ დებულებას ამოფარებული ადამიანები ისევ ახორციელებენ ე.წ. რეფორმას, რომლის შედეგადაც აშკარად ჩანს უსამართლობა»**

**„კარგა ხანია, შემჩნეულია, რომ ქართული ოცნების“ რიგებს სწორედ ის ადამიანები ტოვებენ, რომლებსაც ხალხში უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, ვიდრე იქ დარჩენილებს. შეიძლება ასეც ვთქვათ: ბიძინა ივანიშვილი ჩვეული სიჯიუტით თავიდან და გუნდიდანაც იმ ადამიანებს იშორებს, რომელთა ხარჯზეც მოვიდა ხელისუფლებაში და დღემდე, ავად თუ კარგად, ინარჩუნებს ამ ხელისუფლებას; ხოლო გვერდით და გუნდში იტოვებს სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად მიუღებელია.**



ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ ჩაუტეხა ბიძინას შუშა და როგორ ადამიანებს აფასებს ივანიშვილი?

**ერთი ქართული კინოფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში, სკოლაში საკლასო ოთახში შემოსულ მასწავლებელს ფანჯრის შუშა ხვდება ჩამსხვრეული. მასწავლებელი ცდილობს, გაარკვიოს, ვინ ჩატეხა შუშა. კლასი დუმს. ერთი მატრაკვეცა კი, მასწავლებელს რომ „ეტენება“, წამოდგება და ამბობს: „მასწავლებელო, ეკამ ჩატეხა შუშა!“ და ხელს თანაკლასელისკენ იშვერს. აი, ამ ეპიზოდს მაგონებს „ქართული ოცნების“ დღევანდელი მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ „დამნაშავე მოსწავლის“ სახელიც ემთხვევა. სამწუხაროდ, ფილმში მასწავლებელს რა ჰქვია, არ მახსოვს, თორემ ბიძინა რომ ერქვას, ყველაფერი ზუსტი იქნებოდა.**



ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის „იქ არყოფნის“ პერიოდში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც „მამა და მარჩენალი“ პოლიტიკიდან ოფიციალურად წასული იყო, ვილაცამ მოზრდილი ქვები დაუშინა სოლოლაკის შუშის სასახლის ფასადს — „ქართული ოცნების“ ერთიანობის სიმბოლოს. აკი, სწორედ ბიძინა ივანიშვილია ის ერთადერთი „ნათელი წერტილი“, რომელიც ამ სრულიად გაურკვეველი ადამიანების კონგლომერატს პოლიტიკურ ორგანიზაცია „ქართულ ოცნებად“ აერთიანებს.

ჰოდა, იმ მატრაკვეცა კლასელისა არ იყოს, დღეს **ირაკლი კობახიძე** ბიძინას პირდაპირ უთითებს, რომ **ეკა ბესელიამ** „ჩატეხა შუშა“.

სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ ბიძინა ივანიშვილიც ზუსტად ირგებს „შებერტყილი მასწავლებლის“ როლს. მან ძალიანაც კარგად იცის, ვინ რა „ჩატეხა“ და ვინ როგორ მოიქცა. უბრალოდ, სურს, რომ ეს „მოსწავლეების“ პირით შეიტყოს, თანაც ამით დიაგნოზსაც სვამს, რომელი მოსწავლეა ყველაზე მეტად მოწადინებული, მას ემლიქვნელოს. რაც შეეხება ეკა ბესელიასა და მისი, ასე ვთქვათ, „ქვეგუნდის“ წევრებს, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე გამოეყვნენ „ოცნების“ „მთავარ ჯგუფს“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გაერთიანებაა, რომელმაც დააგვიანა „შინაგანი ხმის ძახილს“ აყოლა და 6-წლიანი უმოქმედობის შემდეგ დაიწყო სამართლიანობისთვის ბრძოლა. არა, ცოდვას ვერ ვიტყვით და, **ეკა ბესელიაც, გედევან ფოფხაძეცა** და ზოგიერთი მათი მიმდევარი ამ 6 წლის განმავლობაში სიტყვიერად კი გამოხატავდნენ ხოლმე უკმაყოფილებას „კოაბიტაციის“ ცალკეული გამოვლინებების მიმართ, მაგრამ საქმიანი მათგან არაფერი გვახსოვს ამ მიმართულებით.

აბა, გავიხსენოთ: „ოცნების“ რღვევა ახლა და თანაც ბესელია-ფოფხაძის დემარშით არ დაწყებულა. ეს, უბრალოდ, ყველაზე მასშტაბური და ხმაურიანი ამბავია, თორემ, თუ კარგად გავაანალიზებთ, აქამდე „ოცნება“ საზოგადოებისთვის გაცილებით საყვარელმა და პატივსაცემმა ადამიანებმა დატოვეს, ვიდრე ეკა ბესელია ან გედევან ფოფხაძეა. ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ **თამაზ მეჭიაურს** გაცილებით დიდი მხარდაჭერა, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა ხალხში. იგივე შეიძლება ითქვას **დავით ჭიჭინაძეზე.** ამავე კატეგორიაში შეიძლება შევიყვანოთ **ირაკლი ღარიბაშვილის** გადადგომის ფაქტიც... მოკლედ, **უკვე კარგა ხანია, შემჩნეულია, რომ „ქართული ოცნების“ რიგებს სწორედ ის ადამიანები ტოვებენ, რომლებსაც ხალხში უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, ვიდრე იქ დარჩენილებს.** შეიძლება ასეც ვთქვათ: **ბიძინა ივანიშვილი ჩვეული სიჯიუტით იშორებს თავიდან და გუნდიდანაც იმ ადამიანებს, რომელთა ხარჯზეც ხელისუფლებაში მოვიდა და დღემდე, ავად თუ კარგად, ინარჩუნებს ამ ხელისუფლებას; ხოლო გვერდით და გუნდში იტოვებს სწორედ იმ ადამიანებს, რომელბიც საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად მიუღებელია.**

ასეთ პირობებში ჩვენგან უადგილო არ იქნება კითხვის დასმა: **რატომ აქამდე არაფერი მოიმოქმედეს ბესელიამ და კომპანიამ, რათა „ქართული ოცნება“ ასე სამარცხვინოდ არ „ჩამოშლილიყო“?**

მეტიც, რატომ გვპასუხობდნენ ხოლმე აგრესიით იმ ადამიანებს, რომლებიც იმთავითვე ვამბობდით, რომ ასეთი უზნეო მეთოდებით მართვა და ასეთი არასწორი „სამართალი“ „ქართულ ოცნებას“ სამარცხვინო და კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანდა?

ყველივე ეს ჯერ კიდევ 2013 წელს ითქვა, თუმცა განსაკუთრებით მინდა გავიხსენო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც „ქართული ოცნების“ ე.წ. გამსვლელი სიის ნახვისთანავე მეც და კიდევ არაერთმა ჩემნაირმა პირდაპირ ვთქვით და დავწერეთ, რომ ისეთი პერსონების შეყვანა გამსვლელ საპარლამენტო სიაში, როგორებიც არიან **ირაკლი კობახიძე, მამუკა მდინარაძე, ვანო ზარდიაშვილი, სოფო კილაძე, თამარ ხულორდავა** და კიდევ სხვა უამრავი, „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცუდ დასასრულს უქადდა. ვინმემ შეიძლება თქვას — რა იცოდით, წინასწარმეტყველები ხომ არ იყავითო? საქმეც ეგაა, პატივცემულნო, რომ არავითარი წინასწარმეტყველება, ნათელხილვა და მოგვობა ამას არ სჭირდება. ყოველი მოვლენა დედამიწაზე ლოგიკის გარკვეულ ჯაჭვს ემორჩილება და მარტივი აქსიომების გაანალიზებით ნათელი ხდება, რა დასაწყისს რა დასასრული შეიძლება ჰქონდეს.

„ქართული ოცნების“ 2016 წლის მოდიფიკაციის სიის ფიგურანტებიდან უმეტესობა, სულ ცოტა, არაფერს აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო ნაწილი სულაც მხარს უჭერდა მათ. აბა, მითხარით, ასეთი პერსონებით გავსებულმა პარლამენტმა შეიძლება სიკეთე მოუტანოს ან ქვეყანას, ან თუნდაც იმავე პოლიტიკურ პარტიას, რომლის წევრებიც ისინი არიან?

ადამიანები, რომლებიც სრულიად მშვიდად, ნერვის აუტოკებლად ადევნებდნენ თვალს 2008-2102 წლების

**2012 წელს მიშასა და ნაცებს რომ გაემარჯვათ, ეს ადამიანები შეეცდებოდნენ, მათთან აეწყოთ კარიერა და ყოფილიყვნენ «წარმატებულები». რადგან «ოცნებამ» და ბიძინამ გაიმარჯვეს, «ოცნებასა» და ბიძინას მიეტმასნენ და გახდნენ «წარმატებულები». აი, ესაა ასეთი ადამიანების ცხოვრების კრედო და ასეთ ადამიანებს რატომღაც განსაკუთრებით აფასებს ბიძინა ივანიშვილი**

მოვლენებს, განსაკუთრებით კი 2011-2012 წლების ვნებათაღელვებს, ისხდნენ მშვიდად შინ ან უცხოეთის კურორტებზე ირუჯებოდნენ და დიდად არ ღელავდნენ, დამარცხდებოდა თუ არა სააკაშვილის მანიაკების გუნდი საქართველოში — შეიძლება რაიმე ადამიანური გააკეთონ ცხოვრებაში?

მათი ერთდერთი მიზანი არის ასე მოდური და ყბადაღებული სიტყვა „წარმატება“! მათთვის მთავარია, „წარმატებულ“ ადამიანებად იგრძნონ თავი, ჰქონდეთ მაღალი ანაზღაურება, გავლენა, თანამდებობა და სულაც არ აინტერესებთ, რომელი და როგორი ხელისუფლების პირობებში მიაღწევენ ამას.

**2012 წელს მიშასა და ნაცებს რომ გაემარჯვათ, ეს ადამიანები შეეცდებოდნენ, მათთან აეწყოთ კარიერა და ყოფილიყვნენ „წარმატებულები“. რადგან „ოცნებამ“ და ბიძინამ გაიმარჯვეს, „ოცნებასა“ და ბიძინას მიეტმასნენ და გახდნენ „წარმატებულები“.** აი, ესაა ასეთი ადამიანების ცხოვრების კრედო და ასეთ ადამიანებს რატომღაც განსაკუთრებით აფასებს ბიძინა ივანიშვილი.

ნუ შემეკამათებით! კი, ბატონო, როდესაც ამას ვამბობდი ჯერ კიდევ 2013 წელს, ჩემს სიტყვებში გარკვეული ეჭვის შეტანის უფლება გქონდათ, მაგრამ ახლა 2019 წელია და 7 წლის განმავლობაში დაგროვილი უტყუარი ფაქტების ფონზე თქვენგან რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევა „მილიარდერის გაპრავების“ უბადრუკ მცდელობად გამოჩნდება მხოლოდ.

რაც შეეხება ბესელია-ფოფხაძესა და სხვებს, მათ მინდა, ვკითხო: **არ ფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ლოგიკურია და, თუ 2103 წელს არა, 2016 წელს მაინც რომ გაგეწიათ რეალური წინააღმდეგობა საპარლამენტო სიაში ზარდიაშვილ-მდინარაძე-ხულორდავა-კილაძეების ჩასმისთვის, ახლა ასეთ დღეში არ იქნებოდით?**

ხომ არ აქვს ქართველ საზოგადოებას საფუძველი, იფიქროს, რომ ჩვენში „სამართლიანობის განცდა“ მხოლოდ მაშინ შემოუტევთ ხოლმე პოლიტიკურ მოღვაწეებს, როდესაც მათ შეეხებათ „გუნდისა და ბელადისგან გაწირვის“ მსახვრალი ხელი? როდესაც სხვა არის განწირული, მაშინ ჩუმად არიან ან, უბრალოდ, „ნამუსის გულისთვის“ იტყვიან ერთ-ორ არაფრის მაქნის სიტყვას?

გავიხსენოთ, თუნდაც ყოფილი რესპუბლიკელი ცოლქმარი — **თინათინ** და **დავით ხიდაშელები...** ან **უსუფაშვილები,** როგორც გნებავთ.

როდესაც „ოცნებაში“ წამყვანი პოზიციები ეკავათ, ცოლი მინისტრი იყო, ქმარი — პარლამენტის თავმჯდომარე. ისინი „კოაბიტაციის“ გულმხურვალე დამცველებად გვევლინებოდნენ. ყველაზე ცნობილი „გამპრავებელი“ ფრაზები ხომ სწორედ ამ ცოლ-ქმარს ეკუთვნის — **„კოაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალა“** (თინა ხიდაშელი). **„ნაციონალური მოძრაობის“ შენარჩუნება მთავარ ოპოზიციურ ძალად ქართული დემოკრატიის უპირველესი ამოცანაა!“** (დავით უსუფაშვილი). მაგრამ, როგორც კი ისინი „დააცურეს“ და „მთავარმა მილიარდერმა“ გუნდიდანაც მოიშორა რესპუბლიკელები, თინასაც და დავითსაც უმალ გაახსენდათ სამართლიანობის განცდა და ძველი თანამებრძოლები. დავით უსუფაშვილმა, 2018 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია მთლიანად „კოაბიტაციის“ გმობასა და „ძველი თანამებრძლების დაუფასებლობაზე“ ააგო. სხვათა შორის, ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ სენი არ არის. შეგვიძლია გავიხსენოთ ქართველი „რკინის ლედი“ **ნინო ბურჯანაძე,** რომელიც 2007 წლის მოვლენებისას გაიძახოდა: დღეს ქართული სახელმწიფო შედგაო და პარლამენტის ფოიეში მოშიმშილე მოპროტესტე დეპუტატებისთვის თბილი პლედების წართმევის ბრძანებებსაც გასცემდა. ხოლო, როდესაც 2008 წელს მორიგი საპარლამენტრო არჩევნების დროს მიშამ გამსვლელ სიებთან დაკავშირებული მისი ამბიციები არ დააკმაყოფილა და გუნდიდანაც სამარცხვინოდ მოიშორა, ნინო ბურჯანაძე უცებ გადაიქცა „სამართლიანობისა და დემოკრატიისთვის მებრძოლად“ და მაშინვე გაახსენდა, რომ მიშას რეჟიმი დიქტატურული და კაცთმოძულე ყოფილა, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ — დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

აბა, დაუკვირდით, რას პასუხობენ დღეს ოპონენტები ეკა ბესელიას: **შენი გუნდიდან მოშორება კარგა ხნის წინათ იყო გადაწყვეტილი, უბრალოდ, ახლა, რომ მიხვდი, თავიდან გიშორებდნენ, საკუთარი თავისგან სამართლიანობისთვის მებრძოლის დახატვა გსურს, სინამდვილეში მოსამართლეების სია არაფერ შუაშია, შენ პირადი ამბიციები გაწუხებსო.** მითხარით, ეკა ბესელიასაც, გედი ფოფხაძესაც და სხვებსაც, გადამწყვეტი, მართლაც ვაჟკაცური და დროულად სამართლიანი ნაბიჯები რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გადაედგათ და მაშინ გამიჯნოდნენ ზარდიაშვილ-მდინარაძეებს ასე პრინციპულად, განა დღეს ექნებოდა მათთვის ვინმეს რამე წამოსაძახებელი? ნამდვილად არა! ახლა კი კობახიძის ეს არგუმენტები ბესელიას წინააღმდეგ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, დიახაც, დამაჯერებელი ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ეკა ბესელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში ცამდე მართალი და სამართლიანია.

აბა, დავფიქრდეთ: ეს ხომ არ არის ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა? ანუ სანამ პირადად არ შეგვეხება რამე, მანამდე „ზოგადი სამართლიოანობა“ სულ ფეხებზე გვკიდია. მინდა ვიკითხო: რა, **განა 2016 წელს არ იცოდით, ქალბატონო ეკა ბესელიავ, ვინ იყვნენ ზარდიაშვილები, მდინარაძეები და სხვები? და, თუკი მაშინ არ გაწუხებდათ ის, რომ 4 წელიწადი ასეთი „ცუდი ტიპების“ გვერდით უნდა მჯდარიყავით პარლამენტში და „ერთი გუნდი“ გრქმეოდათ, ახლა რატომ გაგახსენდათ ეს ყველაფერი?**

ან, ვინც ვამბობდით, რომ უზნეობაა ასეთი ადამიანების შეყვანა პარლამენტში და მათ გვერდით მშვიდად ჯდომა, რატომ გვეუბნებოდით, რომ „დაბოღმილები“, „შურიანები“ და „ჩასაფრებულები“ ვართ? ცუდ საძირკველზე დაშენებული ნაგებობა არასოდეს გამოვა კარგი! ეს აქსიომაა და არ მჯერა, რომ არ იცით.

და თუ არ მეთანხმებით და მიგაჩნიათ, რომ 4 წელი ცუდი წარსულის ადამიანების გვერდით ჯდომა და მათთან ერთად „ერთ გუნდში“ ყოფნა არ არის უზნეობა, მაშინ ერთი ქართული კინოფილმის გმირისა არ იყოს, „გეკითხებით და მიპასუხეთ: რატომ მოსწყდით მთავარ ჯგუფს?!“

ჩაქუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო ექსპერიმენტების პოლიგონად იქცა. ევროპა თუ ამერიკა კი ყურადღებით აკვირდება, რა მოხდება ჩვენთან ამა თუ იმ ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ. აგერ ჰომოსექსუალებისა და ოჯახის თემა გააქტიურდა, იქეთ ვირუსი მძვინვარებს და ხალხის რეაქციებზე დაკვირვება გამადიდებელი შუშით მიმდინარეობს... შემდეგ ეტაპზე კი შეეცდებიან, უკეთესად შემოგვაპარონ ის, რაც რეალურად არ გვინდა; იმის იმედად არიან, რომ, ადრე თუ გვიან, ბრძოლით დავიღლებით, მაგრამ ჯერჯერობით ბრძოლაში დაღლილი საქართველო არავის უნახავს და...**

# რატომ უწყობს მთავრობა ხელს ყველაფერ ამას?

## ვირუსი, რომელმაც 17 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ევროპამ და ამერიკამ უკვე მოინელა, იქ აღარ არის შემთხვევები, ჩვენთან კი რატომღაც ეპიდემიამ იფეთქა

**იმის მიუხედავად, რომ მმართველი გუნდის წევრების უმრავლესობა და საზოგადოდ, სრულიად საზოგადოება წინააღმდეგი იყო, პარლამენტმა სახალხო დამცველად მაინც ნინო ლომჯარია აირჩია. არადა, მანამდე ლომჯარიას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისთვის, უწმინდესისა და უნეტარეს ილია II-სთვის ისეთები ჰქონდა ნათქვამი, ანათემას უნდა ყოფილიყო გადაცემული. რაკი ლომჯარია ე.წ. ქვიარ თემის წარმომადგენელთა აქტიური დამცველი გახლდათ, მაშინვე ითქვა, რომ ის ლგბტ საზოგადოების ინტერესებს უფრო დაიცავდა, ვიდრე რიგითი მოქალაქეებისას. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ეს ახდა. ლომჯარია ხმალამოღებული იბრძვის, როცა საქმე ლგბტ თემის წევრს ეხება, ხოლო როცა რიგითი ადამიანის პრობლემაზეა საუბარი, მისი დაგვიანებული ან, საერთოდ, უარყოფილი კომენტარები არაფრისმთქმელია.**




სწორედ საზოგადოების მოთხოვნის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში შეიტანა შესწორება, რომლითაც გარკვევით თქვა, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი, ანუ **ოჯახს მისცა ისეთი განსაზღვრება, როგორიც, ათასწლეულებია, საქართველოში არსებობს. ის, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის კავშირია მხოლოდ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გათავისებული აქვს, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს სახალხო დამცველს არ მოსწონს.**

„კონსტიტუციური ჩანაწერი, რომელიც ქორწინებას როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს, განსაზღვრავს, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან და ევროპული საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეისა და მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ჰომოსექსუალთა სამოქალაქო ქორწინება (პარტნიორობა) აღიაროს“, — ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, **ლომჯარია ითხოვს, რომ საქართველოში ოფიციალურად დაკანონდეს ჰომოსექსუალთა, ბისექსუალთა, ლესბოსელთა და სხვადასხვა გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართა ქორწინება.** მეტიც, სახალხო დამცველის აპარატში იმასაც ამბობენ, რომ აღნიშნული კანონის მიღება საქართველოში ტურიზმს განავითარებს და ჩვენთან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვლენ წყვილები, რომლებიც აქ დაქორწინდებიან, თაფლობის თვეს გაატარებენ, ანუ იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც ეს აკრძალულია, და თურმე ამით ადამიანის უფლებები ირღვევა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საინტერესო იქნება, ბავშვები, რომლებიც საქორწინო ცერემონიასა და ესკორტს ყოველთვის დიდი ინტერესით აკვირდებიან და უხარიათ, როცა დაინახავენ, როგორ კოცნის კაცი კაცს, ან ქალი — ქალს ან ვიღაც — რაღაცას (ძაღლზე, კატასა და ხეებზეც ქორწინდებიან) და გაფართოებული თვალებით ჰკითხავენ მშობელს — რა ხდება?! **რამდენს გაქვთ პასუხი, 5-6 წლის ბავშვს აუხსნათ, რა ხდება?! რატომ არის, რომ ბავშვის ოჯახში დედა და მამაა, აი, იქ კი, რაც ნახა — დედა და დედა, ან მამა და მამა?! როგორ უნდა დააჯეროთ შვილს, რომ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, რომ კონსტიტუციით ამის უფლება აქვთ, რომ იმათ შვილი არასდროს ეყოლებათ და ამიტომ ბავშვს იშვილებენ, გაზრდიან და... და რა?! არც არაფერი, ბავშვი ან ვერ გაიგებს, ან გაიგებს იმას, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, გარდატეხის ასაკში ქალი შეუყვარდება თუ კაცი, ძაღლი თუ კატა და, რაც მთავარია, მას კანონი დაიცავს.**

ერთი შეხედვით, **თითქოს გამორიცხულია, საქართველოში აღნიშნული კანონი მიიღონ, მაგრამ იმავე ერთი შეხედვით, გამორიცხული ჩანდა სახალხო დამცველად ლომჯარიას არჩევაც, მაგრამ ავირჩიეთ.** გამორიცხული ჩანდა ამ თემაზე საჯაროდ საუბარი და მით უმეტეს მაღალი ტრიბუნიდან, მაგრამ ვსაუბრობთ და არამხოლოდ ვსაუბრობთ, მოთხოვნებსაც გვიყენებენ, გინდა თუ არა, უფლება მოგვეცით ოჯახები შევქმნათო. რაც მთავარია, უკვე ძალიან, ძალიან ცუდ ტონად ითვლება ლგბტ თემის წარმომადგენლის გაკრიტიკება და ამიტომ პოლიტიკოსები იძულებულნი არიან, მათ თავზე ხელი გადაუსვან, სხვა შემთხვევაში, ჰომოფობიაში დაადანაშაულებენ, გააკრიტიკებენ, გადაცემებს მიუძღვნიან, „დაჩაგრულ ჰომოსექსუალებს“ ცხარე ცრემლით ატირებენ შოუებში და კაცის თვალებზე წასმულ მაკიაჟს ცრემლი რომ დანამავს და ლოყაზე შავ ზოლად ჩამოეღვენთება, მოხერხებული ოპერატორი ფართო კადრით აიღებს, რათა საზოგადოებას მთელი სიმძაფრით დაანახვოს, როგორ დაჩაგრეს ლგბტ თემის ამაყი წევრი...

სხვათა შორის, რუსეთში ჰომოსექსუალთა პროპაგანდა კანონით არის აკრძალული. აკრალულია დემონსტრაციებისა და შეკრებების ჩატარება და ამის გამო ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ევროპა და ამერიკა აკრიტიკებს. აკრიტიკებს მაშინ, როცა არაერთ ქვეყანაში ამის გამო სიკვდილითაც კი სჯიან. ისე, რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ამ საკითხზე ერთ-ერთ ინტერვიუში საინტერესო რამ

**ამერიკას ანალოგიური ლაბორატორიის აგება თავის ტერიტორიაზეც შეეძლო, უფრო იაფიც დაუჯდებოდა ექიმების შენახვა და ექსპერიმენტებსაც თამამად ჩაატარებდა, მაგრამ იქ კანონი კრძალავს ამას. ჩნდება კითხვა: რატომ ვაკეთებინებთ ამერიკელებს ჩვენთან იმას, რასაც კრძალავენ თავიანთ ტერიტორიაზე? ასევე საინტერესოა ისიც, რომ მოსახლეობამ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებულ რუსეთზე კი არ მიიტანა ეჭვი, აქაოდა, ჩრდილოელი მეზობელი ხომ არ გვიწყობს დივერსიასო, არამედ ამერიკულ ლაბორატორიაზე, პირველ სტრატეგიულ პარტნიორზე**

თქვა: **„ჩვენთან ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა აკრძალული და არა თვით ეს ადამიანები. ავიღოთ თუნდაც ელტონ ჯონი, ის რუსეთში მილიონობით ადამიანს უყვარს და უსმენს, თუ მას რუსეთში სურს კონცერტის გამართვა, პრობლემა არავის ექნება, პირიქით, მის კონცერტზე ასიათასობით ადამიანი მივა...“**

და რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, უნდა ვაღიაროთ, რომ უმრავლესობას რუსების ასეთი მიდგომა მოსწონს. თუ არ გჯერათ, გადით ქუჩაში, ხალხში გადით, ჰკითხეთ მოსახლეობას, რას ფიქრობს ამ საკითხზე და მოსწონს თუ არა რუსეთის პოზიცია, ნახავთ, რა პასუხს მიიღებთ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ საქართველოში ღორის გრიპის ეპიდემია მძვინვარებს და მოსახლეობა პასუხს ითხოვს, საიდან და რა ფორმით გავრცელდა საქართველოში ეს საშინელი დაავადება. ვირუსი, რომელმაც 17 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ევროპამ და ამერიკამ უკვე მოინელა, იქ აღარ არის შემთხვევები, ჩვენთან კი რატომღაც ეპიდემიამ იფეთქა. საინტერესოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ეჭვი საქართველოში არსებულ ლუგარის ლაბორატორიაზე მიიტანა. სოციალურ ქსელებში დღემდე აქტიურად განიხილავენ ამ თემას და კითხვაზე პასუხი, რას ემსახურება ლუგარის ლაბორატორია საქართველოში, უბრალოდ, არ გვაქვს. არადა, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, **ამერიკას ანალოგიური ლაბორატორიის აგება თავის ტერიტორიაზეც შეეძლო, უფრო იაფიც დაუჯდებოდა ექიმების შენახვა და ექსპერიმენტებსაც თამამად ჩაატარებდა, მაგრამ იქ კანონი კრძალავს ამას. ჩნდება კითხვა: რატომ ვაკეთებინებთ ამერიკელებს ჩვენთან იმას, რასაც კრძალავენ თავიანთ ტერიტორიაზე? ასევე საინტერესოა ისიც, რომ მოსახლეობამ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებულ რუსეთზე კი არ მიიტანა ეჭვი, აქაოდა, ჩრდილოელი მეზობელი ხომ არ გვიწყობს დივერსიასო, არამედ ამერიკულ ლაბორატორიაზე, პირველ სტრატეგიულ პარტნიორზე (და, ალბათ, ამ გრიპის სამკურნალო პრეპარატის მწარმოებელ ტრანსნაციონალურ ფარმაცევტულ კომპანიაზე, რომელიც იქვეა ბაზირებული).**

თვით ეს ფაქტი მრავლისმთქმელია. იმის მიუხედავად, რომ ათეული წლების განმავლობაში ცხვირში გვტენიან ევროპულ და ამერიკულ ღირებულებებს; გვაჯერებენ, რომ რუსეთი ყველაზე დიდი მტერია და ჩვენი განადგურება უნდა, ქვეცნობიერი, თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც გვეუბნება, რომ რაღაც ისე არ არის. რაღაც ისე არ არის, როცა იგივე ევროპა და ამერიკა ნარკოტიკების მავნებლობაზე საუბრობს, კანონებს ამკაცრებს და ამ დროს ჩვენ ნარკოლიბერალიზაციისკენ მოგვიწოდებს. ამერიკის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** ჰომოსექსუალთა მიმართ გაკეთებული მკვეთრი განცხადებების გამო აკრიტიკებენ, მაგრამ რბილად, ზედაპირულად, ჩვენ კი კრიტიკის ქარცეცხლში გვატარებენ, — როგორ გაბედეთ და კონსტიტუციაში ჩაწერეთ, რომ ოჯახი ქალის და კაცის კავშირიაო.

**ცნობისთვის: რუსეთში, ჰომოსექსუალთა პროპაგანდის გარდა, საკანონმდებლო დონეზე აიკრძალა ყველანაირი სექტის პროპაგანდა. სხვადასხვა მიმდინარეობა (იეჰოვას მოწმეები, 50-იანელები, ქრისტეს სახლის მიმდევრები) იატაკქვეშეთში გადავიდნენ და მათ კანონი დევნის. ეს ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ძალიან მოსწონს, მაგრამ არავინ იღებს ხმას, როცა საქართველოში ანალოგიური მიმდინარეობები სასათბურე პირობებში არიან. ეს იმიტომ, რომ ევროპა და ამერიკა გაგვიბრაზდება: ადამიანის უფლებებს ლახავთო. სწორედ ამის გამო, საქართველოში 50-ზე მეტი რელიგიური მიმდინარეობა დარეგისტრირდა და მათ უმრავლესობას სულ ათი კაცი წარმოადგენს. ამ ათ კაცს კი სწორედ ევროპული და ამერიკული ფონდები კვებავენ და ისინიც ჩვენ მიერ შექმნილ სასათბურე პირობებში ეწევიან ჩვენსავე გამხრწნელ საქმიანობას. რატომ? რისთვის? იმიტომ ხომ არა, რომ საჭირო დროს ამ ყველაფერს კასეტური ბომბის ეფექტი ჰქონდეს საქართველოსთვის?!** ხომ არ არის ეს სამომავლოდ ჩადებული ნაღმები, რომელზეც საქართველო ადრე თუ გვიან აფეთქდება?!

ფაქტია: საქართველო ექსპერიმენტების პოლიგონად იქცა, ევროპა თუ ამერიკა კი ყურადღებით აკვირდება, რა მოხდება ჩვენთან ამა თუ იმ ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ. აგერ ჰომოსექსუალებისა და ოჯახის თემა გააქტიურდა, იქეთ ვირუსი მძვინვარებს და ხალხის რეაქციებზე დაკვირვება გამადიდებელი შუშით მიმდინარეობს. ამ ყველაფრის შემდეგ დაინტერესებულ სახელმწიფოებს ზუსტად ეცოდინებათ, ეპიდემიისას როგორ იქცევა საქართველოს მოსახლეობა, როგორ იქცევა მაშინ, როცა ტრადიციულ ღირებულებებს ეხებიან; შემდეგ ეტაპზე კი უფრო დახვეწენ, უკეთ შეფუთავენ, რათა მძაფრი რეაქციები შეამცირონ, უკეთესად შემოგვაპარონ ის, რაც რეალურად არ გვინდა; იმის იმედად არიან, რომ, ადრე თუ გვიან, ბრძოლით დავიღლებით, მაგრამ ბრძოლაში დაღლილი საქართველო ჯერ არავის უნახავს და...

**ბესო ბარბაქაძე**

გენდერის ეს ახალი სახეობა ბრიტანეთში 10 000 ძაღლადამიანს (თუ ადამიან-ძაღლს) ითვლის — თუ მამაძაღლს? თუ ძუკნას? ამას დაბეჯითებით ვერავინ ამბობს. სამაგიეროდ ყველასთვის ცნობილია, რომ ეს შობელძაღლები ჰომოსექსუალთა შორის იშვნენ ბოლო წლებში, იმოსებიან ძაღლების ტანსაცმლით და ისე იქცევიან, როგორც შეძლებულ ოჯახებში გაზრდილი ფოქსტერიერები, გერმანული ნაგაზები, ფინიები და არაფინიები — ყეფენ, პირით დააქვთ გამოხრული ძვლები, გადმოგდებულ ლუკმას ჰაერში იჭერენ, ზუსტად ასრულებენ ბრძანებას — დაჯექი! ადექი!



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## როგორ მოიპარა ჩინელმა მილიონ სტერლინგად შეფასებული ნეფრიტის გულსაკიდი



**მოიპარა ფრიად ორიგინალურად — ერთმანეთის მიყოლებით გულსაკიდის 40 მძივი გადაყლაპა. ეს იყო 49 წლის ჩინელი — ჰოუ.**

ექვმიტანილმა საიუველირო მაღაზიის გამყიდველს სთხოვა, ნება დაერთო, მზის სინათლეზე დაეთვალიერებინა გულსაკიდი, რომლის ყიდვას თითქოს აპირებდა. ნება რომ დართეს, გავიდა მაღაზიიდან და გადაყლაპა მძივების მთელი აცმა. ამ არცთუ ახალი ბლეფის შესახებ მკითხველებს მოუთხრო Daily Mail-მა.

პოლიციის მონაცემებით, ჰოუს ახლდა 24 წლის ქალიშვილი. ერთი კვირის განმავლობაში ისინი მიდიოდნენ პროვინცია გუანდუნში მდებარე ამ საიუველიროში. თავი შეაჩვიეს მომსახურე პერსონალს, დააჯერეს, რომ მყიდველები იყვნენ. ერთ დილით 11 საათზე კვლავ მივიდნენ და მოხდა ის, რაც მკითხველმა უკვე იცის.

მაღაზიის გამყიდველები დროზე მოეგნენ გონს, შეატყობინეს პოლიციას, რომელმაც დამნაშავეები უცებ დააკავეს. ყელსაბამი ვერ იპოვეს. მაგრამ, როცა ჰოუ გააშუქეს რენტგენზე, მძივები დამნაშავის კუჭ-ნაწლავში იპოვეს. მოპარული მძივების ნახევარი პოლიციელებმა დაიბრუნეს, მეორე ნახევარს ელოდებიან.

სხედან და ელიან.

ისეთი სიტუაციაა, რომელსაც ზუსტად მოერგო საბავშვო ლექსის ერთი სტროფის სახელდახელო პერიფრაზი წიწილების ქურდსა და ავაზაკ ქორზე: „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ“:

ჰაუ! ჰაუ! ჰოუ, ნუ ფრენ
ვიტრინასთან დილ-დილასო,
ერთ ცალსაც არ გაგატანენ
გულსაკიდის მძივ-მძივასო!

გატანება კი არა, შენ და შენს მეწყვილეს ვაითუ ისეთი განაჩენი გამოგიტანონ, რომლის სასჯელის ვადა შეიძლება ზუსტად დაემთხვეს შენს კუჭში დროებით „მიმალვაში მყოფი“ ნეფრიტის მძივების სამწუხარო რაოდენობას.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## უკიდეგანო გარყვნილება

**ბრიტანეთში ახალი ლგბტ-გენდერი — გენდეროპესი (ადამიანი-ძაღლი) წარუდგა საზოგადოებას. ჰომოსაპიენსის ეს ახალი მოდგმა აცხადებს (დარწმუნებულები არიან), რომ არიან ძაღლები და ადამიანებთან საერთო არაფერი აქვთ.**



გენდერის ეს ახალი სახეობა ბრიტანეთში 10 000 ძაღლადამიანს (თუ ადამიან-ძაღლს) ითვლის — თუ მამაძაღლს? თუ ძუკნას? ამას დაბეჯითებით ვერავინ ამბობს. სამაგიეროდ ყველასთვის ცნობილია, რომ ეს შობელძაღლები ჰომოსექსუალთა შორის იშვნენ ბოლო წლების განმავლობაში, იმოსებიან ძაღლების ტანსაცმლით და ისე იქცევიან, როგორც შეძლებულ ოჯახებში გაზრდილი ფოქსტერიერები, გერმანული ნაგაზები, ფინიები და არაფინიები — ყეფენ, პირით დააქვთ გამოხრული ძვლები, გადმოგდებულ ლუკმას ჰაერში იჭერენ, ზუსტად ასრულებენ ბრძანებას — დაჯექი! ადექი! ეგაა, რომ კუდის ქიცინში ეჭვდებით, რადგან, მოგეხსენებათ, რაც არ გაქვს, იმას ვერ გააქიცინებ, მით უფრო, პრაქტიკულად ვერ დაამტკიცებ, რომ არის შემთხვევები, როცა კუდი აქიცინებს ძაღლს.

ვერც იმას ამბობენ დაბეჯითებით, რომ ეს პედერასტული ახირება ადამიანის უფლებათა გამოხატვის ფორმაა — ნეოლიბერალების ნაშობი შობელძაღლები, რადგან როგორც გინდა იწკავწკავე და იწკმუტუნე, ძაღლური არგუმენტით ადამიანის უფლებებს ბეჭედს ვერ დაუსვამ.

სამაგიეროდ, თვითონ ნამდვილად არიან თავისუფალნი — არ მუშაობენ, არც მოვალეობებით იწუხებენ თავს და, თუ დასჭირდათ, შეუძლიათ შუა ქუჩაში მოახდინონ ძაღლების გამრავლების ცხოველური წესის დემონსტრირება: ერთი მუხლებზე დადგება, წაიკუზება და... დანარჩენი თქვენც გინახავთ.

ეს ეროტიკულ-სექსუალური ფანტაზიები გვერდზე გადავდოთ და ამათ პრაქტიკულ ცხოვრებას რეალისტურად შევავლოთ თვალი. რა ხდება?

ხდება ის, რამდენიმე დღის წინათ (ჩვენი პრემიერმინისტრის ქართულით — „რამდენიმე დღის უკან“) ბრიტანულმა ტელეარხმა Channel 4-მა მაყურებლებს წარუდგინა პროპაგანდისტური რგოლი, რომელშიც ეს ახალი წარმონაქმნი თავს ჰომოძაღლად აცხადებს, ანუ მოითხოვს იმავე უფლებებს, რომლებითაც აღჭურვილი არიან დასავლეთის „დემოკრატიული სამყაროს“ მამათმავლები, ტრანსგენდერები, მოკლედ, პედერასტები.



მიიღებენ კიდეც, რადგან ამათი დროა „დარაბებს მიღმა“: ამათ ყეფაზე ქარავანიც გაჩერდება და ცუდ ამინდში ძაღლების ნაცვლად ჩვენ გაგვაგდებენ.

ძაღლის ბედიც ეს ყოფილა.

ჯერჯერობით კი **ბრიტანეთში დააპატიმრეს ჩაუ-ჩაუს ჯიშის ლეკვი, რომელმაც პოლიციელს უკბინა, სულ ახლახან სოფელ სქოთბრუერნში (ნოთემფპტონის საგრაფოში). ძაღლის სახელია ბანგლი. ლეკვი, თავისი უჭკუობის მიზეზით პატრონებს ავტომანქანის ქვეშ დაემალა და ბიძია პოლიციელს, რომელიც მის იქიდან გამოყვანას შეეცადა, ხელში კბილებით სწვდა.**

ბრიტანული მართლმსაჯულება თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და ამ „თავხედ ლეკვს“ 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ხოლო სადაც სასამართლოა, იქვე არიან უფლებადამცველებიც, რომლებმაც ბუნების ამ ლაღი შვილისთვის ასეთი განაჩენის გამოტანა გადამეტებულ სასჯელად მიიჩნიეს და დაიწყეს მოძრაობა მის გასათავისუფლებლად.

თავისაზე დგანან პოლიციელებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი პოზიცია „საშიში ძაღლების“ აქტს სრულად ეთანხმება.

ფეხზე დადგა ინგლისი — ათასობით ადამიანი მოითხოვს ლეკვის გათავისუფლებას და ამ პატარა მყეფავის პატრონის ოჯახში დაბრუნებას. ბრიტანელები დარწმუნებით აცხადებენ, რომ მათი გადასახადებით შევსებული ბიუჯეტი არ უნდა იხარჯებოდეს დაპატიმრებული ძაღლების შენახვაზე. ლეკვის პატრონმა **დევიდ ჰეისმა** განაცხადა, რომ მის შვილზე ძაღლთან განშორებამ ისე იმოქმედა, რომ მშობლები იძულებულნი შეიქნენ, ბიჭი გაკვეთილების დასრულებამდე გამოეყვანათ სკოლიდან.

დედა, დედა, რა უბედურება დატყდომიათ თავს!

ბანგლის უფლებების დასაცავად ოჯახის მამამ ადვოკატები დაიქირავა.

რას შვრებიან ამ დროს ძაღლადამიანები?

ისინი თავიანთ ორიენტაციაალრეულ ვნებებს იკმაყოფილებენ და ჩაუ-ჩაუს ლეკვის ბედი ფეხებზე, უკაცრავად, თათებზე ჰკიდიათ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-1946 წლებში: „ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდა, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რომლის გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო“.**

# სტალინი და... ორი იდიოტი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №47, 2018 წ.



**ლევან ცუცქირიძეს** ჩემთან რომ ემეზობლა და არა ნიდერლანდებთან, უფრო სარწმუნო ინფორმაციასა და ლიტერატურას მივაწოდებდი და ამ დამყაყებულ და ცილისმწამებლურ ფითებს არ „გამოაცხობდა“. ის თავისი დამკვეთების დავალებას ახმოვანებს და ამბობს: **„ფაშისტური გერმანიის დამარცხების წარმოჩენა სტალინის პირად დამსახურებად არასწორია“...** ბოლოს კი თავის „ბრძნულ“ გამოკვლევას ასე ამთავრებს: **„მეორე მსოფლიო ომი სტალინმა მოგო“ — ეს საბჭოთა პროპაგანდის შექმნილია და თანამედროვე პერიოდში მას აქტიურად ავრცელებს ანტიდასავლური მედია“.**

სტალინის განქიქებას თავი რომ დავანებოთ, ლევან ცუცქირიძე არც **ჰიტლერს** აყრის კარგ დღეს და არც მის არმიას:

„1939 წლიდან მოყოლებული დიდი ბრიტანეთის ლიდერობითა და შეერთებული შტატების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის უშუალო სამხედრო მონაწილეობით მეორე მსოფლიო ომში (მათ შორის გერმანიის საზღვაო ბლოკადის შენარჩუნებით) გერმანია საგრძნობლად დასუსტდა, როგორც სამხედრო, ისე მატერიალური თვალსაზრისით“.

ზემოთ მოყვანილ ამ ამონარიდში რამდენი სიტყვაცაა, იმდენი სისულელეა. გერმანელმა ფელდმარშალმა **კეიტელმა** ნიურნბერგის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას (ის 10 თვესა და 4 დღეს გაგრძელდა) დაწერა მემუარები, რომელშიც აღწერილია გერმანიის სამხედრო მოქმედებები 1939-დან 1945 წლამდე. სანამ კეიტელის მემუარებზე გადავალთ, მკითხველს უნდა მოვუთხრო, რა ვნახე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიწისქვეშეთში 2017 წელს ინგლისში მოგზაურობისას.

გერმანელების მიერ ბრიტანეთის ტერიტორიაზე პირველი ბომბის ჩამოგდებისთანავე ჩერჩილმა ბრძანა, პარლამენტის შენობის ქვეშ, 27 მეტრის სიღრმეზე მოეწყოთ ბუნკერი, სადაც განლაგდებოდა ბრიტანეთის მთავრობა თავისი საძინებლებითა და სამუშაო ოთახებით. ამჟამად ამ ადგილის დათვალიერება და მისი გაცნობა, ძვირი, მაგრამ ხელმისაწვდომი „სიამოვნებაა“. რა თქმა უნდა, მეც დიდი მონდომებით დავათვალიერე ყველაფერი. ყველა ოთახი ერთ ხაზზეა განლაგებული, დაცულია ტყვიაგაუმტარი მინებით. ოთახებში ჩანს საწოლი, საწერი მაგიდა, მომცრო სასადილო მაგიდა და ტელეფონის აპარატები. **თავშესაფარში კანალიზაციის უქონლობის გამო ყველა საწოლის ქვეშ გამოსაჩენ ადგილზე იდგა ღამის ქოთნები. ოთახები და მათი ინვენტარი თითქმის ერთნაირია, მაგრამ გამაკვირვა პრემიერმინისტრის საწოლის ქვეშ შედგმულმა ღამის ქოთანმა, რომელიც საშუალო მოცულობის საარყე ქვაბის ზომისა იყო. ჩერჩილმა სწორად ამ ბუნკერში მიიღო სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი 1941 წელს.**

როდესაც მოლოტოვმა პრემიერს ომის მიმდინარეობის შესახებ ჰკითხა, ჩერჩილმა უპასუხა, რომ მის იმპერიაში სიმშვიდეა. მოლოტოვმა დიპლომატიურად უთხრა, თუ იმპერიაში სიმშვიდეა, მაშინ ამ ჯურღმულში რა გვინდაო?!

კეიტელის მემუარებში ვკითხულობთ:

„1941 წლის 22 ივნისის ღამეს ადოლფ ჰიტლერის სპეციალური მატარებლით ჰიტლერის ყველაზე ახლო ადამიანები: მათ შორის იოდლი და მე ჩვენი ადიუტანტებით ჩავედით ტყით დაფარულ სამხედრო ბანაკ სტენბურგში (აღმოსავლეთი პრუსია) აქ იყო სახმელეთო ჯარების შტაბ-ბინა. შევნიშნეთ, რომ იქ იდგა გერინგის სპეციალური მატარებელიც. ასე რომ, სამივე მთავარსარდალი ვიმყოფებოდით შეტევის დაწყების ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში. შტაბ-ბინიდან ოთხ კილომეტრში ჰიტლერის პირადი თვითმფრინავი იდგა და ყოველ წუთს მზად იყო ჰაერში ასაჭრელად. ჯარის სახეობათა სარდლებს ნახევარი საათი უნდა ჰყოფნოდათ ფიურერთან გამოსაცხადებლად, თუ ამის საჭიროება დადგებოდა. იქვე ახლოს იყო განლაგებული ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი. მე ხშირად მიწევდა ამ სპეციალური აეროდრომიდან აფრენა და მოქმედი არმიების შტაბების შემოწმება, მაგრამ უკან დაბრუნებული დიდი წვალებით ვადგენდი, სად უნდა დავმჯდარიყავით, აეროდრომი ისე იყო შენიღბული ბუნებასთან. ფიურერი ოპერატიულ ცნობებს იღებდა ფინეთიდან, ნორვეგიიდან, ჩრდილოეთი აფრიკიდან და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებიდან რომელთა საჯარისო ნაწილების დაპირისპირება ხდებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ჰიტლერი კი, ლევან ცუცქირიძის თქმით, ისე ყოფილა დასუსტებული, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა საბჭოთა საზღვრებისკენ, თუმცა **ფელდმარშალმა კეიტელმა რა იცოდა იმდენი გერმანიისა და ფიურერის შესახებ, რაც ახლა იცის „დიდმა მკვლევარმა“ ლევან ცუცქირიძემ.**

1941 წლის 15 მაისის ცნობით, გერმანიას თავის განკარგულებაში ჰყავდა სახმელეთო ჯარების — 230, სატანკო — 22, მოტორიზირებული — 20, საჰაერო — 13 და კავალერიის 4 დივიზია, სულ 289 დივიზია. საბჭოთა საზღვრებთან იდგა და ბრძოლისათვის ემზადებოდა 180 დივიზია. ამის გარდა, მზად იყო ფინეთის სახმელეთო ძალების 15 და რუმინეთის 25 დივიზია. ასე რომ, **„ბატონო მკვლევარო“ ლევან, არც ისე სუსტად გამოიყურება 22 ივნისისათვის თქვენგან და თქვენი დამკვეთებისგან აგრერიგად დასუსტებული გერმანიის შეიარაღებული ძალები.**

სტალინმა საბერძნეთში დაგებული მახით, რომელშიც მოხერხებულად გააბა ჰიტლერი, გერმანიას ომის დაწყება 15 მაისის ნაცვლად 22 ივნისამდე გადაადებინა. მოგებულმა ექვსმა კვირამ კი გადაწყვიტა ე.წ. ბლიცკრიგის ბედი. ჩვენი ყალბისმქნელი და ყალბისმთქმელი ისტორიკოსები კი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან სტალინის მიზეზით 1941 წელს მომხდარი კატასტროფის შესახებ, ეს მაშინ, როდესაც კეიტელი აცხადებს, რომ გერმანია 1941 წელს დამარცხდა. 1941 წლის 22 ივნისის ბრძოლების ანალიზმა ცხადყო, რომ რუსი ხალხის პატრიოტიზმი და საბრძოლო განწყობა სამშობლოსთვის ადამიანურ გრძნობებზე მაღლა დგას და ფანტასტიკის დონეს განეკუთვნება.

„ბატონო მკვლევარო“ ეს ჩერჩილის სიტყვებია:

„22 ივნისი ბრიტანეთისა და კაცობრიობის გადარჩენის დღეა!“

ენა როგორ გიბრუნდებათ, როცა ამბობთ, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში დიდი წვლილი მიუძღვის სტალინსო?! თუ უახლესი ისტორიისა ცოტა რამ მაინც გაგეგებათ, უნდა იცოდეთ, რომ სტალინი მუხლზე დაჩოქილი ემუდარებოდა ევროპას, გაერთიანებულიყო ფაშიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა, მათ ჰიტლერი არჩიეს სტალინს და ჰიტლერთან ერთად საბჭოეთს 18 ევროპული ქვეყანა შეუსიეს ცხადად თუ ფარულად. მაგრამ საბოლოოდ ზოგი თავისი ნებით და ზოგიც ძალით მოკავშირე გახდა ძლევამოსილი საბჭოთა კავშირისა და მისი უმაღლესი მთავარსარდლისა.

უფრო კარგად რომ დაგარწმუნოთ, ვინ იყო მეორე მსოფლიო ომში სტალინი და რა სისულელეს ამტკიცებთ თქვენ, სტალინისადმი თქვენივე სათაყვანებელი ჩერჩილის პირადი მიმოწერით მიგახვედრებთ ზოგიერთ რამეს.

1941 წლის 8 ივლისს პირველი ბრძოლებით გაოცებული ჩერჩილი სტალინს წერს:

* „აქ ყველანი ძლიერ გახარებული ვართ, რომ რუსეთის არმიები ასეთ ძლიერ, გაბედულ და მამაცურ წინაღმდეგობას უწევენ ნაცისტების სრულიად არაპროპორციულ და დაუნდობელ შეჭრას“.

რაც შეეხება სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას, გირჩევთ წაიკითხოთ 1939 წელს გამართულ სკკპ მე-18 ყრილობაზე სტალინის მოხსენება, სადაც იგი ამბობს:

„დამახასიათებელია ის ხმაური, რომელიც ატეხა ინგლის-საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის პრესამ საბჭოთა უკრაინის შესახებ. ამ პრესის მოღვაწენი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინაზე მიდიან, რომ მათ ახლა ხელთ უპყრიათ ეგრეთ წოდებული კარპატების უკრაინა, სადაც დაახლოებით 700 ათასი მცხოვრებია, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინას, სადაც 30 მილიონზე მეტი მცხოვრებია, არაუგვიანეს ამა წლის გაზაფხულისა შეუერთებენ ეგრეთ წოდებულ კარპატების უკრაინას. გამოდის, რომ ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა აენთო საბჭოთა კავშირის გააფრთება გერმანიის წინააღმდეგ, მოეწამლა ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი გერმანიასთან, საამასოდ აშკარა საფუძვლების უქონლად. სავსებით შესაძლებელია, რომ გერმანიაში არიან გიჟები, რომლებიც ოცნებობენ იმაზე, რომ შეუერთონ სპილო ე.ი. საბჭოთა უკრაინა, ბუზანკალს, ე.ი. ეგრეთ წოდებულ კარპატების უკრაინას. და, თუ იქ მართლაც არიან ასეთი გადარეულები, ჩვენს ქვეყანაში საჭირო რაოდენობით აღმოჩნდება დამამშვიდებელი პერანგები ასეთი გიჟებისთვის“.

ეს არის სტალინის მიერ ომის გაჩაღების მცდელობა?! ეს არის იმის დამადასტურებელი, რასაც თქვენ წერთ, რომ **„სტალინს უპირობოდ დიდი ბრალი მიუძღვის ჰიტლერის წაქეზებასა და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში“.**

სტალინი დაჟინებით მოითხოვდა ჩერჩილისა და რუზველტისგან მეორე ფრონტის გახსნას 1941 წელშივე, რათა გადარჩენილიყო მსოფლიო ცივილიზაცია კაციჭამია ჰიტლერელებისგან, მაგრამ ამაოდ. ჩერჩილს ისე ეშინოდა ჰიტლერის, როგორც თაგვს — კატის.

***** 1941 წლის 21 ივლისს ჩერჩილი მეორე წერილს წერს სტლინს:

„გასულ წელს (ე.ი. 1940 წელს) ჩვენ ვიწვნიეთ წარუმატებლობის სიმწარე ნამსოსში, წლეულს — კრეტაზე, როდესაც ამის მსგავსი ოპერაციების ჩატარებას შევეცადეთ. (ამ დამარცხებათა სერიალი წინა ნომერში განვიხილეთ, ახლა ამას მტკიცებულების სახით ვაწოდებ მკითხველს). რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას, სტალინს მიაჩნდა, რომ ეს კაცობრიობის გადარჩენის კეთილი სურვილებით იყო ნაკარნახევი, და არც ისე დიდ მადლიერებას გამოთქვამდა აღნიშნულის გამო, თანამედროვეთა მოწმობით, რიგ შე-






ლევან ცუცქირიძე



ბონდო კუპატაძე

**«ბატონო მკვლევარო», მსგავსად ბელადისა, მეც სიმართლე უნდა გითხრათ პირში, როგორ არასასიამოვნოდაც უნდა მოგეჩვენოთ იგი. თქვენ იმ საქმისა, რომელზეც ხელი მოგიკიდიათ, ვფიქრობ, არაფერი გაგეგებათ და ვილაცის მიერ ხართ დაქირავებული. სიმართლე კი ეს არის: მეორე ფრონტი, რომელიც მოკავშირეებს უნდა გაეხსნათ 1941 წელს, გადაიდო 1942 წლისთვის. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე, როდესაც ჩერჩილმა კვლავ უარი თქვა მეორე ფრონტის გახსნაზე, სტალინი წამოდგა და მოუწოდა საბჭოთა დელეგაციას, დაეტოვებინა კონფერენციის დარბაზი, რადგან მათ სალაყბოდ არ ეცალათ და შინ (რუსეთში) საქმე თავზე საყრელი ჰქონდათ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჰენრი არნოლდი, ამერიკელი გენერალი: „სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და გაბედული“.

**1941 წლის 15 მაისის ცნობით, გერმანიას თავის განკარგულებაში ჰყავდა სახმელეთო ჯარების — 230, სატანკო — 22, მოტორიზირებული — 20, საჰაერო — 13 და კავალერიის 4 დივიზია, სულ 289 დივიზია. საბჭოთა საზღვრებთან იდგა და ბრძოლისთვის ემზადებოდა 180 დივიზია. ამას გარდა, მზად იყო ფინეთის სახმელეთო ძალების 15 და რუმინეთის 25 დივიზია. ასე რომ, «ბატონო მკვლევარო» ლევან, არც ისე სუსტად გამოიყურება 22 ივნისისთვის თქვენგან და თქვენი დამკვეთებისგან აგრერიგად დასუსტებული გერმანიის შეიარაღებული ძალები**

◀ მთხვევაში უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა კიდეც.

* მხოლოდ 1941 წლის 3 სექტემბერს უპასუხა სტალინმა ჩერჩილის მიერ გამოგზავნილ რვა წერილს და იქაც საკითხის დასაზუსტებლად შეიწუხა თავი:

„მადლობას მოგახსენებთ დაპირებისთვის, ადრე დათქმული 200 გამანადგურებელი თვითმფრინავის გარდა საბჭოთა კავშირს მიჰყიდოთ კიდევ 200 თვითმფრინავი, ეჭვი არ მეპარება, რომ საბჭოთა მფრინავები შეძლებენ მათ ათვისებასა და გამოყენებას“.

სტალინი გულახდილად ეუბნება ჩერჩილს, რომ მათი დაგვიანებული ქმედება დიდად აზიანებს საქმეს და შეიძლება ამას გამოუსწორებელი ზიანი მოჰყვეს. წერს, რომ დასავლეთში არ იქმნება მეორე ფრონტი, ჰიტლერმა კი ყოველგვარი შიშის გარეშე მთელი ძალები გადმოისროლა საბჭოთა ტერიტორიაზე. ამის გამო სსრკ-მა დაკარგა კრივოი როგის რკინის საბადოები და მეტალურგიული ქარხნები უკრაინაში...

**„აქ უადგილო არ იქნება კითხვა — როგორ დავაღწიოთ თავი ამ არასასურველზე უფრო მძიმე მდგომარეობას? ვფიქრობ, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: წელსვე შეიქმნას მეორე ფრონტი სადმე ბალკანეთში ან საფრანგეთში, რომელიც შეძლებს აღმოსავლეთის ფრონტიდან მიიზიდოს გერმანელთა 30-40 დივიზია“.** წერილში გაანალიზებულია ომის მიმდინარეობა, რომელიც კარგს არაფერს უქადის მსოფლიოს. წერილს სტალინი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„მესმის, რომ ეს წერილი გულს ატკენს თქვენს აღმატებულებას, მაგრამ გამოცდილებამ მასწავლა, თვალი გავუსწორო სინამდვილეს, რარიგ არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი და არ მეშინოდეს სიმართლის თქმისა, რარიგ არასასურველიც უნდა იყოს იგი“.

ასე რომ, **„ბატონო მკვლევარო“, მსგავსად ბელადისა, მეც სიმართლე უნდა გითხრათ პირში, როგორ არასასიამოვნოდაც უნდა მოგეჩვენოთ იგი. თქვენ იმ საქმისა, რომელზეც ხელი მოგიკიდიათ, ვფიქრობ, არაფერი გაგეგებათ და ვიღაცის მიერ ხართ დაქირავებული.**

სიმართლე კი ეს არის: **მეორე ფრონტი, რომელიც მოკავშირეებს უნდა გაეხსნათ 1941 წელს, გადაიდო 1942 წლისთვის. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე, როდესაც ჩერჩილმა კვლავ უარი თქვა მეორე ფრონტის გახსნაზე, სტალინი წამოდგა და მოუწოდა საბჭოთა დელეგაციას, დაეტოვებინა კონფერენციის დარბაზი, რადგან მათ სალაყბოდ არ ეცალათ და შინ (რუსეთში) საქმე თავზე საყრელი ჰქონდათ.**

ჩერჩილმა გაუგონარი თავმდაბლობა გამოიჩინა და აღუთქვა სტალინს, რომ მეორე ფრონტი 1944 წლის მაისში აუცილებლად გაიხსნებოდა. რუზველტის დაჟინებული თხოვნით, სტალინმა კონფერენციის მუშაობა განაგრძო.

ამერიკის პრეზიდენტ რუზველტის შვილმა, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, განმარტოებულ მამას ჰკითხა, რატომ არ ხსნიან მეორე ფრონტს. მამამ უპასუხა:

„ჩვენ სათადარიგო მოთამაშეები ვართ და ვზივართ სათადარიგო სკამზე, ძირითადი მოთამაშეები — რუსეთი და გერმანია მოედანზე არიან, როდესაც შევატყობთ, რომ ერთ-ერთი მოთამაშე გუნდი გადაიღალა, ჩვენ მეორე გუნდს მივეხმარებით, მოედანზე შევალთ და ბურთსაც მალე გავიტანთ“.

მეორე ფრონტი გაიხსნა მაშინ, როდესაც საბჭოთა მიწაწყალი უკვე გათავისუფლებული იყო ფაშიტი კაციჭამიებისგან და მიმდინარეობდა ევროპის გაწმენდა ფაშიზმისგან, მაგრამ ბევრ ადგილზე ე.წ. ქვაბში მოხვედრილი მოკავშირეთა არმიები საბჭოთა მებრძოლების გასათავისუფლებელი შეიქნა.

სწორედ ამის გამო თქვა სტალინმა პოტსდამში პოლონეთის საკითხის განხილვისას: **„ჩვენ სისხლი ვღვარეთ, გავიმარჯვეთ, თქვენ კი ამ ომში გასუქდით“.**

ასე რომ, რაც გითხარით, „ბატონო მკვლევარო“, იქნებ უკეთესადაც კი იცი, თუ არ იცი და ამას მაინც წერ, მუცლით მეზღაპრე და მატყუარა ყოფილხარ! მხოლოდ ეს „შექება“ არ გეყოფა, სხვა რამეც მაქვს შენთვის სათქმელი:

* „სტალინი ძლიერი ორატორი იყო და დასავლეთის ლიდერებს უჭირდათ მის არგუმენტებთან გამკლავება“.

აი რას წერს ამის შესახებ ლევან ცუცქირიძე:

„ტოტალიტარული პროპაგანდა სტალინს, როგორც ბელადს, უნივერსალურ, სრულყოფილ ლიდერად წარმოაჩენდა. ანტიდემოკრატიული გამოცემები თუ ინტერნეტრესურსები დღესაც ხშირად ავრცელებენ უინსტონ ჩერჩილისა თუ ფრანკლინ დელანო რუზველტის ციტატებს იმის შესახებ, თუ როგორ ეფექტურად ახერხებდა სტალინი მათ დადუმებას „ოსტატური რიტორიკითა“ და „ძლიერი არგუმენტებით“. სინამდვილეში ობიექტურ ისტორიულ მასალებში არაფერია ნათქვამი სტალინის გამორჩეულ ორატორულ თვისებებზე, რომელიც თითქოს ბევრად აღემატებოდა სხვა მსოფლიო ლიდერების შესაძლებლობებს. თავად ჩერჩილი ცნობილ ავტობიოგრაფიულ წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“ აშკარად დაბალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ლიდერების მეტყველებასა და წერის კულტურას, ისევე, როგორც მათი სტრატეგიული ხედვის უნარებს“.

**შე ქრისტეს უზანგის მკვნეტელო მატყუარავ! ენა როგორ გიბრუნდება სტალინზე, როცა ამას წერ?! ჩერჩილის წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“ სტალინზე მსგავსი არაფერი წერია, რასაც ტოტალიტარული პროპაგანდა ავრცელებსო**. ტოტალიტარულ პროპაგანდას ცუდის მეტი არაფერი გაუვრცელებია სტალინის შესახებ, რასაც სათავე შენმა ძმაკაცმა, სულელმა **ხრუშჩოვმა** დაუდო 1956 წლის თებერვალში პარტიის მე-20 ყრილობაზე. იმ დღიდან დღემდე სტალინზე ტოტალიტალურ პროპაგანდას მის სასარგებლოდ სიტყვა არ დასცდენია, რასაც ემატება შენი დამკვეთების ორგანიზებული ბრძოლა სტალინის წინააღმდეგ. სტალინის სიცოცხლეში კი




სტალინს დითირამბებს ვერავინ გაუბედავდა კავშირის მასშტაბით, ხოლო, 1946 წელს, როდესაც „პრავდამ“ მოლოტოვის მითითებით, ჩერჩილის ნათქვამი ქება-დიდება გადმობეჭდა ლონდონის ცენტრალური გაზეთებიდან, სტალინი მეტად გაბრაზდა, მოლოტოვი ქვეყნის მართვის ოთხეულიდან გამოიყვანა და სამეულს დაავალა, ემსჯელათ მოლოტოვზე, რომელიც მაამებლურად ექცევა უცხოელ ბატონებს.

* ჩერჩილს 1951 წელს არჩევნებზე, ხელმეორედ კენჭს რომ იყრიდა პრემიემინისტრობაზე, ასეთი დევიზი ჰქონდა: „მე სტალინის მეგობარი ვარ“.

თუ ლევან ცუცქირიძეს საეჭვოდ მიაჩნია ჩერჩილის მიერ 1959 წლის 21 დეკემბერს სტალინის 80 წლისთავზე თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვა სტალინის შესახებ, იქნებ ანდრეი გრომიკოს გამონათქვამებს გადახედოს, როგორი იდენტურია ისინი ჩერჩილის მიერ გამოთქმული სიტყვებისა.

69-ე წლისთავზე, რომლის გადახდაც ჩერჩილს თეირანში მოუწია, ვახშამზე ცენტრალური ფიგურა იყო სტალინი და არა იუბილარი ჩერჩილი. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა წარმოთქვა ფრაზა: **„მე და ჩემი მეუღლე ყოველ დილით ვანთებთ სანთლებს, რათა ღმერთს ვთხოვოთ, დიდხანს იცოცხლოს და იყოს ჯანმრთელი სტალინი, რადგან მხოლოდ მას შეუძლია იხსნას კაცობრიობა კატასტროფისგან.**

* გენერალისიმუსი **ჩან კაიში** წერს:

„სტალინი მოკავშირეთა კოალიციაში თანასწორთა შორის პირველი იყო“.

*** ალექსანდრე კერენსკი, რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერმინისტრი:**

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

*** ჰენრი კისინჯერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში**:

„სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში“.

*** კორდელ ჰალი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933-1945 წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის რუზველტსა და ჩერჩილთან ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

*** ჰარი ლოიდ ჰოპკინსი, აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის სპეციალური მრჩეველი:**

„ძალიან ვარ დარწმუნებული ამ ფრონტის წარმატებაში, აქ სუფევს გამარჯვების მტკიცე რწმენა. სტალინს რამე რომ დამართნოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა?! ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ შეგვეძლო მივნდობოდით მის გონებას, გრძნობასა და გაგებას, მაგრამ ჩვენი ეს რწმენა არ ვრცელდებოდა იმ გარემოებებსა და მოღვაწეებზე, რომლებიც მის ზურგს უკან იმყოფებოდნენ, იქ — მის ზურგს უკან“.

*** ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-1946 წლებში:**

„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდა, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რომლის გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო“.

*** ჯორჯ ფროსტ კენანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1952 წელს:**

„გაბედული, მაგრამ ფრთხილი, ადვილად განსარისხებელი და ეჭვიანი, მაგრამ მომთმენი და თავისი მიზნების მიღწევაში დაუოკებელი, შეეძლო ემოქმედა ძალზე შეუპოვრად, მოთმინებით და ფარულად, გარემოებების შესაბამისად, გარეგნულად სადა და უბრალო, მაგრამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და ღირსების უმკაცრესი და უბადლო დამცველი... პრინციპული და უყოყმანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც; მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

*** ჯოზეფ ედვარდ დევისი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1936-1938 წლებში:**

„სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისადმი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტის აშენებისთვის, რომელთა ნახვაც მე მომიწია, და მიმაჩნია, რომ ეს ქვეყნის ათასობით ინჟინერტექნიკოსისა და მუშა-მოსამსახურის დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია... რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს საბჭოთა საზღვრის გადალახვისას წინ ვერ აღუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელია არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

*** ჰენრი არნოლდი, ამერიკელი გენერალი:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და გაბედული“.

*** ალექს დე ჟონგი, ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი:**

„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალური პიროვნებაა კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მოახერხა თავის მოკავშირეებად ექცია ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგებიც. ყველა დიდ შეცდომას უშვებს მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაეცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი შეძლო, აეძულებინა, როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლოთ მის მიერ დასახული გზით. სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა“.

**(გაგრძელება იქნება)**

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ერთმანეთს საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში შევხვდით და რადიშ თორდიამ საუბარი მუზეუმის თემით დაიწყო:**
**— საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთი რესპუბლიკა იყო, რომელსაც შარშანდელ სექტემბრამდე არ ჰქონდა თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუ-** ▶

# გულწითელა ჩიტი — მისი ცისფერი ფრინველი

**რადიშ თორდიას მონათხრობიდან:**
**— აბაშაში, ჩვენს კოინდრიან ეზოში ერთი გულწითელა ჩიტი ფრენდა დაბარებულივით, ხან ხის ტოტზე შემოჯდებოდა, ხან ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდებოდა, ისე ტრიალებდა, თითქოს სადღაც მეწეოდა, მეძახდა... ვოცნებობდი, შინ შემოფრენილიყო.**
**იმდენი იფრენ-იტრიალა, სანამ ხუთიოდე წლის ბიჭს (ეგებ, არც ამდენისას), ძველი ოდის ხის კედელზე კლასობანას სათამაშო „მოედანი“ არ დაახატვინა — კვადრატებად დაყოფილი სიბრტყე.**
**აგურის ნატეხით, რადგან სამამულო ომი დაწყებული იყო და საღებავებით ბავშვების მოსამარაგებლად არავის ეცალა.**
**მშობლები გაუნაწყენდნენ ბიჭს და იმ დაჩხაპნილ-დახატულის წაშლა მოინდომეს.**
**ხელი არ ახლოთო, უბრძანებია ბაბუას და შერჩა ის პირველი ნახატი კოლხურ ოდას, როგორც ისტორიამდელი ადამიანის ნახატები გამოქვებულის — ბუნებრივი პირველსადგომის კედელს.**
**სანამ ახალი სახლი აშენდებოდა.**



ძველი კოლხები მისნები იყვნენ...

გავა წლები და ის პატარა ბიჭი საქართველოს სახალხო მხატვარი გახდება, მრავალი პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, რომლის ნახატები მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების ექსპოზიციებს დაამშვენებს.

ალიარებენ.

დღეს კი მუზეუმთა შორის ერთ-ერთში, საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში, მმეგზურობს მე, ამ სტრიქონების ავტორს, და, როგორც გულუხვ მასპინძელს ეკადრება, მიზიარებს თავისი ცხოვრების პერიპეტიებს. გულწითელა შეფრინდა მის ცხოვრებაში, როგორც წარმატების მეტაფორა — თამარ მეფის ლალით შემკული გულსაკიდი ჯვრის ხასხასა წითელი ფერით გაიფანტა მის გასხივოსნებულ შემოქმედებაში.

თუნდაც — იმედად და გამარჯვების რწმენად ბიჭის ხელისგულზე დადებული წითელი ვაშლის წერტილად — „მოგონება 1942 წელზე“ *(1984. ტილო. ზეთი)*, ან უსასოობის დაძლევად უდაბნოს *(„უდაბნო“. 1984. მუყაო. ზეთი)* ჰორიზონტზე მიმავალი აქლემის უნაგირის მინავლებულ წითელ ფერში, ან აგრესიული წითელი და შავი ფერების კონტრასტულობაში *(„გაქცევა ღამით“. 1988. მუყაო. ზეთი)* და ათას სხვა ვარიაციაში, რომელთაც წითელშტრიხებიანი ეკლესიის გუმბათი *(„ძველი ეკლესია“. 1990. მუყაო. ზეთი)* თავზე ადგას, ვითარცა ურწმუნოებასთან ბრძოლის ველიდან ეს-ესაა გამოსული გამარჯვებული რაინდის ხატი და ა.შ. და ა.შ. ხოლო „მელანქოლიაში“ *(1997. ტილო. ზეთი)*, აფორიაქებული ნახატის სივრცეში, იმ გულწითელა ჩიტის გამოჩენა „ჰეფი ენდის“ განზოგადებული ნიმუში უნდა იყოს, მგონი.

ჯობია, აქ დავასრულო, რადგან დილეტანტიზმი ხარბია და გაუმაძღარი, ეს ერთი. და მეორე, როგორც რადიშ თორდიას ფიროსმანის შეფასებისას აქვს ნათქვამი: „მისი ქმნილებები ასხივებს იმ უმთავრესსა და შეუცნობად მისტიკურ ძალას, რომლის განსაზღვრა ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია“.

რადიშ თორდიაზე, როგორც დიდ მხატვარზე, ხელოვნებათმცოდნეები ლაპარაკობენ. მე მხოლოდ მის მონაყოლს მივყვები წინააღმდეგობათა დაძლევის მხატვრის მიერ განვლილ გზაზე, რადგან ცხოვრებაში არც ისეა საქმე, როგორც ერთ-ერთი ქართული ანდაზა გვიმტკიცებს: თუ კაცს ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო.

რადიშ თორდია გულახდილად საუბრობს. აბა, მოუსმინეთ!

## ბელაშოვა, „ბურთით თამაში“, „ბაბუაწვერა“ და ცეკაში გაგზავნილი საჩივარი

— სამოციანი წლების ბოლოს მოსკოვში უნდა გამართულიყო ახალგაზრდა მხატვართა საკავშირო გამოფენა. სემეჟის ტბის მიდამოებში იყო იმ დროს მხატვრების შემოქმედებითი სახლი; პირობები — ისეთი, უკეთესს ვერც ინატრებდი. სხვა მხატვრებთან ერთად მეც იქ ვმუშაობდი სამი თვის განმავლობაში, ცალკე სახელოსნოში; ტილო, საღებავები — უფასოდ, ცალკე გვემსახურებოდა დურგალი, რომელიც ჩარჩოებს გვიმზადებდა. იქ დავხატე „ბურთით თამაში“ (ორი მეტრი — ორმეტრ-ნახევარზე) იმ გამოფენაზე წარსადგენად. და პირველი დიდი პრობლემა მის გამო შემექმნა.

ჰოდა, სენეჟში ჩვენთან მოიყვანეს ამერიკელი მხატვრები. ათნი იყვნენ. იმის საჩვენებლად, თუ როგორ პირობებში ვმუშაობდით ახალგაზრდები. ჩემს სახელოსნოში რომ შემოვიდნენ, ერთ-ერთი მათგანი, გვარი ახლაც მახსოვს **გარი რიქსონი**, დაინტერესდა ჩემი ნახატით და მეუბნება: თუ ნებას დამრთავ, ფოტოს გადავუღებ და ამერიკაში გამოვაქვეყნებ პოპულარულ ჟურნალში. რა ჰქვიაო შენს ნამუშევარს? — მკითხა. ვუპასუხე. არ მომწონსო, მითხრა. შეიძლება, რომ „მოძრაობა სივრცეში“ დავარქვაო? საწინააღმდეგო არაფერი მაქვს-მეთქი: ეს სურათი გამაკეთებინა **პაგანინის** შესანიშნავმა მუსიკალურმა ქმნილებამ „მუდმივი მოძრაობა“ („Вечное движение“) და შემოთავაზებული სახელი კარგად მოერგო ჩემს ჩანაფიქრს.

წავიდნენ ეს ამერიკელები.

ველოდებით კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ჩვენი ნამუშევრები და გადაწყვიტოს მათი გამოფენაზე გატანის საკითხი.

ერთ დღეს მეუბნებიან, რომ სენეჟში მოვიდნენ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი **ბელაშოვა,** ხანდაზმული მოქანდაკე ქალბატონი, მისი მოადგილე **პონომარიოვი** (ძალიან კარგი კაცი) და კომისიის რამდენიმე წევრი, კიდევ — ამიერკავკასიის მხატვართა კავშირების კურატორი **ფიოდოროვა,** შესანიშნავი ადამიანი.

მივედი. ვხედავ, ყველანი ჩემი სურათის წინ ფეხზე დგანან. სკამზე ზის თავჩაქინდრული, დაღლილი მოხუცი ქალი — ბელაშოვა, ძალიან მკაცრი სახით და ჩამოშლილი თმებით.

ბელაშოვა მეკითხება:

— Это ваша картина?

დავუდასტურე, რომ ჩემია.

— Очень плохая картина.

რა უნდა ვუპასუხო? არაო, ხომ არ ვეტყვი. ხმას არ ვიღებ.

— თქვენ არ იცითო, — მეუბნება, — რომ სკულპტურაში მოქმედებს კანონი: როცა ფიგურას მკლავები მოხრილი აქვს, ფეხები გამართული უნდა ჰქონდეს და — პირიქით. ეს კანონი ფერწერაზეც ვრცელდება.

აქ კი ველარ მოვითმინე და მოურიდებლად ვუთხარი, ასეთი კანონის შესახებ არაფერი მსმენია-თქო, და დავუსახელე საპირისპირო მაგალითები — ძველი ეგვიპტური, თუ რენესანსის პერიოდის ცნობილი შედევრები. არც XIX საუკუნეში მოქმედებდა-მეთქი ასეთი კანონი.

უცებ ამომხედა ამ ქალბატონმა და გაავებით წამოიძახა:

— Как вы смеете так разговоривать со мной! (ასე ლაპარაკს როგორ მიბედავთო).

კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **იური პეტროვიჩ რეინერი**, ძალიან კარგი პიროვნება, შეეცადა სიტუაციის განმუხტვას და დანარჩენი ჩემი ნახატები, რომლებიც აქვე, სახელოსნოში, მეწყო, შემოატრიალა, გაბრაზებული თავმჯდომარისთვის რომ დაენახვებინა — არც ისე ხელწამოსაკრავი მხატვარი არისო, მაგრამ ამან ვერ გაჭრა. პირიქით, კიდევ უფრო განარისხა ბელაშოვა.

— უნდა გითხრათ, რომ თქვენ საქართველოში ძალიან ცუდი ფერწერა გაქვთ.

საქართველოს შეეხოო? პირში მივახალე, რომ ჩვენს მხატვრობას მსოფლიოში იცნობენ და აფასებენ. თქვენ კი არ გსურთ, შეამჩნიოთ და აღიაროთ. თქვენთან გზავნიან **კაკაბაძის, გუდიაშვილისა** და სხვების (ჩამოვუთვალე) ნამუშევრებს და ის ჟიური, რომელსაც თქვენ უდგახართ სათავეში, მათ გამოფენაზე უარს ამბობს.

ამაზე სულ გადაირია და **ვალია რიჟოვას**, რომლის ხელში იყო ხელშეკრულებების გაფორმება, უყვირა:

— მომეცით თორდიასთან დადებული ხელშეკრულება!

შეცბნენ კომისიის წევრები, იქნებ გვათქმევინოთო ჩვენი შეფასებები.

არა და არაო, მომეცით და მომეცითო. ისტერიკა დაემართა, დუჟმორეული ყვიროდა. მიუტანეს. გადახია და გადაყარა. გამოვიხურე კარი და გამოვედი.

მეორე დღეს დილიდან მირეკავს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე პონომარიოვი და მოსკოვში თავის კაბინეტში მიბარებს. ბილეთი უკვე აღებული მქონდა და თბილისში წამოსასვლელად ვემზადებოდი. უარი ვუთხარი. კატეგორიულად მომთხოვა; ჯერ მოდი და მერე, საითაც გინდა, იქით წადიო.

მივედი.

— ჩემგან რამე ხომ არ გეწყინა? — მეკითხება.

— თქვენგან კი არა, ბალაშოვასგანაც არ მწყენია-მეთქი — არ მოსწონს, ნუ მოწონს.

— 500 მანეთია შენზე გამოწერილი და აიღეო.

უარი ვუთხარი.

ბუღალტერიაში ძალით შემიყვანა:

— ბრძანება ჩემი ხელმოწერილია და ბალაშოვა არაფერ შუაში არ არის.

ბრძანებაში ეწერა:

„Для завершения картины „Игра в мячь“ (სურათ „ბურთით თამაშის“ დასასრულებლადო).

გულგატეხილი და ყველაფერზე გულაცრუებული წავედი ჩემს სოფელში და დედაჩემის პორტრეტი დავხატე — დედასთან ეძებს ბავშვი დამშვიდებას ყოველთვის.

ცოტა ხნის შემდეგ, მოსკოვის ჟიურის გადაწყვეტილებით, გამოფენაზე წაიღო ჩემი მრავალჭირგადანახადი ნახატი.

ერთხელ, როცა საკმაო დრო გავიდა, მეც თავად შემიყვანეს საკავშირო გამოფენის ჟიურის შემადგენლობაში, მოვიდა ჩემთან პონომარიოვი, დამპატიჟა მხატვართა კავშირის რესტორანში და იქ მითხრა:

— ჩამოსულ ამერიკელებს, როგორც წესი, ჩვენი სპეცსამსახურები „მწყემსავდნენ“, მათი ყოველი ნაბიჯი ზუსტად იცოდნენ. ამ ამერიკელებს შეხვედრა მოუწყვეს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებაში, სადაც დისკუსია გაიმართა სოცრეალიზმის მეთოდის უპირატესობაზე თანამედროვე სახვით ხელოვნებაში. შეუტიეს ამერიკელებს. ადგა სტუმართაგან ერთი და უპასუხა, რომ სოცრეალიზმი მოძველდა, რომ საბჭოთა კავშირში ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით — ახალგაზრდა თაობის შემოქმედებაში და მაგალითად დაუსახელა რადიშ თორდიას „მოძრაობა სივრცეში“.

ამ შეხვედრას ესწრებოდა ბელაშოვაც, რომელიც ცეკას განყოფილების გამგემ თათბირის შემდეგ დაიტოვა და, გამოჟონილი ხმების მიხედვით, შავ დღეში ჩააგდო: ასე არჩევთო საგამოფენოდ წარსადგენ ნამუშევრებსო?!

მეორე დღესვე ჩამოვედით შენთან და დანარჩენი შენც იცი, მაგრამ ამ ყველაფერს ყურადღება არ მიაქციო. ჩვენ, ყველას, ძალიან მოგვწონს შენი ნახატი და ყველგან გზა გექნება გახსნილიო.

მართლაც, მეორე წელსვე ეს ჩემი „ბურთით თამაში“ სოფიაში გამართულ ▶



ბურთით თამაში



ბაბუაწვერა

ერის საგანძური

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზეუმი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა XX საუკუნის ქართველი მხატვრების შემოქმედების გამოფენა. ამ ნეგატიური ანომალიის დაძლევა ერთადერთმა კაცმა შეძლო, თავისი ნებით და საკუთარი სახსრებით. ეს ადამიანი გამოჩენილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი გია ჯოხთაბერიძეა. მხოლოდ მან აგვიხდინა ქართველ მხატვრებს ოდინდელი ოცნება. დიდი მადლობა მას ამისთვის. ბატონმა გიამ, რომელსაც ყოველთვის გვერდში უდგას ქალბატონი მანანა შევარდნაძე, ქართული კულტურის ღირსეულ მოამაგეთა ისტორიულ კოჰორტაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი.**

მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე გამოფინეს, როგორც თანამედროვე მხატვრობის სანიმუშო მაგალითი.

**— ამერიკელებმა თუ შეასრულეს ჟურნალში გამოქვეყნების დაპირებები?**

— აპა!

**„ბურთით თამაშის“, ანუ „თეთრი ბურთი და გოგონების“** *(1966. ტილო. ზეთი)* **გამო კონფლიქტი რეტროგრადების მიერ თორდიას წინააღმდეგ მოწყობილი რეპრესიების მეორე შემთხვევა იყო, რომელსაც წინ უსწრებდა საქართველოს მხატვართა კავშირის ყრილობაზე ინსპირირებული ტრაგიკომიკური აქცია, რომლის ავტორები ამჯერად მისი უფროსი კოლეგები იყვნენ — სამი უსახური „შემოქმედი“. მათი გვარები საჯაროდ არ გამოაქვს — სამივე გარდაცვლილიაო. პირველად „ბაბუაწვერას“** *(1968. ტილო. ზეთი)* **გამო შეუტიეს საქართველოში რადიშს.**

— მჟავანაძის დროა. მხატვართა კავშირის ყრილობას პირველად ვესწრები — ახალმიღებული ვარ. ყრილობას მიუძღვნეს და შესვენებაზე გახსნეს კიდეც გამოფენა, რომელზეც ჩემი „ბაბუაწვერაც“ არის წარმოდგენილი.

ყრილობა აგრძელებს მუშაობას. სიტყვა მისცეს ბატონ ლადო გუდიაშვილს და იგიც ტრიბუნისკენ მიემართება. ამ დროს იმ „სამეულიდან“ ერთ-ერთი ჩვენს სახელოვან მხატვარს ფურცელს შეაჩეჩებს და რაღაცას ეუბნება. რას? აბა, მე რა ვიცი!

თავისი სათქმელი ბატონმა ლადომ რომ დაამთავრა, ისე, რომ არ განუცხადებია, ეს ფურცელი ტრიბუნაზე ასვლის წინ მომაწოდესო, იწყებს იმ ქაღალდზე დაწერილის კითხვას.

კითხულობდა და სახეზე ეტყობოდა, რომ თვითონაც უკვირდა, რასაც კითხულობდა: „ბაბუაწვერა“ უიმედობის განსახიერებააო. ჩვენ დროში ახალგაზრდა მხატვრები ასე არ უნდა აზროვნებდნენ, ახალგაზრდობა უნდა იყოს შემართულიო და მიაყოლა რაღაც ლოზუნგური ფრაზები. ერთი სიტყვით, „ბაბუაწვერა“ საშინელებაა. კი თქვა, ავტორის გვარს არ დავასახელებო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ჩემი ნახატია. მივედი ყრილობის წამყვან **დევი სტურუასთან** — ცეკას იდეოლოგიურ მდივანთან, და ვთხოვე, სიტყვით გამომსვლელთა სიაში ჩავეწერე. აბა, უპასუხოდ ხომ არ დავტოვებდი! სათქმელიც მოვიფიქრე: „ბაბუაწვერა“ უიმედობის განსახიერება კი არ არის, არამედ თავისი ბუნებით გამრავლების სიმბოლო და ნიშანია-თქო.

აფორიაქებული ვარ და ვხედავ, რომ ამასობაში ტრიბუნაზე დამდგარა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია და ლადო გუდიაშვილს მიმართავს: ძალიან გამიკვირდა შენი ნათქვამი, ლადო. ევროპიდან შენ ჩამოიტანე ახალი ხედვა და ახლა შენ თვითონვე ებრძვი?! ეს სურათი მეც ვნახე გამოფენაზე და ძალიან მომეწონა.

ამაზე უკეთესად მე რას ვიტყოდი და დევი სტურუას ვთხოვე, სიიდან ჩემი გვარი ამოეშალა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ კი ამ გამოფენის განხილვა მოეწყო. მიმომხილველი იმ „სამეულის“ ერთ-ერთი წევრი იყო. მიჰყვებოდა ექსპოზიციის რიგს და სათითაოდ აფასებდა გამოფენილ ნამუშევრებს. ახლავე გეტყვით, ეს ის „სამეულია“, რომელმაც თავის დროზე აკადემიიდან გააგდო დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და სხვები. „ბაბუაწვერას“ რომ მიადგა, შეჩერდა. ტრიბუნაზე გრაფინით წყალი ედგა. დადო თავისი ცისფერი რვეული, რომელშიც ჩანაწერები ჰქონდა, დაისხა წყალი, დალია, ბოდიში მოიხადა, ცუდად გავხდიო, წავიდა და საერთოდ მიატოვა იქაურობა.



მოგონება 1942 წელზე



ცირკი



ქალი წითელი წიგნით



პუშკინი გერგეტის მონასტერთან

განხილვაზე ბატონი ლადო გუდიაშვილი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა. მობრძანდა მისი ცოლი, ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი ნინო, — ლადო ავად არის, წერილი გამომატანა და წაგიკითხავთო.

მთელი წერილი ჩემი სურათის ქება იყო.

**ეს შემთხვევაც რადიშ თორდიას, ანუ ჭეშმარიტი ხელოვნების გამარჯვებით დამთავრდა.**

**— ხომ არ გასამებულა?**

— გასამდა. მესამედ — სხვისი წყალობით, რომელიც იმ დროს ცნობილი პიროვნება იყო. მის ნათქვამს ანგარიშს უწევდნენ. ისიც გარდაცვლილია და, ბუნებრივია, გვარს არ დავასახელებ. მრავალგვერდიანი წერილით მიმართა მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მაშინ **ედუარდ შევარდნაძე** ედგა სათავეში.

მთელი ერთი გვერდი ჩემ წინააღმდეგ იყო მიმართული, კერძოდ, რომ მე ვარ ბურჟუაზიული ხელოვნების მიმდევარი; რომ იმას, რასაც მე ვაკეთებ, სოცრეალიზმთან საერთო არაფერი აქვს; სხვა დრო რომ ყოფილიყო, დაჭერილი და დახვრეტილი ვიქნებოდი. **ვალერი ასათიანი** მუშაობდა მაშინ ცეკას კულტურის განყოფილებაში, პროგრესული შეხედულებების ახალგაზრდა კაცი. დამიბარა და წამიკითხა — მიწასთან ვყავდი ავტორს გასწორებული. მითხრა, რომ ამ საჩივრის განხილვას მოაწყობდა და მოაწყო კიდეც საკმაოდ წარმომადგენლობითი შეკრება. დაესწრო საჩივრის ავტორიც. ვალერიმ ზოგადად მიმოიხილა მისი მანუსკრიპტი, რაც არ ესიამოვნა „სიგნალის“ მიმწოდებელს და განაცხადა, რომ ეს ყველაფერი იყო ტყუილი, რომ მსგავსი არაფერი დაუწერია(!).

ხალხმა ეჭვის თვალით შემომხედა, როგორც აფერისტსა და ცილისმწამებელს. ვალერი ასათიანს ვუთხარი, — მომეცით წერილი და წავიკითხავ თავიდან ბოლომდე-მეთქი. ვალერიმ ავტორს მიაწოდა და სთხოვა, წაეკითხა. იმანაც დაიწყო კითხვა და იმ გვერდამდე რომ მივიდა, რომლიდანაც ჩემი ლანძღვა იწყებოდა, გაჩერდა. მოვითხოვე, განეგრძო კითხვა. იძულებული გახდა, დაესრულებინა. გაშრა დამსწრე საზოგადოება. მიხვდა საჩივრის ავტორი, რომ სრულიად გამოაშკარავდა მისი ავკაცობა და განაცხადა: მე სულ სხვას ვფიქრობდი და ეს ისე დავწერეო. შეგიძლიათ დახიოთ და გადაყაროთო. რას ნიშნავს — ერთს ვფიქრობდი და სხვა დავწერეო?! სადაა თქვენი პარტიული პასუხისმგებლობა და ა.შ. და ა.შ.? შეუტიეს. 1937 წელს „დანოსებს“ რომ წერდნენ, ყველა შენახულია, სადაც საჭიროა, და ამ ნაწერსაც იქ მოვათავსებთო, ესეც დაუმატეს.

ამან საბოლოოდ გაანადგურა „დანოსჩიკი“.

უსიამოვნო მოგონებები რახან გასამდა, ამით დავამთავროთ.

## ჩამოვლა საგამოფენო კედლების გასწვრივ ავტორთან ერთად

**— ჩვენს შორეულ ახალგაზრდობაში მითხარი, რომ მხატვარი ჩვეულებრივ ადამიანზე მეტ ფერსა ხედავს. მაშინ ეს ინფორმაცია აქსიომად მივიღე, თუმცა არ დავიჯერე.**

— მხატვარი ფერში უამრავ ნიუანსს ხედავს. ეს ისეა, როგორც მომღერალი სიმღერის დროს ბგერების ჰარმონიას ეძებს და პოულობს. ამას ჩვეულებრივი საუბრის დროს არ აკეთებს. რაც უფრო დიდია მომღერალი, მით უფრო მდიდარი პალიტრა აქვს (მიდის ნახატთან და კონკრეტულ მაგალითზე მიხსნის). მხატვარიც ასეა. ამ ფიგურას (*მიმითითებს*) იისფერი რაღაც აცვია, მაგრამ ჩრდილში ცისფერია. აგერ სულაც მომწვანოა, აგერ ყვითელი აქვს, აგერ — მუქი წითელი და ამ მრავალფეროვნებაში იბადება რაღაც ცოცხალი ფერი. ფერების ასეთი გრადაცია თუ არ იქნება, ფერი იქნება მკვდარი.

მხატვარი მეტ ფერს ხედავს და გრძნობს კიდეც.

**— მხატვრობა თავისი არსით სინამდვილის მეტაფორაა, რომლითაც მხატვარი რეალობისადმი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. ხომ ასეა?**

— კი. ადამიანს რაგინდ გაჭირვებაში იყოს ჩავარდნილი, მაინც აქვს ერთი ნათელი დღე. ჩემს ნახატში „ვარდისფერი დღე“ *(2001. ტილო. ზეთი)* სწორედ ასეთი დღე მაქვს გადმოცემული. მნახველმა უცებ უნდა იგრძნოს, აღიქვას, რომ კარგი დღეა, ბედნიერი დღე. ჩემთვის მეტაფორა დაფარული სიხარული ან დაფარული მწუხარებაა.

**თავის შესანიშნავ ნახატზე „ცირკი“** *(2009. ტილო, ზეთი)* **მიმითითებს:**

— ეს არის ცხოვრების, ყოფის, წყობილების, ქვეყნის მართვის მეტაფორა. ცხოვრება ცირკიაო, ხომ იტყვიან, აქ ფარულად არის წარმოდგენილი, ქარაგმულად, სახვითი ხელოვნების კომპონენტების საშუალებით.

**— გარდამოხსნა? „პიეტა“** *(1993, მუყაო. ზეთი)***?**

— ეს არის დედის ტრაგედია.

**— „დაცემა“** *(2001. ტილო. ზეთი).* **— ცხენის კისერზე ვარდნის მომენტი?**

— კრახის მეტაფორაა, ადამიანური კრახის; ხოლო „კაცის გაქცევა“ *(2001. ტილო. ზეთი.)* იმ არეულობის ალეგორიაა, საქართველოდან რომ გარბოდნენ ჩვენი მოქალაქენი უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად, იმ დროის.

**— თუთიყუშის გამოჩენა შენს შემოქმედებაში რას ნიშნავს** *(„თუთიყუში“. 1980. მუყაო. ზეთი)***?**

— თუთიყუში ჩემს ავტოპორტრეტზეც დავხატე, ალბომის ყდაზე, გია ჯოხთაბერიძემ რომ გამოსცა, ცალკეა კიდევ „ნატურმორტი თუთიყუშით“ *(2006. ტილო. ზეთი).*

რას ნიშნავს, იცი? საუბრის სიმბოლოა, ლაპარაკის, რომლის პრივილეგია მხოლოდ ადამიანს აქვს. მსუბუქ საუბარზეა მინიშნება და არა ღრმა და ინტელექტუალურზე.

**— ხელოვნებათმცოდნეობისგან შორს ვარ, მაგრამ, მხატვარს თავისი ნახატისთვის ფარდა ჩამოეფარებინოს და ასე წარედგინოს საყოველთაოდ სახილველად, პირველად შევხვდი შენს ნახატში „ქალი წითელი წიგნით“** *(1983, ტილო. ზეთი).* **რატომ დახატე ის, რაც შემდეგ საზოგადოებას დაუმალე? ესეც დაფარული მეტაფორაა?**

— ასეა. ადამიანის საარსებო გარემოში გაჩნდა წითელი წიგნი, რომელშიც თანდათან გამოიკვეთა ის, რასაც განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება, თორემ გაქრება, თვითონ ადამიანი გააქრობს და ვეღარასოდეს დაიბრუნებს. არადა, უნდა გადაარჩინო ესეც, ესეც, ესეც (მიმითითებს ნახატის დეტალებზე).

**ალექსანდრე პუშკინის თორდიასეული პორტრეტი უნიკალურია.**

**— სიმრავლე ცხენებისა და მთავარი აქცენტი ქალებზე?!**

— ჩემთვის ყველაზე პლასტიკური ამქვეყნად არის ცხენი და ქალის ფიგურა, სილამაზითა და დახვეწილობით. მით უმეტეს — წყალთან „ქალი მდინარის პირას“ *(1997, ტილო. ზეთი).* **ამ ტილოსთან ვართ შეჩერებული**). წყალი იმ ფორმას იღებს, როგორ ჭურჭელშიც ჩაასხამ. ქალის უპირველესი ფუნქცია, გარდა ფიგურის გრაციულობისა და ა.შ., არის ბავშვი. ხოლო აი, ამ ნახატში, რომელსაც „გოგონა მარწყვით“ ჰქვია *(1995. ტილო. ზეთი),* არის ოთხი კომპონენტი, რომელთა შესახებ არაფერს ვამბობ, მაგრამ ბევრი ხვდება: ერთი, ორი, სამი და ოთხი წითელი მარწყვი (თითს ადებს მიყოლებით), ერთმანეთის მსგავსი ფერებიც არის და ერთნაირი სიტკბო მოაქვს ყველასთვის.

სიტკბოო.

**მან იცის, მე ვხვდები, რასაც გულისხმობს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვეცინება ხანდაზმულ კაცებს. მეტს ვერ მიგითითებთ, რადგან გაზეთის ეს გვერდები ფერადი რეპროდუქციების გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს. თუ დაინტერესდებით, მიდით მუზეუმში, დადექით ამ ნახატის წინ და უეჭველად მიხვდებით ჩვენს რეაქციას.**

**და არა მხოლოდ ამას.**

**ამიტომ ეგებ სჯობდეს, ძვირფასო მკითხველებო, ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსებისა და კიდევ უფრო ეგრეთ წოდებული ექსპერტების ეკრანულ სახეებს რომ მისჩერებიხართ, ზოგჯერ მიმოიხედოთ გარშემო, იქნებ, თქვენ ფანჯრებთანაც დაფარფატებს გულწითელა ჩიტი — თქვენი ცისფერი ფრინველი და რაღაცის მინიშნებას ცდილობს.**

**გაჰყევით!**

**...თუ უკვე დაგვიანებული არ არის...**

**არმაზ სანებლიძე**

**ცნობისთვის:** **გულწითელა ჩიტი ბატონმა რადიშ თორდიამ საგანგებოდ ამ საგაზეთო პუბლიკაციისთვის დაგვიხატა.**

**ა.ს.**

საკითხავი
აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს... რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს; შესაძლებელია, ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება...“



ნიკო ნიკოლაძე:

# ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს ან მარტო მავნებელი... მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია

**პუბლიკაცია „მამულის სიყვარული და მსახურება“, რომელსაც ახალი წლის პირველ ნომერში ვთავაზობთ ჩვენს ერთგულ მკითხველს, 1880 წელს დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის მიერ შედგენილ ალმანახში „საახალწლო“. და რატომ მაინცდამაინც ამ პუბლიკაციით ვიწყებთ ჩვენც ახალ წელს? იმიტომ, რომ 2019 წელს მაინც გავიაზროთ, რა იგულისხმება მამულის სიყვარულსა და მსახურებაში; პირად ამბიციებს, ურთიერთქიშპობას, ქილიკსა და შეურაცხყოფას კი თავი დავანებოთ.**

**სწორედ ამის ახსნას ცდილობს ნიკო ნიკოლაძე თანამემამულეებისთვის, როდესაც ამბობს, რომ** „ამ ნაწერის მიზანიც – თუ დარი დამიდგა – ეს გამოკვლევა იქნებაო“.

**თვით ნიკო ნიკოლაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ხომ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, როგორ უნდა იღვაწოს სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ადამიანმა. „ჩინებული რამ არის ქვეყნისთვის წვიმა... მაგრამ, თუ მაისის წვიმა ნიაღვრად იქცა, ყანებს ერთიანად წალეკს და თესლს გადარეცხსო“.** სამშობლოს სიყვარული მართლაც ჩინებული რამ არის, მაგრამ ზომიერება, სიფრთხილე და დაკვირვება გმართებს, შენი ქმედებით მამულს სიკეთის ნაცვლად ზიანი რომ არ მიაყენო: **„თუ მდინარეს კაცმა უადგილო ადგილს წვალება დაუწყო, თუ სარწყავი ღელეების ან საწისქვილე ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ ყანებსა და მინდვრებს გადიარს, წალეკს, დააქცევს“. ბრძენკაცის ამ სიტყვებს გულისფიცარზე უნდა იწერდეს ჩვენი ქვეყნის ყველა პოლიტიკოსი, რომლებიც რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივრები სწორედ ისინი არიან, რომ მხოლოდ მათ შესწევთ ძალა და აქვთ უნარი ქვეყნის გაძღოლისა და აღმშენებლობის. „მდინარეს კაცმა უადგილო ადგილას წვალება არ უნდა დაუწყოსო“ — არადა, სწორედ „უადგილო ადგილას წვალებამ“ შაგრენის ტყავივით დაპატარავა საქართველო, მტრად გვიქცია მოკეთე...**

მაგრამ „ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი კურნალობს, და უტვინო ბავშვი რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა“. ნურავინ გვიწყენს, მაგრამ ჩვენს ერს რომ არ ელირსა ქვეყნის სათავეში მცოდნე და მოხერხებული კაცები, ფაქტია. მავანი ერეკლე II-ს ამუნათებს: აქაოდა, რუსებს შეაჭმევინა ჩვენი თავიო; რუსეთში განათლებამიღებულნი კი რუსეთუმეებად მონათლა: რუსებს გუნდრუკს უკმევენ და ელაქუცებიანო. არადა, სწორედ მათ — თერგდალეულებმა და მათმა შთამომავლებმა — რუსეთში ყოფნისას თუ იქიდან დაბრუნების შემდეგ უდიდესი ქართული საქმეები გააკეთეს.

როგორ?

სწორედ ისე, როგორც ნიკო ნიკოლაძე ამბობს: „გონიერმა ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წყლისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეიროს“.

თუნდაც გავიხსენოთ, რას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძის საქმიანობა რუსეთის დუმაში.

ის, რომ პატრიოტი ქართველები ფიანდაზად ფეხქვეშ არავის ეგებოდნენ, ამის დასტურად მოვიყვან ნაწყვეტს დიმიტრი ყიფიანის მიერ პეტერბურგში გასაგზავნად რუსულ ენაზე შედგენილი განმარტებითი ბარათიდან:

„...ახლა კი დავსვათ კითხვა: რა ხალხია ქართველები? ქართველები ახალგაზრდა ხალხი არაა. მათ დამოუკიდებლად იცხოვრეს უძველესი დროიდან ჩვენი ასწლეულის დამდეგამდე. სახელმწიფოებრივი არსებობა კი ქრისტეს დაბადებამდე 300 წლის წინათ დაიწყეს.

უკანასკნელი ექვსი საუკუნე ქართველების ცხოვრებაში იყო მრავალტანჯული, მოწამეობრივი. მიიღეს რა პირველივე საუკუნეებში ქრისტიანობა, მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობები მტერთაგან ეროვნული მეობისა და მართლმადიდებლობის დაცვას მოახმარეს. მტერი კი ყოველი მხრიდან აწყდებოდათ: თურქები, სპარსელები, (ჩრდილოკავკასიელი) მთიელები. აღმოსავლეთიდანაც გამძვინვარებით ესხმოდნენ თავს: ჩინგიზ-ყაენის ურდოები, მაგალითად, **ჯალალედინი, მურვან ყრუ, თემურლენგი,** რომელიც უთვალავი ლაშქარით ექვსჯერ შემოესია ერთ მუჭა ქრისტიან ხალხს. საქართველომ კაცობრიობის ამ მტარვალთა მრავალი დარტყმა მიიღო საკუთარ თავზე და ამით საფრთხე ააცილა დასავლეთის ცივილიზაციას. არაერთ ქრისტიან ხელისუფალს უღიარებია ქართველი ხალხის დამსახურება მსოფლიოს წინაშე. ხალხისა, რომელმაც თავგანწირული ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარა სხივმოსილი სიწმინდე სამოციქულო ეკლესიისა.

მაგრამ **ექვსსაუკუნოვანმა ბრძოლამ მოქანცა საქართველო, სისხლისგან დაცალა იგი. ბოლოს მან ძლიერ და ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს მიაპყრო მზერა – შეგნებულად, ნებაყოფლობით შევიდა მართლმადიდებელი რუსეთის ერთმმართველობაში. ასე გადაიქცა საქართველო რუსეთის საქართველოდ და ამის შემდეგ თითოეული ქართველი, — ისევე, როგორც თითოეული ჭეშმარიტი რუსი, – არ ზოგავდა და დღესაც არ ზოგავს არც სიცოცხლეს, არც ავლადიდებას საერთო რუსული სახელმწიფოს ინტერესებისთვის.**

**60 წლის მანძილზე იღვრებოდა კავკასიაში რუსების სისხლი, მაგრამ ქართველთა სისხლიც იღვრებოდა! ბოლოს და ბოლოს, რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველომ მიაღწია იმას, რაც XIII საუკუნიდან არ ღირსებია.**

ქართველები ახალგაზრდა ხალხი არაა-მეთქი, — ზემოთ აღვნიშნე, — და მათ იციან, ვისი დამსახურებაა ეს ყოველივე. მაგრამ როგორია, როცა ვეება კასრით თაფლს მოგიძღვნიან, მადლობის სათქმელად გაღებულ პირში კი კუპრს ჩაგასხამენ.

ჩვენ ვინც გვიცნობს — ან ვუყვარვართ ან პატივს მაინც გვცემენ; ხოლო ვინც არ გვიცნობს, — როგორებიც არიან, მაგალითად, ჩვენი ბედუკუღმართობის გამო დასავლეთის გუბერნიებიდან პირდაპირ აქ მოხვედრილი ადმინისტრატორები, — იმათ პოლონელებში ვეშლებით და ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, როგორმე გაგვაბოროტონ და მოთმინებიდან გამოგვიყვანონ. მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერავინ ახერხებს. რატომ? იმიტომ, რომ **ჩვენ მეომარი ხალხი ვართ და, მაშასადამე, პატიოსანიც. ამასთანავე, ქართველები ახალგაზრდა ხალხი არაა და ვერც ვერავინ წამოგვაგებს ანკესზე.** კიდევ ერთი საკითხიც და წერტილი: თავადი **დონდუკოვი** *(ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვი, კავკასიის მთავარმართებელი, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორი — რედ.)* უცნაურ დანაშაულსა მდებს ბრალად. **ჩემზე ამბობს — ქართველი პატრიოტის როლს თამაშობსო. არის თუ არა ამაში რაიმე ნიშანი დანაშაულისა? ერთნი მოსკოველი პატრიოტის როლს თამაშობენ, მეორენი — ვოლოგდის პატრიოტის როლს, მესამენი — რიაზანელი პატრიოტისას... არა, თავადო! მე როლს არ ვთამაშობ – ჭეშმარიტად ქართველი პატრიოტი ვარ! ოღონდ ეგაა, არა თქვენებური, არამედ ჩემებური გაგებით. პატრიოტის მოვალეობაა თავისი სამშობლოს მიმართ შთანერგვა სიყვარულისა და არა განხეთქილებისა!“** *(14 ნოემბერი, 1886, სტავროპოლი).*

თქვენც გაიგონეთ და ღრმად ჩაიბეჭდეთ თავში, ვისაც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მართვის პრეტენზია გაქვთ და პატრიოტობას იჩემებთ: თქვენი უპირველესი მოვალეობაა **„სამშობლოს მიმართ შთანერგვა სიყვარულისა და არა განხეთქილებისა!“, არავის სათამაშოდ და მარიონეტად არ უნდა ვიქცეთ.** ჩვენ ვინც გვიცნობს – სხვა თუ არაფერი, პატივს მაინც გვცემენ; ისინი კი, ვინც არ გვიცნობს – ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, როგორმე გაგვაბოროტონ და მოთმინებიდან გამოგვიყვანონ — **ვერავინ ვერ უნდა წამოგვაგოს ანკესზე!**

„საქართველო და მსოფლიო“ გისურვებთ, რომ 2019 წელი ქართველობის გამოფხიზლების, ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლის წელიწადი ყოფილიყოს. ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს ჩვენს მამულს ის დრო, კონკრეტულმა ადამიანებმა საკუთარ ამბიციებს ქვეყნის ინტერესები რომ ანაცვალონ.

ერი თუ ბერი მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებას აპროტესტებს



**«ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი კურნალობს, და უტვინო ბავში რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა»**



**დიმიტრი ყიფიანი: არა, თავადო! მე როლს არ ვთამაშობ — ჭეშმარიტად ქართველი პატრიოტი ვარ! ოღონდ ეგაა, არა თქვენებური, არამედ ჩემებური გაგებით. პატრიოტის მოვალეობაა თავისი სამშობლოს მიმართ შთანერგვა სიყვარულისა და არა განხეთქილებისა!**

**„მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ მომხდარა, რომ ხალხს დიდ-ხნობით დავიწყებული ჰქონოდეს თავისი თვისტომობა და შემდეგ აღძრულიყოს მასში, შემდეგ გაძლიერებულიყოს საზოგადოებრივი გრძნობა, მამულის სიყვარული, მამულის მსახურება. დედამიწაზე ერთი ძლიერი ხალხი არ არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც ეს მდგომარეობა არ გამოევლოს, რომლისამე სხვა ხალხის გონებითს გავლენის ქვეშ არ ეცხოვროს და ბოლოს თავისი თვისტომობა არ გაეხსენებინოს“.**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამულის სიყვარული და მსახურება

## შესავალი

ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია... ამ ოცი, თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა. მოვიგონოთ ის წყეული და ბნელითმოსილი დრო, რომელიც, **ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს ჩვენს მამულს! გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია — ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინოო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა...** ვაბეზღებდით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვაწვალებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდი გვქონდა, იქნება ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდეს, და ხვალ საკუთრად ჩვენ დაგვიწყონ დევნა ან წვალება ისე, როგორც დღეს ჩვენს მეზობელს ეპყრობიან ჩვენის შემწეობით... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა, გლეხკაცად, „მუჟიკად“ ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო... ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვენის პირადი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება... გახსოვთ, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, წერით თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანეთს ხელი გავუწყოთ და დავეხმაროთო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებაო... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინოვნიკებისა და აფიცრებისაგან შედგებოდა!

— ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო, — ფიქრობდენ და ბრძანებდენ მაშინ ჩვენი ტუზები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქოსები. მე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქმოობის გამო სჯლაბნიანო ეს ჩვენი თერგდალეულები...

გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერლობის საჭიროებას. გამოუგდეს რომელსამე მათგანს შვილი გიმნაზიიდან, ან უსამართლოდ გადუწყვიტეს საქმე სამსაჯულოში, ან გზა აღარ მისცეს სამსახურში თუ სასწავლებელში, მაშინ თვითონ ეს ქოსები ხელში კალამს აიღებენ და „დროებაში“ სწერენ: „ვიღუპებით, ბატონო, გზა შეკრული აქვს ჩვენებურ კაცს, დამშევასა და დაბრმავებას გვიპირებენო“. მარტო კალმით და წერით კი არ ქადაგობს ამას, იგი თავის მეზობელს უახლოვდება და ხედავს, რომ ორნივე ერთ ტაფაზე იწვიან თურმე... ჩინიან ქოსებს უწინდელ დროში მაინც, დედობრივი სიყვარულით ეპყრობოდენ... იმათ ძველი ამაგიდგანაც დარჩენილი აქვთ ხსოვნა მაინც... ახალთაობათა კი თავიდგანვე დედინაცვალი ერგოთ ბედათ, კაპასი, უმოწყალო, ძუნწი და მძულვარე დედინაცვალი... ძველ ქოსებს უკეთესი მაგალითები მაინც არ ენახათ, რომ თავიანთი ბედი მათთან შეედარებიათ. ახალთაობათა კი ბევრი სხვისი ოჯახი ენახათ, ისეთი ოჯახი, საცა დედამთილი, კი არ კაპასობს, ნაზად, როგორც მოსიყვარულე დედა, საყვარელ შვილებს ალერსით აბედნიერებს... რაღა გასაკვირველია, მაშასადამე, რომ **ახალგაზრდებს ათასჯერ უფრო მწვავედ უნდა ეგრძნოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულევანება, ჩვენი დაფანტულობა და უთავობა...** ამასთან დრომაც იმოქმედა, ცოტათი არ იყოს. რაკი რუსეთის მთავრობამ, საკუთარი მიზნის მისაღწევად, საჭიროდ დაინახა, გამოეფხიზლებია სხვადასხვა სლავიანური ხალხების თვისტომობა, და რაკი მათი მაგალითის წახედვით ჩვენს საზღვარზედაც შეიძრა სომხობა, — ჩვენ ქვის გული და თიხის ტვინი ხომ არა გვქონდა, რომ ჩვენც არ გვეგრძნო თვისტომობის ღირსება ან პატივი? ჩვენს საკუთარ თვალწინ, ორიოდ-სამი წლის განმავლობაში, სომეხს ერთი მტკაველი ტანი მოემატა. გუშინ რომ წელმოხრილი იყო ეს კაცი, გუშინ რომ მის ხმის გაცემას არავინ კადრულობდა, დღეს ჩვენს თვალწინ ის გაიმართა, გამაგრდა, გაამაყდა. მან დღეს თავისპატივი იგრძნო, თავისი ფასი შეიტყო. დღეს მას ყველა ერიდება, ყველა პატივს-სცემს, ყველა თავაზიანად ეპყრობა და ფართო გზას აძლევს... რამ მიანიჭა მას ეს ბედნიერება? „სომხობამ“, „მთელი სომხობის ძალამ“. **ჩვენც მივხვდით, ამის გამო... რომ „ქართველობაც“ რომ სადმე იყოს, „მთელი ქართველობის ძალაც“ რომ სადმე არსებობდეს, იქნება ჩვენც გაგვიადვილდეს ცხოვრება, იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ვეღირსოთ... სხვათა შორის ამანაც თვალი აგვიხილა, ამანაც გამოგვაფხიზლა და გვაგრძნობინა ჩვენი საკუთარი თვისტომობა...** იქნება ყველა ეს საფუძვლები ჩვენგანს არავის ჰქონდეს კარგად გამოკვლეული, ნათლად ახსნილი, მაგრამ მათს ძალას ყველა ვემონებით, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებ... დრომ მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა... ყოველის სტიქიური მოძრაობა ღირსშესასწავლია, თუკი კაცს სურს, რომ ეს



მოძრაობა მისი საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოდგეს და არა დამღუპველად. სჯობს, მაგალითით ვილაპარაკოთ. წყალიც სტიქიური ძალაა. **ჩინებული რამ არის ქვეყნისთვის წვიმა... მაგრამ თუ მაისის წვიმა ნიაღვრად იქცა, ყანებს ერთიანად წალეკს და თესლს გადარეცხს... თუ მდინარეს კაცმა უადგილო ადგილს წვალება დაუწყო, თუ სარწყავი ღელეების ან საწისქვილე ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ ყანებსა და მინდვრებს გადიარს, წალეკს, დააქცევს. გონიერმა ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წყლისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეიროს... ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ, მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი კურნალობს, და უტვინო ბავშში რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა...** ამ ნაწერის მიზანიც — თუ დარი დამიდგა — ეს გამოკვლევა იქნება.

## 1

**მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ მომხდარა, რომ ხალხს დიდ-ხნობით დავიწყებული ჰქონოდეს თავისი თვისტომობა და შემდეგ აღძრულიყოს მასში, შემდეგ გაძლიერებულიყოს საზოგადოებრივი გრძნობა, მამულის სიყვარული, მამულის მსახურება. დედამიწაზე ერთი ძლიერი ხალხი არ არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც ეს მდგომარეობა არ გამოევლოს, რომლისამე სხვა ხალხის გონებითს გავლენის ქვეშ არ ეცხოვროს და ბოლოს თავისი თვისტომობა არ გაეხსენებინოს. ზოგმა დიდი ხანია რაც მოიპოვა ეს თავისი თვისტომობა, ზოგმა გუშინ შეიძინა ის, ზოგი კი დღესაც მისი შოვნისთვის იბრძვის, ან მის მოპოებაზე შრომობს და ზრუნავს. მაგრამ ყოველგან და ყოველთვის ერთნაირი გზა გამოუვლიათ ყველა იმ ხალხთა, რომელთაც ეს ბედი ღირსებიათ.** მათი გაზრდა, გაძლიერება და განვითარება ერთგვარის გზით მიდის წინ, ერთგვარის კიბით ადის უმაღლეს განვითარების წერტილამდი. თითოეულ საფეხურს ამ კიბისას თავისი სწორი და მსგავსი საფეხური აქვს, როგორც ყველა სხვა ხალხების აღსამაღლებელ კიბეებს. **ნაბიჯ-ნაბიჯად იდგამს ფეხს კაცობრიობა და წინ მიდის. რა გზაც ხუთს, ექვსს ან ოცს ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი სხვა ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის. მართალია, ზოგი ხალხი ადვილად ან უცფად გაირბენს ამ ნაბიჯებს, ზოგი კი ლოკოკინასავით ფორთხვით გადაჩოჩდება ამ გზაზე...** ავიღოთ, მაგალითად, თუნდ რუსეთი, და ვნახოთ, რა სტადიები გამოუვლია რუსების საზოგადოებას მისი თვისტომობის შეგნებისა და შეთვისებისათვის. მოგეხსენებათ, რუსეთი ჯერ სწორედ ისე განკერძოებულად ცხოვრობდა და უცხო ქვეყნელებს ისე ერიდებოდა, როგორც უწინდელ საუკუნოებში საქართველო იქცეოდა. პეტრე პირველამდი რუსეთი მარტო თავის თავს იცნობდა და მარტო თავის ჭკუით ცხოვრობდა. ერთობ უკან ჩამორჩა ის ამის გამო, ერთობ დასუსტდა, ერთობ დაგლახაკდა. ეს მიძინებული და დაუძლურებული ხალხი პეტრე პირველმა აიყვანა და ევროპის განათლებულ ცხოვრებაში შეაგდო. ბევრი რუსთაგანი წაფორხილდა მაშინ, ბევრმა უარი თქვა, ბევრმა თვალი დახუჭა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, იმისი არ იყოს, დრომ თავისი ჰქმნა... შემდეგ გამეფდა ეკატერინე დიდი, რომელმაც პეტრესავით ძალადობა კი არ იხმარა, უფრო ოსტატურად შეუდგა საქმეს. ის იშვიათად ხმარობდა ძალდატანებას. დიდკაცობაში ევროპიულ ცეკვასა, მორთვასა და მოკაზმვას ავრცელებდა, ევროპიულად ცხოვრობდა და თავის საზოგადოებას ევროპიულად მდიდრულ ცხოვრებას აჩვევდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ის სწორედ ისე ეპყრობოდა რუსის საზოგადოებას, როგორც ვორონცოვი ჩვენს ქვეყანას... და **რასაც პეტრე პირველმა — გენიოსმა — რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, რაც ჩვენში ერმოლოვმა — დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა — ვერ მოახერხა, ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით თუ ოსტატობით შეაპარა. შეაპარა ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრების... ცდილობდენ, რომ რუსის ხალხი გაენემეცებიათ ან გაეფრანცუზებიათ, და ქართველები — გაერუსებიათ. ის ავიწყდებოდათ, რომ ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს; შესაძლებელია, ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ — წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება...** და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს, ან ქართველმა რუსსავით გეყმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ... ამნაირ **გარეგან წაბაძვას გამოეკიდა ყველა; ამგვარ მაიმუნურ ან მასკარადულ „გადასხვაფერებას“ მიალიეს ხალხის უმჯობესი დრო და თითქმის მთელი საუკუნე...** მაინცა და მაინც სრულიად უმნიშვნელო ან უნაყოფო როდი დარჩენილა ეს გარეგანი წაბაძვაც. ბევრი სიკეთეც მოუტანა მან ხალხს. მაგალითად, თუნდ თეატრი ან მწერლობა... ასე ხშირად, მარტო წაბაძვით იწყებს ბალებში სიარულს ჩვენებური ვაჟარი, მარტო იმ განზრახვით, რომ სხვებს უკან არ ჩამოვრჩეო... მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ ის ხედავს, რომ სუფთად ჩაცმასაც შეუნიშნველად შეეჩვია, თავაზიან და პოლიტიკურ ლაპარაკსაც და, ამას გარდა, ბევრ საკვირველს, გონების განმავითარებელს აზრებს და ფიქრებს გაეცნო, საზოგადოებაში ბაასობის დროს... უსარგებლო არ ყოფილა მეთქი თვით მაიმუნური წაბაძვაც. **მართლაც, ქვეყანაზე ყველაფერი ახირებულად ბრუნავს... ასე დახეტიალობს ქვეყანაზე კაცობრიობა, ერთი შეცთომიდგან მეორისკენ და ვინ იცის, როდის ეღირსება მას იმნაირ გზაზე დადგომა, რომელზედაც უხიფათოდ ან დაუბრკოლებლად წაგოგიალდება მისი საქმე... ამ ბედნიერებისგან ჯერ-ჯერობით კი მეტის მეტად შორსა ვართ. ჩვენ დროს, ორმოცი, სამოცი წლის განმავლობაში ადგია ხალხი ბრმა-წაბაძვის გზაზე, ცდილობს, გადაკეთდეს, გადასხვაფერდეს უცხოეთის კალაპოტზე. შუბლს რომ გაიხეთქს ამისთანა ცდაში და მიხვდება, ამდენიხანი უხეირო მიზნისთვის შემილევიაო, ის მობრუნდება და მეორე გზას ადგება: ცდილობს, მაშინ საკუთარი წინაპრების წარსული დრო მოიბრუნოს, მათი მივიწყებული ჩვეულებანი გაიხსენოს... ხალხიც სწორედ ისე იზრდება, როგორც ბავში. მართალია, როცა ის აკვანში ჩაწვენილია, როცა მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს და თვალები ახვეული, ის ვერც შუბლს მიახლის კედელს, ვერც ფეხს მოიტეხს ღრეში. მაგრამ, რომ წამოიზრდება, კარგი მომვლელი სჭირია, და რაგინდ დახელოვნებული ან გულმტკივნეული იყოს ძიძა, ხომ ველარ მოერევა წვერ-ულვაშიან გაზრდილს, აკვანში ხომ ვერ ჩააწვენს, ხომ ვერ მოუვლის? როცა ბავში ჯერ ფორთხვას იწყებს, მერე სიარულს, განა შესაძლოა მისი ფეხის ადგმა და გაზრდა ისე, თუ ბევრჯერ ხან კედელას არ მიეხალა, ხან იატაკზე არ დაეცა, ხან კიბეზე არ გადავარდა?...** დასაწყისში თითოეული ხალხი უძლური და უსუსურია, მალე მას ძიძა, ან მომვლელი უჩნდება, რომელიც აკვანში აწვენს და ხელ-ფეხს მაგარი არტაშანებით უკრავს... მთელი საუკუნოებით რჩება ხალხი ამ უბედურ მდგომარეობაში. მერე კბილები ამოდის, ღონე ეძლევა, გონება მოეწიფება. მაშინ ის ჯერ ფორთხვას იწყებს, მერე ხეტიალს, და ბოლოს ადამიანურ სიარულსაც. თავდაპირველად, როგორც კი გონებაზე მოდის, მას მარტო მიბაძვა შეუძლია: რა საქმის კეთებასაც სხვას შეამჩნევს, მის გადაღებას მოინდომებს... **ბოლოს, როცა დიდძალ გამოცდილებას ან ჭკუას შეიძენს, როცა დავაჟკაცდება, ცხოვრებას გაეჩვევა, გაგონიერდება, ის თავის საკუთარ ჭკუას მიენდობა, მის ხელმძღვანელობით მოქმედებას იწყებს, და ისე ცხოვრობს, რომ სხვისი გამოცდილებაც გამოიყენოს და თავისი საკუთარიც; კარგი თავისიც დაიცვას და სხვებისაგანაც შეიძინოს; ავს სხვებისასაც ასცილდეს და თავისასაც. თუ კაცმა ამ სტადიების სისტემებრივ გამოსახვა და დაწყობა მოინდომა, ვნახავთ, რომ ყოველი ხალხის ცხოვრებაში შემდეგი განვითარების ოთხი პერიოდი მოიძებნება.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

რელიგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება. ამ დღეს ასევე ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად წმინდა სამება.**

# «ვინც მეორედ არ იშვას წყლისაგან, მან ვერ იხილოს ცათა სასუფეველი»

**„ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს“** ***(კირილე იერუსალიმელი).***

ნათლობის საიდუმლო ეკლესიაში არსებული 7 საიდუმლოდან ერთ-ერთი უმთავრესია. ნათლობით იწყება ადამიანის ქრისტიანული ცხოვრება, რადგან მონათლული ადამიანი ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება. ყველა ადამიანი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს ამ უდიდესი საიდუმლოს თანაზიარი. ნათლისღება ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო და ქრისტიანული დღესასწაულია, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 19 იანვარს (ძველი სტილით 6 იანვარს) აღნიშნავს.

მართლმადიდებლობა, ქრისტეს მოძღვრების მართალი აღმსარებლობა, თვითშეფასებით, დასაბამს მოციქულთა ხანიდან იღებს და დღემდე შეურყვნელად და მრთელად ინახავს მას. ამიტომაც იგი თავის თავს მიიჩნევს იმავე ეკლესიად, რომელზედაც მრწამსშია ნათქვამი: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, რომლებთანაც მას არ აქვს ევქარისტიული კავშირი, ისინი გაიაზრებიან არა ერთი, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის განშტოებებად, არამედ მისგან ჩამოშორებულებად (განდგომილებად) ისტორიის განმავლობაში.

ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე **იორდანეში** (მდინარე ახლო აღმოსავლეთში. ითვლება მსოფლიოს უწმინდეს მდინარედ, ძველი აღთქმის შესაბამისად, ისუ ნავესმა ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები გადაიყვანა სასწაულებრივად გაწეულ იორდანეს წყლებზე და ამით დასრულდა ებრაელთა 40-წლიანი ხეტიალი უდაბნოში) მონათლა იესო ქრისტე.

სახარებების (მათე, მარკოზი) თანახმად, იოანე ნათლისმცემელი იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედია, რომელმაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. ცხოვრობდა უდაბნოში (ძველი აღთქმის წინასწარმეტყველ ელიას მსგავსად), ამხელდა საზოგადოების ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისკენ. მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე, იესო ქრისტე მდ. იორდანეში.

იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I საუკუნე) ცნობით, იოანე ნათლისმცემელი ჰეროდე I-ის (I საუკუნის I ნახევარი) თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის — ჰეროდიადას საამებლად იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. სინამდვილეში იოანე ნათლისმცემლის კულტი ქრისტიანობაში უფრო ადრე უნდა შემოსულიყო.

იოანე ნათლისმცემლის თემა აისახა მხატვრობასა (ა. ვეროკიო, ლეონარდო და ვინჩი, პ. ბრეიგელი, ა. ივანოვი) და ქანდაკებაში (დონატელო, ო. როდენი და სხვები). შუა საუკუნეების ხატწერაში იოანე ნათლისმცემელი ვედრების (ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი) კომპოზიციის ერთ-ერთი აუცილებელი ფიგურა იყო.

ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება.

ამ დღეს ასევე **ღვთის განცხადება** ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად **წმინდა სამება**.

**სამება** არის ჭეშმარიტად ერთი ღმერთი, სამპიროვანი ღმერთი: **მამა ღმერთი, ძე ღმერთი** და **სულიწმინდა ღმერთი**. წმინდა სამების ამ ერთი მხრივ არაჩვეულებრივი ბუნების ასახსნელად წმინდა მამები სამებას მზეს ადარებდნენ, რადგანაც არის პლანეტა მზე, რომლისგან გამოდის სითბო და სინათლე. საოცარია, მაგრამ ამ შეხედულებას თავისებური ანარეკლი აქვს რეალობაშიც. მოგეხსენებათ რომ, მზე რომლიდანაც სითბო და სინათლე მოედინება, შეესაბამება მამა ღმერთს, სითბო — სულიწმინდა ღმერთს, ხოლო სინათლე — ძე ღმერთს. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, არის იესო ქრისტე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც სინათლეს აქვს ორი ბუნება, დიახ ორი ბუნება: ტალღური და კორპუკსულური (ფოტონები), ასევე, ძე ღმერთსაც აქვს ორი ბუნება: ღვთაებრივი და განკაცების შემდეგ კაცობრივიც.

**ღვთის განცხადებისას ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.**

ქრისტიანული ნათლობა უფლისგან არის დადგენილი, როდესაც თვითონ უფალმა ნათელი იღო იოანე ნათლისმცემელისგან. იოანე ნათლისმცემელი ნათლობის ჟამს ამბობს: ესე არს ტარიგი ღმრთისა და თავის მოწაფეებს მიუთითებს, რომ მისულიყვნენ და დამოწაფებოდნენ მაცხოვარს, ანუ თვითონ ნათლისღების ჟამს, როდესაც მაცხოვარი ნათელს იღებს, იოანე ეუბნება, მე მეკუთვნის შენგან ნათლისღება და შენ ჩემგან ღებულობა ნათლისაო. უფალმა მიიღო ნათლობა იოანესგან, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება და ამ დროს ყველამ დაინახა, როგორ დაადგა მაცხოვარს მტრედის სახით სულიწმინდის მადლი და ხმა ისმის, ესე არს ძე ჩემი და მას უსმინეთო.

ეს არის განცხადება ქრისტიანული ცხოვრებისა და ნათლისღების მადლით, შთაფვლით ხდება ადამიანის მეორედ შობა. უფალი ამბობს: „ვინც მეორედ არ იშვას წყლისაგან, მან ვერ იხილოს ცათა სასუფეველი“. ამ დღეს სამების საკატედრო ტაძარში პატრიარქის ნათლული ასობით ბავშვი ხდება. პირველი ნათლობა 2008 წელს გაიმართა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უკვე ათიათასობით ბავშვის ნათლიაა.

ბათუმში მეუფე დიმიტრიმ დაამკვიდრა ნათლისღებისთვის ტრადიციულად ზღვაში შესვლის რიტუალის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ყინულივით ცივი წყალი და ცუდი ამინდია, ძალიან ბევრი მორწმუნე და მსურველი იკრიბება სანაპიროზე. ეს ტრადიცია — განბანვის ტრადიცია, უკვე რამდენიმე წელია, სრულდება, რადგან ნათლისღების მადლით, შთაფვლით ხდება ადამიანის მეორედ შობა.

**გთავაზობთ ამონარიდს წმიდისა იოანე ოქროპირის, კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსის ქადაგებიდან:**

„ქრისტე ყველასთვის ცნობილი იმ დღეს კი არ გახდა, როცა იშვა, არამედ იმ დღეს, როდესაც ნათელს-იღო; მანამდის იგი ხალხისთვის უცნობი რჩებოდა. იმის შესახებ, რომ ხალხი მას არ იცნობდა და გულის-ხმაში ვერ მოდიოდა, მოუსმინე იოანე ნათლისმცემელს, რომელიც ამბობს: **„თქვენს შორის დგას ის, ვისაც არ იცნობთ“** *(იოანე 1,26)*. და განა გასაკვირია, რომ ხალხი არ იცნობდა მას, რამეთუ თავად იოანეც იმ დღემდე არ იცნობდა მას? **„მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ჩემმა მომავლინებელმა წყლით ნათლისცემად, მითხრა: ვისზედაც იხილავ სულს გადმომავალს, და დავანებულს მასზე, სწორედ იგია სული წმიდით ნათლისმცემელი“** *(იოანე 1,33)*. მაშ ასე, აქედან ჩანს, რომ – ორია ნათლის-ღება, ხოლო ქრისტე რისთვის მოვალს ნათლის-ღებად და რომელ ნათლის-ღებად, ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას: რამეთუ ესეც აუცილებელია, ვიცოდეთ, ისევე როგორც ის. და ჯერ-არს თქვენს სიყვარულს წინასწარ ვუთხრა ამ უკანასკნელზე: რამეთუ აქედან შევიტყობთ პირველზეც. იყო ნათლის-ღება იუდაური, რომელიც სხეულებრივ არაწმინდებას განწმენდდა, მაგრამ არა სინდისის ცოდვებს. ასე მაგალითად, როდესაც ვინმე იმრუშებდა, ან ქურდობას ხელს მიჰყოფდა, ანდა რომელსამე სხვა ცოდვას ჩაიდენდა, ამის მოქმედს იგი დანაშაულისაგან არ ათავისუფლებდა. ხოლო ვინც მიცვალებულის ნეშტს შეეხებოდა, ვინც სჯულით აკრძალულ საჭმელს იხმევდა, ვინც გადამდები სნეულების მქონესთან იქონიებდა ურთიერთობას, ვინაც კეთროვანს ეზიარებოდა, იგი განიბანებოდა და საღამომდე იყო არაწმინდა, ხოლო შემდეგ განიწმინდებოდა. **„წყალში განიბანოს,** — ნათქვამია წმ. წერილში, – **და საღამომდე გაუწმინდურებული იქნება“** (ლევიანნი, 15,5; 22,4). ყველაფერი ეს ნამდვილად ცოდვა და არაწმინდება როდი იყო, მაგრამ რამდენადაც იუდეველები სრულყოფილი არ ყოფილან, ამდენად ღმერთი მათ ამ გზით უფრო ღვთისმოსავთ ხდიდა, დასაწყისშივე უფრო მნიშვნელოვანის უზუსტესად აღსრულებას აჩვევდა.



ძველი აღთქმის სამების ხატი, ანდრია რუბლიოვი, მარცხნიდან: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა



ნათლისღების მართლმადიდებლური ხატი, კირილო-ბეროზელის მონასტერი, რუსეთი, 1497 წელი



მაცხოვრის ნათლისღება



მდინარე იორდანე

ღონისძიებაზე, რომელიც ბატონ ფრიდონ თოდუას იუბილეს მიეძღვნა, ბევრი რამ ითქვა ამ დიდი პიროვნების სამეცნიერო-პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, რომელიც გამორჩეული იყო კაცთმოყვარეობითა და პაციენტებისადმი მზრუნველობით. ცალკე თემაა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ მისი ინსტიტუტის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა და ახლაც წარმატებით მიმდინარეობს, სახალხო დიპლომატიის უნიკალური მეთოდი და ეფექტიანი საშუალებაა.

ხსოვნა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გიორგი კვესიტაძე:

# ფრიდონ თოდუას სახელს დავიწყება არ უწერია

2019 წლის 9 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ მკურნალსა და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ თოდუას 75 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს აკადემიის სხდომათა დარბაზში შეკრებილმა ქვეყნის სამეცნიერო ელიტამ და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ღირსეულად აღნიშნეს მისი მამულიშვილური ღვაწლი. ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ზოგს შეიძლება უკანმიდევნებულ ლამპრად მოეჩვენოს და — შეცდება, რადგან სანთელს ხსოვნისა ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. საიუბილეო შეკრება გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ. გთავაზობთ მისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუს.



ფრიდონ თოდუა

— დავიწყოთ იმით, რომ ბატონი ფრიდონ თოდუა 9 წლის განმავლობაში იყო აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი უმაღლესი ხელმძღვანელი უმძიმეს წლებში, როცა აგრესია ქართული მეცნიერების წინააღმდეგ არნახული მასშტაბითა და დაუზოგავად წარიმართებოდა იმდროინდელი ხელისუფლების მიერ. მთავრობა დაუფარავად ემუქრებოდა ქართული მეცნიერების ცენტრს დახურვითა და განადგურებით, რისი მცდელობაც საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში არათუ არ ყოფილა, არც უკადრებიათ. მიუხედავად უდიდესი ზიანისა, რომელიც აკადემიას მიაყენეს, ბატონ ფრიდონ თოდუას დიდი მონაწილეობით შესაძლებელი შეიქნა აკადემიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების, შენარჩუნება. ეს არის ერთ-ერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საქვეყნო საქმე, რომელიც მან თავისი მოღვაწეობისას განახორციელა. ამასთანავე, მან დააარსა და კავკასიის რეგიონში უნიკალური სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დონემდე განავითარა მრავალპროფილიანი კლინიკა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. მისი ინსტიტუტი არის აკადემიის ასოციაციის წევრი.

**აკადემიის გადარჩენა, პირველი ვიცეპრეზიდენტობა, ინსტიტუტის დაარსება, პატრონობა და აკადემიის ასოცირებული წევრობა — ეს ყველაფერი სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ბატონი ფრიდონის იუბილე ღირსეულად აღგვენიშნა.**

თქვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მედიცინის უკან დგას ძალიან სერიოზული ბიოლოგია: **ყველა უახლესი მიღწევა, რაც ბიოლოგიაში კეთდება, ღეროვანი უჯრედებით დაწყებული, რეალიზაციას პოულობს მედიცინაში. თავის ძლიერ და საინტერესო კოლეგებთან ერთად ბატონმა ფრიდონმა ბიომედიცინაში მოწინავე პოზიციებზე მდგომი სკოლა შექმნა.**

**— სამეცნიერო კოლექტივის აკადემიის ასოცირებული წევრობა თქვენ აღნიშნეთ, როგორც განსაკუთრებული ფაქტი.**

— ასეც არის — განსაკუთრებული შემთხვევაა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ასეთი ინსტიტუტი გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გარკვეულად ვალდებულები არიან აკადემიის წინაშე. აკადემია, ძალიან ხშირად — აკადემიის პრეზიდიუმი, ისმენს მათ მოხსენებებს და შესაბამისად აფასებს, მიუთითებს, იწონებს და ა.შ.

**ისიც უნდა ვთქვა, რომ ბატონი ფრიდონი სრულიად უსასყიდლოდ მკურნალობდა ჩვენი აკადემიის წევრებს. პირდაპირ გეტყვით, რომ ბევრი მათგანი მისი გადარჩენილია.** ასე რომ, მისი ღვაწლი, როგორც ექიმის, უაღრესად მნიშვნელოვანია.

ღონისძიებაზე, რომელიც ბატონი ფრიდონის იუბილეს მიეძღვნა, ბევრი რამ ითქვა ამ დიდი პიროვნების სამეცნიერო-პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, რომელიც გამორჩეული იყო კაცთმოყვარეობითა და პაციენტების მიმართ მზრუნველობით. ცალკე თემაა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ მისი ინსტიტუტის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა და ახლაც წარმატებით მიმდინარეობს, სახალხო დიპლომატიის უნიკალური მეთოდი და ეფექტიანი საშუალებაა.

**— შეგიძლიათ, ორიოდ სიტყვით შეაფასოთ ბატონ ფრიდონის მოღვაწეობა?**

— მან წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ სამედიცინო სფეროში, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

მოკლედ ასეა. მაგრამ საკმარისი არ იქნება და, თუ ნებას დამრთავთ, განვაგრძობ.

**— ბრძანეთ!**

— მკურნალი ექიმის, ადმინისტრატორისა და მეცნიერის საქმიანობასთან ერთად ბატონი ფრიდონი აქტიური საზოგადო მოღვაწეც იყო. 2008-2012 წლებში გახლდათ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი. ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა, როგორც საქართველოს ეროვნული აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტისა. თანამოაზრე აკადემიკოსებთან ერთად მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში აკადემიური მეცნიერების განვითარებაში და არა მხოლოდ საქართველოში, რაც მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიის ჯილდოებით აღინიშნა: მას მიღებული აქვს აკადემიკოს ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის პრემია, იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის პრემია და ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დიდი ოქროს მედალი, აკადემიკოს გიორგი მუხაძის მედალი, ივანე ჯავახიშვილის ოქროს მედალი; არჩეული იყო ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსად, გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო-ტექნიკური მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრად, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად; იყო რუსეთის სამედიცინო ტექნიკური მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრი, მრავალი ასოციაცის, საზოგადოების, ფედერაციისა და სხვადასხვა საბჭოს, მათ შორის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; იყო ჟურნალ „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის" და „საქართველოს სამედიცინო მოამბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ავტორია 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 10 მონოგრაფიისა; მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე.

ფასდაუდებელია ფრიდონ თოდუას თავდადებული მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის მიერ აღზრდილი და დახელოვნებული ათეულობით სპეციალისტი და მეცნიერი სათავეში უდგას კვლევით დაწესებულებებს, ხელმძღვანელობს კლინიკებსა და საუნივერსიტეტო კათედრებს.

დღეს ფრიდონ თოდუა გვაკლია ყველას, როგორც მის მეგობრებს, თანამოქალაქეებს, ისე ქვეყნის ყველა გულშემატკივარ ადამიანს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. საუბრის დასასრულს ბატონი პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ, როგორც კი ქვეყანა ახალი წლის სამუშაო რიტმს აკრეფს, კვლავ შევხვდებით და ვისაუბრებთ იმ გამოწვევებზე, რომლებიც დგას ეროვნული აკადემიის წინაშე და რომლის პრესტიჟის დასაცავად ეფექტიანად იბრძოლა აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ.**

ა.ს.

ცალკე თემაა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ მისი ინსტიტუტის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა და ახლაც წარმატებით მიმდინარეობს, სახალხო დიპლომატიის უნიკალური მეთოდი და ეფექტიანი საშუალებაა



აკადემიკოს ფრიდონ თოდუას 75 წლისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე ძვირად ღირებული სულაც არ არის შავი ხიზილალალა. ყველაზე ძვირია „ალმასი“ — თართი-ალბინოსის ხიზილალა, რომლის ექსპორტსაც ირანი ეწევა. ამ ხიზილალის 100 გრ, რომელიც ოქროს ქილაშია მოთავსებული, დაახლოებით 2000 დოლარი ღირს.**

# 10 ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქტი

ფუფუნებას ბევრი წახნაგი აქვს: ზოგი ყიდულობს ძვირად ღირებულ სახლებს, ზოგი თავს ძვირფასი ავტომობილებითა და ტანსაცმლით ინებივრებს, სხვები კი თავს უფლებას აძლევენ, რამდენიმე ათას დოლარად ღირებული პროდუქტებით იკვებონ. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ რამდენიმე პროდუქტზე.



## სოკო

ყველაზე ძვირად ღირებული სოკო არის ტრიუფელი. ამ დელიკატესის ერთი კგ-ის ფასი 2000 ევროს და მეტს აღწევს. ყველაზე გემრიელად მიიჩნევენ იტალიურ თეთრ ტრიუფელს.



## თხილი

ეს არის მაკადამია. ოდესღაც მაკადამია იყო ძირითადი საკვები ავსტრალიელი აბორიგენებისთვის, ამჟამად კი გამორჩეული და ძვირად ღირებული პროდუქტია. 1 კგ მაკადამია 30 დოლარზე მეტი ღირს.



## რძე

ყველაზე ძვირფას რძედ თაგვის რძე ითვლება. 1 ლ თაგვის რძე 22 ათასი დოლარი ღირს და ამ ოდენობის რძის მისაღებად 4 ათასი თაგვის მოწველაა საჭირო. თაგვის რძეს ფარმაკოლოგიაში იყენებენ.



## ჩაი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ჩაის უწოდებენ **დახუნპაოს**, რაც ჩინურად „დიდ მოწითალო ხალათს“ ნიშნავს. დახუნპაოს იღებენ სულ 6 ბუჩქისგან, რომლებიც იზრდება ცნობილ მონასტერ ტიან სინთან ახლოს. ეს უნიკალური ბუჩქები 350 წლისაა. ყოველ წელს კრეფენ 500 გრამზე ნაკლებ ჩაის, რომლის ფასი 68 ათასი დოლარია (1 კგ-ის).



## ხიზილალა

ყველაზე ძვირად ღირებული სულაც არ არის შავი ხიზილალალა. ყველაზე ძვირია „ალმასი“ — თართი-ალბინოსის ხიზილალა, რომლის ექსპორტსაც ირანი ეწევა. ამ ხიზილალის 100 გრ, რომელიც ოქროს ქილაშია მოთავსებული, დაახლოებით 2000 დოლარი ღირს.



## ყველი

ყველი ფულე, რომელიც დამზადებულია ვირის რძისგან, 1280 დოლარად არის შეფასებული. ეს ყველაზე ძვირად ღირებული ყველია მსოფლიოში.



## ხორცი

ყველაზე ძვირად ღირებულ ხორცად ითვლება ძროხის მარმარილოსებრი ხორცი, თანაც — აუცილებლად იაპონური ძროხა ვაგიუსგან. ამ ძროხას ასი წლის განმავლობაში ამრავლებდნენ მხოლოდ იაპონიაში. აჭმევდნენ საუკეთესო ბალახს და ასმევდნენ ლუდს. ამ ხორცის 1 კგ 1000 დოლარამდე ღირს.



## პური

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული პურია Roquefort and Almond Sourdough Bread-ი. ეს პური, რომელიც საუკეთესო ხარისხის ფქვილით, ფრანგული ყველით, „როკფარითა“ და ნუშით არის დამზადებული, 25 დოლარი ღირს. ამ პურის შეძენა მხოლოდ ლონდონის ბუტიკებში შეიძლება.



## წყალი

პირველ ადგილს იკავებს წყაროს წყალი Acqua di Cristallo Tributo a Modigliani, რომელსაც ეს სახელი ცნობილი იტალიელი მხატვრის, **ამადეო მოდილიანის,** პატივსაცემად უწოდეს. ეს არის ნარევი ფრანგული წყაროს წყლისა კუნძულ ფიჯიდან და ისლანდიის ყინულებიდან აღებულ წყალთან. ოქროს ბოთლში ჩამოსხმული ეს უნიკალური წყალი 60 ათასი დოლარი ღირს (1,25 ლიტრი).






## შოკოლადი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული შოკოლადის სახელწოდებაა Chocopologie by Knipschildt-ი, რომელსაც ამერიკული ფირმა Knipschildt Chocolatier-ი ამზადებს. ამ შავი შოკოლადის 450 გრამი 2 600 დოლარი ღირს.



მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**1973 წლის 18 დეკემბერს „მარაკანაზე“ გაიმართა გარინჩასთან გამოსათხოვარი მატჩი, რომელშიც ბრაზილიის ნაკრებმა ფიფას ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. სტადიონზე 131 555 ადამიანი შეიკრიბა. თამაშის წინ მოედანზე ყვავილებით დაწერეს: „მანე — ხალხის სიხარული“. მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ გარინჩა ატირდა. ამ თამაშის მთელი შემოსავალი გარინჩას გადაეცა. შედეგად გარინჩამ გაისტუმრა ვალები, გადაიხადა შვილების სწავლის საფასური, იყიდა სახლი და ავტომობილი, აგრეთვე, ნახევარი რესტორნისა, რომელშიც მღეროდა ელზა სუარესი.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გარინჩა — ხალხის სიხარული

## ბრაზილიური ფეხბურთის დიადი კოჭლი

დასასრული. დასაწყისი იხ. №47, 2018 წ.

თავისი კარიერის დიდი ნაწილის განმავლობაში გარინჩა პელეს ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ 1962 წელს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომლის დასაწყისში პელემ ტრამვა მიიღო, გარინჩას მიეცა შანსი, თავისი ადგილი დაეკავებინა მზის ქვეშ.

ბრაზილია-ინგლისის მატჩის წინ **ჟოან სალდანია** (იმხანად ის გაზეთ „ულტიმაორიისა“ და რადიო „ნასიონალის“ კორესპონდენტი იყო) ერთ ბოთლ შამპანურზე დაენაძლევა ინგლისელთა მწვრთნელ უინტერბოტომს, რომ გარინჩას ინგლისელთა მარცხენა მცველი ვერ გაუმკლავდებოდა და მას სხვა მცველების დახმარება დასჭირდებოდა.

„მატჩამდე ორიოდე საათით ადრე კი სალდანიამ გარინჩას უთხრა:

მანე, ამ „გრინგოებს გუნდში ჰყავთ მცველი ფლაუერსი, რომელსაც უთქვამს, რომ შენზე კარგად თამაშობს და ვერ მოატყუებ...

— კი მაგრამ, საიდან მიცნობს? მის წინააღმდეგ არ მითამაშია, — უპასუხა გარინჩამ.

— ტრიბუნებიდან უნახავს შენი თამაში და უთქვამს, რომ შენ მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ.

გულუბრყვილო მანე ჩაფიქრდა, შემდეგ კი სალდანიას ჰკითხა:

— როგორ გამოიყურება?

— მაღალია, ქერა...

— ისინი ხომ ყველა მაღალი და ქერაა?!"ცოტა ხნის შემდეგ გარინჩა მივიდა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელ **ნილტონ სანტოსთან:**

— შენ იცი, რომ არავისზე არასდროს ვყოფილვარ ნაწყენი, მაგრამ ეს ფლაუერსი გონებიდან ვერ ამოვიგდე... არ მომწონს ეს...

— შენებურად გაუსწორდი მას, მანე!

გარინჩამ თავი გააქნია:

— ჰო, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რომ არ ვიცი, როგორია ის? ვიცი მხოლოდ, რომ ინგლისელია.

— შენც, ადექი და ყველას გაუსწორდი, მათგან ერთ-ერთი აუცილებლად იქნება ფლაუერსი.

**სწორედ ასე მოიქცა გარინჩა — გაუსწორდა ყველა ინგლისელს ერთად და ცალ-ცალკე. ის შეუპოვრად ატყუებდა ამ „გრინგოებს“ იმიტომ, რომ მათგან ერთ-ერთი იყო ფლაუერსი — უცნობი თავხედი, რომელმაც თავს მეტისმეტის უფლება მისცა.**

მანოელმა ერთი საგოლე პასი გააკეთა, შემდეგ კი ორი ბურთი გაიტანა. ამ ორი ბურთიდან ერთი გარინჩამ თავით შეაგდო — მაღალ ინგლისელ მცველებზე მაღლა ახტა. ამბობენ, რომ ეს იყო საუკეთესო მატჩი გარინჩას ბიოგრაფიაში. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ უინტერბოტომმა შუბლიდან ოფლი მოწმინდა და განკარგულება გასცა, ერთი ყუთი შამპანური მიერთმიათ ჟოან სალდანიასთვის, შემდეგ კი ჟურნალისტებს განუცხადა:

— ოთხი წლის განმავლობაში ვამზადებდი ჩემს ბიჭებს წამყვან საფეხბურთო გუნდებზე გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ რა ვიცოდი, რომ საქმე გარინჩასთან გვექნებოდა...“ ***(იგორ ფესუნენკო. „პელე, გარინჩა, ფეხბურთი“).***






ნახევარფინალურ მატჩში ბრაზილიელებს დაუპირისპირდა ჩემპიონატის მასპინძელი ჩილეს ნაკრები. გარინჩამ ორი ბურთი გაიტანა და ერთი საგოლე პასი გააკეთა. ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს — 4:2. ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ გარინჩა სიცხიანი თამაშობდა, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც გაიმარჯვა 3:1. ჩემპიონატის მიმდინარეობისას გარინჩამ რომანი გააჩაღა პოპულარულ მომღერალ **ელზა სუარესთან.** მისი გაცნობიდან 3 თვის შემდეგ მანე ოფიციალურად გაშორდა მეუღლე **ნაირს.** განქორწინების შემდეგ ის ცუდად იხდიდა ალიმენტებს და ამის გამო ციხეში 90 დღით უპირებდნენ ჩასმას, მაგრამ თანხა მისი ნიჭის თაყვანისმცემელმა ბანკირმა გადაიხადა.

**გარინჩა გაუსწორდა ყველა ინგლისელს ერთად და ცალ-ცალკე. ის შეუპოვრად ატყუებდა ამ «გრინგოებს» იმიტომ, რომ მათგან ერთ-ერთი იყო ფლაუერსი — უცნობი თავხედი, რომელმაც თავს მეტისმეტის უფლება მისცა**



მიუხედავად იმისა, რომ მანეს დიდძალი ფული მოჰქონდა თავისი გუნდისთვის, თვითონ ის ცოტას გამოიმუშავებდა. გარინჩას უჭირდა წერა-კითხვა და ანგარიში, თანაც მიმნდომი ხასიათის გამო ხშირად ხელშეკრულების შეუვსებელ ბლანკს აწერდა ხოლმე ხელს, ამით სარგებლობდა კლუბის ხელმძღვანელობა და გარინჩა 2-ჯერ უფრო ნაკლებ თანხას გამოიმუშავებდა, ვიდრე თანაკლუბელები. მხოლოდ 1963 წელს, ვარსკვლავური მატჩების შემდეგ, ელზა სუარესის რჩევით, მოითხოვა მან კონტრაქტის პირობების გაუმჯობესება.

### წარუმატებლობები

იმავე 1963 წელს გარინჩას დაეწყო წარუმატებლობების სერია. გაურთულდა მარჯვენა მუხლის ოსტეოართროზი და ექიმები ამბობდნენ, რომ მანეს 3 თვით თავი უნდა შეეკავებინა ფეხბურთის თამაშისგან, მაგრამ „ბოტაფიგოს“ პრეზიდენტი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან კლუბს ევროპაში ჰქონდა დაგეგმილი ტურნე და ამ ტურნეში 15 ათასს აძლევდნენ, გარინჩას გარეშე კი თანხა განახევრდებოდა. მანემ ვერ გაუძლო კლუბის ხელმძღვანელობის ზემოქმედებას და გაემგზავრა ტურნეში, ყოველი თამაშის წინ ტკივილგამაყუჩებლებს უკეთებდნენ. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ მატჩის შემდეგ გარინჩა ჯოხით გადაადგილდებოდა. ექიმებმა ურჩიეს, დროებით თავი დაენებებინა ფეხბურთისთვის, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა უარზე იდგა.

„ბოტაფიგოს“ უკმაყოფილო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მანე თავიდან მოეშორებინა. ეროვნული გმირის უბრალოდ გაგდება შეუძლებელი იყო, ამიტომ კლუბმა შეუკვეთა რამდენიმე მადისკრედიტებელი სტატია, რომ მანე დაბერდა და უკვე აღარ შეესაბამებოდა კლუბის დონეს. სამწვრთნელო შტაბსაც აღარ გამოჰყავდა ძირითად შემადგენლობაში. 1966 წლის იანვარში გარინჩა მიჰყიდეს კლუბ „კორინტიანსს“. კლუბის გულშემატკივრები სიხარულით შეხვდნენ გარინჩას, რასაც ვერ ვიტყვით მოთამაშეებზე — ისინი ნაწყენი იყვნენ, რომ მანე უფრო მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე სხვები, ამიტომ სათამაშო მოედანზე გარინჩას ვერ ამჩნევდნენ“. ერთი წლის თავზე გარინჩამ მიატოვა კლუბი და წავიდა რიო-დე-ჟანეიროში, რისთვისაც 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. შემდეგ წლებში გარინჩა ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობდა დაბალი რანგის გუნდების შემადგენლობაში, რათა პურის ფული გამოემუშავებინა. ლეგენდარული ფეხბურთელი უწინდებურად ველარ ბრწყინავდა, გასუქდა, დარტყმებმა სიზუსტე დაკარგა...

### დაბრუნება

რიო-დე-ჟანეიროში დაბრუნების შემდეგ გარინჩამ კონტრაქტი გააფორმა კლუბ „ფლამენგოსთან“ იმ პირობით, რომ ჭარბ წონას მოიშორებდა. 3 თვის განმავლობაში გარინჩამ ექიმის მეთვალყურეობით 12 კგ დაიკლო. ყველაფრის მიუხედავად, გარინჩას მაინც იშვიათად ათამაშებდნენ ძირითად შემადგენლობაში. მანემ კონტრაქტის ამოწურვამდე 2 თვით ადრე კლუბი მიატოვა. მეორე დღეს გარინჩა ავტოკატასტროფაში მოყვა. ავტომობილი, რომელსაც მთვრალი მართავდა, სატვირთოს შეეჯახა. დაიღუპა მანეს სიდედრი **როზალია გომესი.**

გარინჩას 2 წლით პირობით პატიმრობა შეუფარდეს. ამ შემთხვევის შემდეგ ფეხბურთელი დეპრესიაში ჩავარდა და შეეცადა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. ცოლმა ჩათვალა, რომ გარინჩას გარემოს შეცვლა განკურნავდა. ისინი იტალიაში გაემგზავრნენ, შემდეგ — მალიორკაზე, შემდეგ — კვლავ იტალიასა და საფრანგეთში. მანე უნივერსიტეტების გუნდებში თამაშობდა. ბრაზილიაში 1971 წელს დაბრუნდნენ. იქ გარინჩა ნახევრადპროფესიონალურ კლუბებში გამოდიოდა. 1976 წელს ელზა სუარესმა ვაჟი გააჩინა და მას მამის პატივსაცემად მანოელი დაარქვა. მანოელ ჟუნიორი 10 წლის იყო, როცა ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

### გამოთხოვება

1973 წლის 18 დეკემბერს „მარაკანაზე“ გაიმართა გარინჩასთან გამოსათხოვარი მატჩი, რომელშიც ბრაზილიის ნაკრებმა ფიფას ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. სტადიონზე 131 555 ადამიანი შეიკრიბა. თამაშის წინ მოედანზე ყვავილებით დაწერეს: „მანე — ხალხის სიხარული“. მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ გარინჩა ატირდა. ამ თამაშის მთელი შემოსავალი გარინჩას გადაეცა. შედეგად გარინჩამ გაისტუმრა ვალები, გადაიხადა შვილების სწავლის საფასური, იყიდა სახლი და ავტომობილი, აგრეთვე, ნახევარი რესტორნისა, რომელშიც მღეროდა ელზა სუარესი. ეს ყველაფერი გარინჩამ სწრაფად გაფლანგა და ორი წლის შემდეგ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. 1978 წელს გარინჩა გულის უკმარისობით მოხვდა საავადმყოფოში, სადაც გაიცნო 20 წლის **ვანდერლეი ვიეირა** და მასზე იქორწინა. მალე ქალმა ქალიშვილი გაუჩინა. სულ კი, ბიოგრაფების ცნობით, გარინჩას 14 შვილი ჰყავდა სხვადასხვა ცოლისგან.

გარინჩა 1982 წლის 20 იანვარს გარდაიცვალა ციროზით. გამოსათხოვარი სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა „მარაკანაზე“ — იმხანად მსოფლიოში ყველაზე დიდ სტადიონზე. მანეს კუბოზე გადაფარებული იყო ბრაზილიისა და „ბოტაფიგოს“ დროშები. მანე 300 ათასმა კაცმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. გამოსათხოვარ სიტყვაში ნილტონ სანტოსმა თქვა: „ის მთელი ცხოვრება დიდი ბავშვი იყო და იცოდა მხოლოდ ერთადერთი რამ — ფეხბურთი“.

გარინჩას საფლავზე ეს ეპიტაფიაა: „აქ განისვენებს ის, ვინც იყო ხალხის სიხარული — მანე გარინჩა“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## ჰოროსკოპი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2019 წელი ყვითელი (მიწის) ტახის (ღორის) წელიწადია, რომელიც დაიწყება 2019 წლის 5 თებერვალს (პეკინის დროით 05 საათსა და 03 წუთზე) და დასრულდება 2020 წლის 25 იანვარს. სხვათა შორის, ჩინური კალენდრის მიხედვით ეს იქნება არა 2019, არამედ 4717 წელი.**




# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2019 წელს

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

2019 წელი ვერძებისთვის გარდამავალი პერიოდი იქნება. ეს არის ზღვარი, რომელიც ასრულებს განვითარების ერთ ეტაპს და იწყებს მეორეს, გაცილებით საინტერესოსა და დატვირთულს. თქვენ პრინციპულად შეიცვლით სულიერ ფასეულობებს, გემოვნებასაც კი. ფასეულობების შეცვლის შედეგად შეიცვლება თქვენი გარემოცვაც. მარტოხელა ვერძები შეეცდებიან, მოძებნონ „ერთადერთი და განუმეორებელი" მეორე ნახევარი.

2018 წელს ვერძები ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, ამიტომ 2019 წლის სექტემბრამდე ძაღლის წელში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას შეეცდებიან, ამაში შრომისმოყვარეობის გაორმაგება დაეხმარებათ — შესანიშნავად გაართმევენ თავს საქმეებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან.

დაიკისრეთ პასუხისმგებლობა და გაბედულად შეეცადეთ დასახული პროექტების განხორციელებას. ბევრმა ვერძმა შეიძლება შეიცვალოს საცხოვრებელი რაიონი, ქალაქი და თვით ქვეყანაც კი. წლის მეორე ნახევარში ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და, თუ ეწევით, შეეცადეთ, თავი დაანებოთ სიგარეტს.

**წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: თებერვლის ბოლო და მარტი.

**სასიკეთო პერიოდები**: მაისი და ივნისის პირველი ნახევარი.

**დისჰარმონიული პერიოდები:** აპრილი და სექტემბერი.

**წლის ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** ოქტომბერი.

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

2019 წლის 6 მარტს ურანი გადავა კუროს ზოდიაქოში. ეს ასტრონომიული მოვლენა ცის ტატნობზე საკმაოდ იშვიათად ხდება — 84 წელიწადში ერთხელ. ურანის გავლენით კურო მოინდომებს, ჰქონდეს მოწინავე ტექნოლოგიებით შექმნილი ნივთები, შეცვლის გარდერობს და შეეცდება, მოდის ულტრათანამედროვე ტენდენციებს მიჰყვეს.

2019 წელი კუროებისთვის სამომავლო პერსპექტივის დასახვის პერიოდი იქნება. ბევრი კურო შეეცდება პირადი ცხოვრების შეცვლას და ამით გარემოცვის ბევრი წევრის ნერვებზე თამაშს. კუროები დაუღალავი შრომით შეძლებენ იდეების განხორციელებასა და დასახული მიზნების მიღწევას.

შეიძლება შეხვდეთ მასწავლებელს, გურუს, რომელიც შეცვლის თქვენს წარმოდგენას ცხოვრებაზე. საერთოდ, თქვენ შეეცდებით ცხოვრებისეული საკითხების ღრმად შესწავლას — ეს ამ წლის წარმმართველი ძალა იქნება. კუროებს დაეხმარებიან უცხოელი პარტნიორები. 2019 წელს კუროებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ჯანმრთელობას. დაკავდნენ სპორტის რომელიმე სახეობით ან ივარჯიშონ.

**წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი:** ივლისი.

**სასიკეთო პერიოდები:** აპრილი და აგვისტო.

**დისჰარმონიული პერიოდები:** ოქტომბერი და ნოემბერი.

**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** მარტი.

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ტყუპის ნიშნით დაბადებულთათვის ყვითელი (მიწის) ტახის წელიწადი კარიერული ზრდის პერიოდია, თუმცა ამ მხრივ (კარიერის) ჩაფლავებას უნდა ელოდოთ სექტემბრის პირველ დეკადაში. ეს წელიწადი წარმატებას მოგიტანთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას. ტყუპის ნიშნით დაბადებულებს მარტში ელით მიმზიდველი შეთავაზებები, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად უნდა დაფიქრდნენ.

მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, შესაძლოა, მოგიწიოთ სასამართლო პროცესში ჩართვა. თქვენს რეპუტაციას შელახვის საფრთხე დაემუქრება და ეს არასასიამოვნო მოვლენა თავიდან უნდა აიცილოთ. ზაფხულის პერიოდში გაუმართლებთ იმ ტყუპებს, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი — მწერლებს, მხატვრებს, არქიტექტორებს. ზამთრის დასაწყისში, შესაძლოა, მოგიწიოთ უცხოეთში გამგზავრება.

2019 წელს ტყუპებს შეუძლიათ გარისკონ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას — ეს, დიდი ალბათობით, წარმატებებს მოუტანთ.

მარტოხელა ტყუპებმა, განსაკუთრებით 11-21 ივნისის პერიოდში დაბადებულებმა, შეიძლება იქორწინონ ადამიანთან, რომელთანაც კარგა ხნის რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებთ.

ამ პერიოდში ჯანმრთელობის მხრივ გართულებები მოსალოდნელი არ არის.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: მარტი.

**სასიკეთო პერიოდები:** ივნისი და ნოემბერი.

**დისჰარმონიული პერიოდები:** თებერვალი და დეკემბერი.

**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** იანვარი.

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

2019 წელს რთული იქნება მიღწეული წარმატების შენარჩუნება. მოთმინებით მიუდექით პატარ-პატარა მიღწევებს და ნელ-ნელა მიაღწევთ დასახულ მიზანს. ნუ იჩქარებთ — ათჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. 2019 წლის ერთ მშვენიერ დღეს მიხვდებით, რომ იპოვეთ ადამიანი, რომელსაც გსურთ, ცხოვრება დაუკავშიროთ. ეს წელიწადი ურთიერთობის გასაღრმავებლად საუკეთესოა. ამას გარდა, ყვითელი ტახის წელიწადში მოიმატებს თქვენი თვითრწმენა და გადაწყვეტილებებს ორჭოფობის გარეშე მიიღებთ, თუმცა აქაც ნუ იჩქარებთ. კარიერასა და მიზნების სფეროში ელოდეთ სიახლეებს, თუმცა სამუშაო ადგილის შეცვლა რეკომენდებული არ არის. გარემოებების გამო, რომლებიც თქვენზე არ იქნება დამოკიდებული, თქვენი პერსონა უფრო მნიშვნელოვანი და პოპულარული გახდება. ზაფხულის ბოლოს მოსალოდნელია კარიერული წინსვლა — სამსახურში დაწინაურება ან ხელფასის მომატება, ან ორივე ერთად.

შეუპოვარი და თავგამოდებული შრომის გამო ძლიერ დაღლილობას იგრძნობთ და ზაფხულში ან შემოდგომის დასაწყისში ზღვის პირას დასვენებას მოისურვებთ.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: აგვისტო.

**სასიკეთო პერიოდები**: ივლისი და ოქტომბერი.

**დისჰარმონიული პერიოდები**: თებერვალი და სექტემბერი.

**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** მარტი.

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

2019 წელს ლომებს წარმატების მისაღწევად განსაკუთრებული მონდომებისა და ძალისხმევით გამოჩენა დასჭირდებათ. თუ სკოლას ამთავრებთ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მეცადინეობას მეტი დრო დაუთმეთ; თუ სტუდენტი ხართ, რომანტიკულ თავგადასავლებში თავით ნუ გადაეშვებით, რადგან გამოცდების ჩაბარებაში ხელი შეგეშლებათ; შეყვარებულმა ლომებმა დრო არა მხოლოდ გულისწორისთვის უნდა გამონახონ, არამედ ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლადაც, რომელთა წინაშეც გაზაფხულზე აღმოჩნდებიან. ლომების უმრავლესობამ 2019 წელს, შესაძლოა, საკუთარ თავში ახალი უნარები აღმოაჩინოს, მაგალითად, დაიწყოს ხატვა, მათთვის ასაკი შემაფერხებელი ფაქტორი არ იქნება.

1990 წელს დაბადებული ლომები, რომლებსაც 29 წელი უსრულდებათ, გარდამტეხი მოვლენების წინაშე აღმოჩნდებიან. წელს თავი შეიკავეთ უცხოეთში ხანგრძლივი მოგზაურობისგან. მარტოხელა ლომებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომლის შემდეგაც სერიოზულად დაფიქრდებიან ქორწინებაზე. საგრძნობლად გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას განსაკუთრებით აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში. ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული არაფერი გემუქრებათ.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი:** სექტემბერი.

**სასიკეთო პერიოდები**: აგვისტო და ნოემბერი.

**დისჰარმონიული პერიოდები:** ოქტომბერი და დეკემბერი.

**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** აპრილი.

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

2019 წელს პლანეტების გავლენით ქალწულები მიატოვებენ ანგარიშიან ცხოვრებას და შეეცდებიან, შეცვალონ დამოკიდებულება თავიანთი შრომისა და ახლობლების მიმართ. აღმასვლა დაიწყება თებერვლის ბოლოს და პიკს ზაფხულში მიაღწევს — ამ პერიოდში მოიმატებს მათი ავტორიტეტი და პოპულარობა. სწორედ ზაფხულში — ივლისსა და აგვისტოში — მიაღწევს ქალწულთა უმეტესობა დასახულ მიზნებს. სწორედ ამ პერიოდში გაუმართლებს მათ სიყვარულშიც.

2019 წელს ქალწულებისთვის სასიკეთო არ არის კარდინალური ცვლილებები — საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაოს შეცვლა, რემონტი. გამორიცხული არ არის, თავი შეგახსენოთ ძველმა რომანტიკულმა ურთიერთობებმა.

მარტოხელა ქალწულები გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას შეეცდებიან. წლის განმავლობაში შეეცადეთ, სწორად იკვებოთ და მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად. რაც შეეხება ბიზნესსაქმიანობას, შეეცადეთ ენას კბილი დააჭიროთ და საიდუმლოდ შეინახოთ სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი:** ივლისი.

**სასიკეთო პერიოდები**: აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი.

**დისჰარმონიული პერიოდები:** თებერვალი და მაისი.

**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** იანვარი.




## რა ელის მსოფლიოსა და საქართველოს 2019 წელს

2019 წელი მდიდარი იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. მათ შორისაა „ბრექსიტი" და სირიიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა. ბევრ ქვეყანაში (უკრაინაში, ინდოეთში, მოლდოვაში, საბერძნეთში) არჩევნების შედეგად შეიცვლება ხელისუფლება და მოვლენ ახალი ლიდერები. რთული ვითარება შეიქმნება უკრაინაში, სადაც საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. დიდი ძვრებია მოსალოდნელი ევროკავშირში, სადაც გაზაფხულზე (მაისში) ახალი პარლამენტი უნდა აირჩიონ. ამ არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს მემარჯვენე ძალებს, რომლებიც ევროკავშირისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ამასთანავე, ევროპაში მოსალოდნელია სისხლიანი დაპირისპირებები ეთნიკური და რელიგიური მიზეზებით.

საქართველოსთვის 2019 წელი ფინანსურ-ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბების წელიწადია. პოლიტიკურ ვითარებას გაამწვავებს მთვარისა და მზის დაბნელებები, ერთი (მზის ნაწილობრივი დაბნელება) უკვე მოხდა 6 იანვარს, შემდეგი დაბნელებები მოხდება: 25 იანვარს 8 საათსა და 43 წუთზე (მთვარის სრული დაბნელება); 2 ივლისს 22 სთ-ზე — მზის სრული დაბნელება; 16 ივლისს — მთვარის ნაწილობრივი დაბნელება და მზის რგოლური დაბნელება — 2019 წლის 26 დეკემბერს.



2019 წლის ყვითელი ტახის წელი სიბრძნისა და სამართლიანობის წელიწადია. ამ წელს წარმატებას მიაღწევენ მიზანსწრაფული, შემოქმედებითი და არასტანდარტულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისას პასუხისმგებლობას არ გაურბიან. წარმატებული წელიწადია ვერძის, ლომისა და მერწყულის ნიშნით დაბადებულთათვის, აგრეთვე, მათთვის, ვინც დაიბადა ტახისა და ხარის წელიწადში.



ჰოროსკოპი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2019 წელს

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

სასწორები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი ცხოვრების დაბალანსებას, მათემატიკური პროპორციების პოვნას სიყვარულსა და სამუშაოში. 2019 წლის 18 თებერვლიდან 8 წლის განმავლობაში სასწორებს მოუწევთ პასუხისმგებლობის დაკისრება არა მხოლოდ საკუთარ საქციელზე, არამედ ახლობელი ადამიანების ნამოქმედარზეც. თავდაპირველად გაგიჭირდებათ, მაგრამ საშველად მოვა საყვარელი ადამიანი, რომელიც პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ. აგრეთვე, მხარში ამოგიდგებიან ვერძისა და კირჩხიბის ნიშნებით დაბადებული ადამიანები.

დაოჯახებულ სასწორებს პრობლემები შეექმნებათ ახლობელი ადამიანების, განსაკუთრებით — შვილების მხრიდან, ამიტომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მათ. მარტოხელა სასწორები კი გაიცნობენ საინტერესო ადამიანს, თუმცა მასთან ურთიერთობა შორს არ წავა.

სასწორები სარგებელს ნახავენ ფინანსურ ოპერაციებში; შესაძლოა, მოიპოვონ შემოსავლის დამატებითი წყაროც. რაც შეეხება ჯანმრთელობას, 2019 წელს სასწორებს პრობლემას შეუქმნის სასუნთქი გზების დაავადებები, ამიტომ ერიდეთ გაცივებას და შეეცადეთ, სხეული გაიკაჟოთ ფიზიკური ვარჯიშებით.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი:** იანვარი.
**სასიკეთო პერიოდები:** აპრილი და ივლისი.
**დისჰარმონიული პერიოდები:** მაისი და ოქტომბერი.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** დეკემბერი.

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

როდესაც ასტროლოგების ამერიკულმა ასოციაციამ ქალთა შორის ჩაატარა გამოკითხვა „სექსუალური მიმზიდველობის“ თემაზე, გაიმარჯვეს მორიელის ნიშნით დაბადებულმა მამაკაცებმა. მორიელები იდეალურად ჩაეწერნენ „მაჩოს“ არქეტიპის მითში — ძლიერი, ყველაფრისშემძლე, მომხიბვლელი, ბევრს არ ლაპარაკობს, ინიციატივას საკუთარ თავზე იღებს, იცავს საკუთარ ინტერესებს. ქალ-მორიელებსაც „მაჩოიზმის“ ტვირთი აქვთ აკიდებული. მორიელი წელსაც განაგრძობს იმ გზის ძიებას, რომელიც მიიყვანს დასახული მიზნების შესრულებამდე. ამისთვის კი ყველაზე კარგი პერიოდია 2019 წლის 14 დეკემბრიდან 2020 წლის 12 თებერვლამდე.

თქვენი საქმეების სტაბილიზაცია მოხდება 26 აგვისტოდან 15 ნოემბრის პერიოდში. ამავე პერიოდში, სავარაუდოდ, გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა. ამ წელს ამური თქვენი ერთგული დამხმარე იქნება, თუმცა მისი ისრების გარეშეც შეძლებთ თქვენთვის საინტერესო ადამიანის გულის მოგებას.

გაუფრთხილდით ღვიძლსა და საჭმლის მომნელებელ სისტემას!

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი:** დეკემბერი.
**სასიკეთო პერიოდები:** ოქტომბერი და ნოემბერი.
**დისჰარმონიული პერიოდები**: ივნისი და ივლისი.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** აპრილი.

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ეს წელიწადი მშვილდოსნებს ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება. ფინანსური სტაბილურობა და ბიზნესიდეების წარმატებით რეალიზაცია გარანტირებულია, რადგან 2019 წლის 2 დეკემბრამდე გამარჯვების პლანეტა იუპიტერი მშვილდოსნის ზოდიაქოში იქნება, რაც ხელს შეუწყობს თქვენი, ასე ვთქვათ, ჰორიზონტის გაფართოებას, დასახული გეგმების ზედმიწევნით შესრულებას. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც ნაწილობრივ სხვებზეც იქნება დამოკიდებული, გართულდება ან მათ დასასრულებლად დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ. ეს იქნება შედეგი იუპიტერსა და ნეპტუნს შორის ნეგატიური ასპექტისა, რომელიც 2019 წელს სამჯერ განმეორდება: 1 იანვრიდან 2 თებერვლამდე, 25 მაისიდან 16 ივლისამდე, 25 აგვისტოდან 16 ოქტომბრამდე.

მარტოხელა მშვილდოსნებს, რომლებიც გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შესაძლოა ქორწინებით დასრულდეს. რაც შეეხება ჯანმრთელობას, დროა, მოიწესრიგოთ კვების რეჟიმი და დაკავდეთ სპორტის რომელიმე სახეობით, მაგალითად, ცურვით.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: ნოემბერი.
**სასიკეთო პერიოდები:** იანვარი და თებერვალი.
**დისჰარმონიული პერიოდები:** მაისი და ივნისი.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** სექტემბერი.

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

თხის რქები კონსერვატიულად განწყობილი ადამიანები არიან და ცვლილებებს სიფრთხილით ეკიდებიან, თუმცა 2019 წელს მკვეთრ ცვლილებებს არ უნდა ელოდონ.

მიუხედავად იმისა, რომ არ გიყვართ ვალის აღება აპრილ-მაისის პერიოდში მაინც მოგიწევთ კრედიტის აღება ბანკიდან და ბიზნესში დაბანდება. ნუ აღელდებით, კრედიტს მალე დაფარავთ, ბიზნესიდან შემოსავალი კი 2-3-ჯერ გადააჭარბებს ვალს.

ეს წელიწადი (განსაკუთრებით გაზაფხულის ბოლო და ზაფხული) თქვენი ლაკმუსის ქაღალდია, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიტყოთ, სწორად ცხოვრებთ თუ არა.

მარტოხელა თხის რქებისთვის იღბლიანი წელიწადია — მათ ყურადღებას მიაპყრობს ადამიანი, რომელზეც, დიდი ხანია, ოცნებობდნენ, დაოჯახებულმა თხის რქებმა კი მეტი დრო უნდა დაუთმონ შვილებს.

ორგანიზმის გასაკაჟებლად კარგი იქნება, თუ დაკავდებით სპორტის რომელიმე სახეობით ან მეტად დაიტვირთებით ფიზიკურად.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: მარტი.
**სასიკეთო პერიოდები:** თებერვალი და დეკემბერი.
**დისჰარმნიული პერიოდები:** მაისი და აგვისტო.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი**: ივნისი.

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

2019 წელს მერწყულები მაგნიტივით მიიზიდავენ წარმატებას და საკმაოდ ექნებათ ბედნიერი მომენტები. მერწყულებისთვის ეს წელი გამორჩეული იქნება იმით, რომ ინტუიციით იგრძნობენ, როდის უნდა გაუჩინარდნენ და როდის უნდა წარდგნენ საზოგადოების წინაშე თავიანთი მომხიბვლელობით. ზოდიაქოს ნიშნებიდან გამოსარჩევია ორი არატიპური ნიშანი, რომლებსაც არ აქვთ სხვა ნიშნების მსგავსი მახასიათებლები, ესენია ტყუპი და მერწყული (სხვათა შორის, ქმნიან შესანიშნავ კავშირს და არა მხოლოდ საქორწინო კავშირს). ტყუპი მრავალმხრივია, რადგან მასში ცოცხლობს რამდენიმე პიროვნება, მერწყულების „წაკითხვა“, გამოცნობა კი შეუძლებელია, რადგან ისინი უსწრებენ თავიანთ დროებას. მერწყულებისთვის 2019 წელი აღმოჩენების, ახალი ცხოვრების დაწყების პერიოდია. ფლირტის მოყვარულ მერწყულებს თაყვანისმცემლებმა შეიძლება თავიც კი მოაბეზრონ, თუმცა შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ქორწინებით დასრულდეს.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: მარტი.
**სასიკეთო პერიოდები:** აპრილი და დეკემბერი.
**დისჰარმონიული პერიოდები:** იანვარი და ოქტომბერი.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი:** ივლისი.

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

თევზები ზოდიაქოს ბოლო ნიშანია. ის აერთიანებს 12 ნიშნის ყველა დადებით (ასევე, უარყოფით) თვისებას. სწორედ ამიტომ არის ამ ნიშნით დაბადებულთა შორის ყველაზე მეტი შემოქმედი და გენიოსი, აგრეთვე, მაფიოზი. 2019 წელს თევზებს სასიამოვნო და, ამასთანავე, დისჰარმონიული პერიოდები ექნებათ. ეს წელიწადი დაემსგავსება აზარტულ თამაშს, რომელშიც თევზებს საოცრად გაუმართლებს, მაგრამ ყველაფერი გამბედაობაზე იქნება დამოკიდებული. თქვენ განაგრძობთ გზას, რომელიც 2018 წელს დაიწყეთ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ტახის წელიწადი ამთავრებს წრეს, დასავლური კალენდრის მიხედვით კი თევზები ზოდიაქოს წრის ბოლო ნიშანია და ამით თითქოს ნათესაურ კავშირშია ტახის წელიწადთან. 2019 წელს თევზებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც, არ არის გამორიცხული, ქორწინებით დასრულდეს. მხოლოდ კვების რეჟიმის მოწესრიგებითა და ფიზიკური სავარჯიშოების შესრულებით შეძლებთ ფორმის, შესაბამისად, წონის შენარჩუნებას.

**2019 წლის ყველაზე წარმატებული პერიოდი**: მაისი.
**სასიკეთო პერიოდები:** თებერვალი და აპრილი.
**დისჰარმონიული პერიოდები:** იანვარი და ოქტომბერი.
**ყველაზე ნეგატიური პერიოდი**: სექტემბერი.



## 2019 წლის სიმბოლოები

* წლის ციფრი — 3.
* ბედნიერი ციფრები — 2, 5, 8.
* წლის ფერი — ყვითელი, ყავისფერი.
* წლის ქვები — მარჯანი, ტოპაზი, ლაზურიტი.

## ტახის წელიწადს დაბადებული პოპულარული ადამიანები

ოლივერ კრომველი, ვოლფგანგ მოცარტი, ჰენრი ფორდი, ერნესტ ჰემინგუეი, კარლ იუნგი, რონალდ რეიგანი, არნოლდ შვარცენეგერი, გლენ კლოუზი, ჰენრი კისინჯერი, მარკ შაგალი, ალენ დელონი.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

# ჟანდარმი დაიღალა



**26 დეკემბერს ერაყში ვიზიტისას ოვალური კაბინეტის უფროსმა დონალდ ტრამპმა განაცხადა ისეთი რამ, რაც სამომავლოდ გლობალური გარდაქმნების პროცესის საჯილდაო ქვა იქნება.**

„აშშ-ს აღარ სურს, კვლავ დარჩეს მსოფლიოს პოლიციელად. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა, რომ პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი მხოლოდ ჩვენ გვაწევს მხრებზე. ამერიკელი ჯარისკაცები გაფანტულნი არიან სრულიად მსოფლიოში. ჩვენ ვართ ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელთა შესახებაც ადამიანთა უმრავლესობას გაგონილიც არაფერი აქვთ“.

გასაგებია, რომ **არა მორალური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით, ამერიკას აღარ სურს, მართომ უყარაულოს პლანეტას, თანაც უფასოდ.**

ერთი შეხედვით, ყველაფერი ჩანს ისე, როგორც განმეორება არაერთხელ აღნიშნულისა. დონალდ ტრამპმა 2016 წლიდან, პრაქტიკულად, არჩევისთანავე დაიწყო მოკავშირეებისგან ფულის მოთხოვნა მათივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოთხოვნების ეპოპეა, რომ ნატოელმა პარტნიორებმა დისციპლინირებულად უნდა გადაიხადონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%, დღესაც გრძელდება. ამაზე საუბარი დაიწყო ტრამპმა იმ ქვეყნების ლიდერებთანაც, რომლებშიც განლაგებულია ამერიკული სამხედრო ობიექტები. ასეთი ქვეყანა ბევრი აღმოჩნდა. მშვიდობის პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის ინსტიტუტის მონაცემებით, 2017 წლის თებერვალში აშშ 35 სახელმწიფოში ინახავდა 600-ზე მეტ სხვადასხვა სახის მუდმივ და დროებით სამხედრო ობიექტს. მხოლოდ გერმანიაში ასეთი ობიექტების რაოდენობა 179-ია, იაპონიაში — 109. მოთხოვნები მოთხოვნებად რჩება, რადგან **ყველა ქვეყანა, გამონაკლისის გარეშე, სხვადასხვა მიზეზით თავს არიდებს სამხედრო მიზნებისათვის ფულის გამოყოფას ამერიკისთვის. ტრამპის** განცხადებები ძალიან ჰგავს იმას, რომ ტრამპს სურს, ამერიკელთა რეაქციას დაელოდოს „დიდი უკანდახევის“ იდეაზე. რა თქმა უნდა, მხოლოდ დასაცავთა უკიდურესი უსინდისობის გამო, რომლებსაც არ სურთ მსოფლიოს პოლიციელის ხარჯების კომპენსირება ფულით და, რა თქმა უნდა, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად თვით ამერიკისთვის. მაგრამ ყოველივე ზემოჩამოთვლილი მხოლოდ ლამაზი შეფუთვაა მთავარი აზრისა — აშშ-ის მმართველი ელიტები სერიოზულად დაფიქრდნენ იმ ტერიტორიების დატოვებაზე, რომლებსაც აქამდე აკონტროლებენ.

# კვიპროსის არქიეპისკოპოსმა უარი თქვა უკრაინის ახალი ეკლესიის მეთაურის მიღებაზე

**კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა, არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომ II-მ არ მოისურვა, საეკლესიო მსახურებაში მოეხსენიებინა უკრაინის ახალი ეკლესიის მეთაური მიტროპოლიტი ეპიფანე და მიეწვია ის სტუმრად.**



ბერძნული სააგენტო „რომფეასთვის“ მიცემულ ინტერვიუში არქიეპისკოპოსმა **ქრიზოსტომმა** განაცხადა, რომ მას შესთავაზეს კვიპროსზე მიეღო ახლახან ჩამოყალიბებული უკრაინის ეკლესიის ლიდერი **ეპიფანე (დუმენკო),** მაგრამ ეს შეთავაზება უარყო და დასძინა, რომ ეპიფანეს არასოდეს მოიხსენიებდა ლიტურგიის დროს და არც მომავალში მოიხსენიებს.

კვიპროსის ეკლესიის წინამძღოლმა ინტერვიუს მიმდინარეობისას უარყო უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ცნობა, რომ უკრაინის ელჩთან შეხვედრისას თითქოს მხარი დაუჭირა უკრაინისთვის ტომოსის მინიჭებას.

ქრიზოსტომ II-მ აღიარა, რომ „ყველა სახელმწიფოს აქვს ავტოკეფალიის უფლება და ეს დამოკიდებულია უკრაინელ ხალხზე“. „მაგრამ ამ მომენტში, ყველაფრის მიუხედავად, ვხედავ, უკრაინელი ხალხი არ მიისწრაფვის ასეთი მოქმედებისკენ“, — განაცხადა არქიეპისკოპოსმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად **„უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა ავტოკეფალიის მინიჭებას, არამედ იმას, რომ არ მოხდეს მართლმადიდებლობის გახლეჩა“.**

# ავტოკეფალია ახლა ბელარუსმა ნაციონალისტებმაც მოინდომეს

**მინსკში, პარტია ბელარუსის ნაციონალური ფრონტის ოფისში, 7 იანვარს გაიმართა პარტიის აქტივისა და ბელარუსის არაკანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურთა შეხვედრა, რომელზეც განიხილებოდა საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან ავტოკეფალიის მიღების შესახებ.**



უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნისა და პატრიარქ ბართოლომეოსის მიერ უკრაინისთვის ტომოსის მინიჭების შემდეგ ამ თემის განხილვა გააქტიურდა ბელარუსის ნაციონალისტებს შორისაც.

მათ ღვთისმსახურებისთვის უცნაური ადგილი აირჩიეს — ნაციონალისტური პარტიის ოფისი. მსგავსი ტრადიცია აქვთ მათ მეზობლებს — უკრაინელ ავტოკეფალისტებს, რომლებიც ღვთისმსახურებისთვის ხშირად იყენებენ ნაციონალისტური მოძრაობის შტაბებსა და ოფისებს. ასეთ პრაქტიკას რეგულარულად მისდევდა, მაგალითად, **დიმიტრი კორჩინსკის** ნაციონალისტური პარტია „ბრატსტვო“, ამ პარტიის შტაბში ყოველ კვირას ლიტურგიას ატარებდნენ „მღვდელმსახურები“.

პარტია „ბრატსტვოსა“ და უკრაინულ ავტოკეფალისტებს დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ მარგინალებად, რომლებზეც ყურადღების გამახვილება არ ღირდა, მაგრამ ამჟამად კორჩინსკის ცოლი და მისი ერთ-ერთი მიმდევარი უკრაინის პარლამენტის დეპუტატია, „რასკოლნიკებმა“ კი ლეგალიზაცია მიიღეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# სოლჟენიცინის წიგნები ჩინეთში

**„ის, ვინც ტალახში სვრის სტალინს, ის ტალახში სვრის საბჭოთა ხალხს; ვინც ტალახს ესვრის მის მოსწავლე მაოს, ის ტალახს ესვრის ჩინელ ხალხს. ჩვენ არ დავუშვებთ, შეურაცხყოფა მოგვაყენოს ვინმემ და ჩვენ არ დავუშვებთ, შეურაცხყოფა მიაყენონ ნათელ საბჭოთა პერიოდს და დაამცირონ საბჭოთა ხალხი, რომელსაც უღალატეს მათმა წინამძღოლებმა.**

** აი ამიტომ, ამიერიდან ჩინეთში სოლჟენიცინის წიგნების ადგილი კოცონზეა და არა ბიბლიოთეკის თაროებზე“.**

ზოგიერთი წყაროს ცნობით, 2019 წლის 5 იანვრიდან ჩინეთში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმად სოლჟენიცინის წიგნების შენახვა, გავრცელება და წაკითხვა სისხლის სამართლის წესით ისჯება.



გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, კოლეგასა და მეგობარს, ბატონ არმაზ სანებლიძეს მეუღლის

**იზოლდა კობერიძის**

გარდაცვალების გამო.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894